# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 21 დეკემბერი, 2007 წელი.

№ 250 (5851)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## ტყუილების ისტორია მეორდება

ჟურნალისტური გამოძიება




8

## დიდი მეუფე, მამაი ჩვენი...

2



მათი აზრი



5

## პატარკაციშვილი სიღარიბეს ვერ დაამარცხებს, ის ოფიციალურად მილიარდერი არ არისო



3

## რას მალავს კახა კუკავა კარადის თაროებზე?



12

## სააკაშვილმა მტრები ფეხბურთის მინდორზეც გამოძებნა

## „საქართველოს სელისუფლება 9 ზღვარს გადავიდა“

9

HUMAN RIGHTS WATCH

## რაც საქართველოში ხდება, იწვევს საზოგადოებრივი მორალის ხრწნასა და გადაგვარებას

3

## ინგილოების პროტესტი

7



# დრო

● რამდენ ქართველს უნატრია: ნეტავ, ილია ჭავჭავაძის თანამედროვე, ილიას დიდ საქმეთა მხილველი ვყოფილიყავიო! გულმოწყალეა ღმერთი: ნატვრა აგვისრულა და უწმინდესი პატრიარქის ილია II-ის თანამედროვენი, მის დიდ საქმეთა მხილველნი გაგვხადა

⦾ ინფორმაცია

## კულაშის შემდეგ გაჩეჩილაძის შტაბი ჩოხატაურშიც დაარბიეს

**პრეზიდენტობის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის ჩოხატაურის საარჩევნო შტაბი გუშინ, გამთენიისას, უცნობმა პირებმა დაარბიეს.**

როგორც შტაბის ხელმძღვანელი ირაკლი ახობაძე იტყობინება, შტაბის დარბევის შესახებ ინფორმაცია გუშინ, 05 საათზე მიიღო. ადგილზე მისულ შტაბის თანამშრომლებს ოფისი გაძარცვული და დარბეული დახვდათ.

მისივე ინფორმაციით, ოფისიდან წაღებულია სააგიტაციო ბუკლეტები და გაზეთები, კომპიუტერები. იგი მომხდარს „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის წარმომადგენლებს აბრალებს და აცხადებს, რომ ამაში ეჭვი არ ეპარება.

– ეს ფაქტი უკავშირდება პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის ჩოხატაურში ჩამოსვლას, რომელთან შესახვედრადაც ხალხი არ გავიდა. სწორედ ამას მოჰყვა ჩვენი შტაბის დარბევაც, – აღნიშნა ახობაძემ.

შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია მუშაობს, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## მხარდამჭერ ექიმებს სააკაშვილის შტაბში აწევრიანებენ

**პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ ახალგაზრდულ შტაბში გუშინ 100-მდე ახალგაზრდა ექიმი გაწევრიანდა.**

როგორც შტაბის პრესსამსახურის წარმომადგენელმა სალომე ბენიძემ განაცხადა, მხარდამჭერთა რეგისტრაცია კვლავ გაგრძელდება.

მისივე ინფორმაციით, შტაბში რეგისტრირებული ახალგაზრდა ექიმები ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობენ და მხარს უჭერენ რეფორმების კურსს, რომელსაც ამ სფეროში სახელმწიფო ახორციელებს.

**ინტერპრესნიუსი**

⦾ ახალგაზრდული შტაბი

# საქართველო ოლიგარქების სათამაშო ქვეყანა არ არისო

**პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი ახალგაზრდული შტაბი აქტიურდება და ზაბათიდან აქციების მოწყობას უკვე რეგიონებში გეგმავს. ჯერჯერობით კი მათ რიგებს თბილისის სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები უერთდებიან.**

არასამთავრობო ორგანიზაციის „რეგიონული განვითარების ცენტრის“ წარმომადგენლები გმირთა მოედანზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალთან



შეიკრიბნენ. მათ ცხინვალიდან, აფხაზეთიდან და საინგილოდან ჩამოსული ახალგაზრდები შეუერთდნენ და მსვლელობა სააკაშვილის მხარდამჭერი შეძახილებით რუსთაველზე ახალგაზრდული შტაბისაკენ მოაწყვეს. შტაბში მისულები კი ოფიციალურად გაწევრიანდნენ ნაცმოძრაობაში.

ახალგაზრდული შტაბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ირაკლი მეგრელიშვილმა აღნიშნა, რომ გაწევრიანებულთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, მასში სტუდენტების გარდა ის ახალგაზრდებიც ერთიანდებიან, რომლებიც არ სწავლობენ, მაგრამ აქტიურად არიან ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, შტაბი მთლიანად მხარს უჭერს სააკაშვილის გეგმაზომიერ პოლიტიკას.

ისინი საქართველოს მასშტაბით ყველა უმაღლეს სასწავლებელში აპირებენ სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებას, რათა გაარკვიონ სტუდენტთა უმრავლესობა რომელ კანდიდატს უჭერს მხარს. ხოლო უარყოფითად განწყობილ სტუდენტებთან აქტიურ შეხვედრებს გამართავენ. ყველა სასწავლებლის შემოვლის შემდეგ საერთო ყრილობას ჩაატარებენ, რითაც საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახვებენ, რომ სტუდენტთა უმრავლესობა მიხეილ სააკაშვილს უჭერს მხარს, – განაცხადა მან.

**ბესო შენგელია, არასამთავრობო ორგანიზაცია „რეგიონული განვითარების ცენტრი“:**

– ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების გამო სააკაშვილს და მის გუნდს ვუჭერთ მხარს, ვფიქრობთ, 5 იანვარს ხუთიანის შემოხაზვით საქართველოს მომავალს ხუთიანს დავუწერთ. ამ გზით კი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში აუცილებლად დავბრუნდებით. საქართველო არ არის ოლიგარქების სათამაშო ქვეყანა. ჩვენი სამშობლოს დანაწევრების დრო უნდა დამთავრდეს და ყველა ერთად დავდგეთ.

შტაბის წევრები დარწმუნებული არიან, რომ მათ რიგებს სტუდენტთა უმრავლესობა შეუერთდება და ეს უმრავლესობა თავის სათქმელს სააკაშვილის სასარგებლოდ აუცილებლად იტყვის.

რამდენად აქვთ მათ ოპტიმიზმის საფუძველი, ამას 5 იანვარის შედეგებით შევიტყობთ. არჩევნებამდე კი სულ უფრო და უფრო მცირე დრო რჩება.

**ლელა მანაველიშვილი**

⦾ ერის სულიერი მოძღვარი

# დიდი მეუფე, მამაი ჩვენი ...



**1977 წლის 23 დეკემბერს მეთორმეტე საეკლესიო კრებამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი). 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მოხდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრება.**

რაღაც მოხდა... რაღაც მოხდა, მაგრამ ამის შესახებ ღრმად და სერიოზულად საზოგადოება არ დაფიქრებულა. სხვა დრო იყო.

ათეისტური ზესახელმწიფო გარეგნულად თითქოს შეურყეველი იდგა, მსოფლიოში გაბატონების მანიით შეპყრობილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაუნდობლად ებრძოდა თავისუფალ აზრს არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთაც, თავისი გავლენის სფეროებში. ციხეები სავსე იყო პოლიტპატიმრებით. ასეთ ვითარებაში რა უნდა მომხდარიყო საქართველოში ღირსშესანიშნავი და სასიკეთო?

**ყველაზე ზერელე აღქმა მომხდარისა ასეთი იყო.** თბილისის ქუჩებში იმხანად ყველა, ნებსით თუ უნებლიეთ, ამჩნევდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მანქანას (პირველი მდივნის ქალაქში დიდი აურზაურით გადაადგილებაც ხომ კომუნისტური პროპაგანდის ნაწილი იყო). 25 დეკემბრის შემდეგ თბილისელებისათვის მოვლენად იქცა უწმიდესი პატრიარქის გადაადგილება. ათასობით ადამიანი დიდი სიყვარულით აყოლებდა თვალს პატრიარქის მანქანას, ზოგიერთი ჩურჩულით წარმოთქვამდა ლოცვას: რწმენა და იმედი გამოჩნდა თბილისის ქუჩებში.

**უფრო სერიოზული აღქმა მომხდარისა ასეთი იყო.** თბილისში დიდებულ რეზიდენციებში სამი დიდი ხელისუფალი მოკალათებულიყო: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომელიც ემსახურებოდა მოსკოვს, მინისტრთა თავმჯდომარე, რომელიც ემსახურებოდა მოსკოვს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რომელიც ემსახურებოდა მოსკოვს. თბილისის ძველ უბანში, სიონის საკათედრო ტაძრის მახლობლად, ერთ ჩვეულებრივ ორსართულიან შენობაში, საქართველოს პატრიარქთა სამყოფელში, უფლის ნებით დაბრძანდა ადამიანი, რომელიც ემსახურებოდა ღმერთს, ეკლესიასა და ქართველ ერს. თბილისში მორჭმით მჯდარ მოსკოვის მსახურ სამ ხელისუფალს კონკურენტი გაუჩნდა. დაიწყო დაძაბული ფარული ბრძოლა. უწმიდესი პატრიარქი ყოველ წუთს, ყოველ საათს, ყოველდღე ტრიუმფით მიიწევდა წინ. ყოველი მისი წინსვლა მოსკოვის მსახურთა მარცხის მომასწავებელი იყო.

სიონის საკათედრო ტაძარში უწმინდესი პატრიარქის ყოველი ქადაგება რწმენასა და იმედს აბრუნებდა ათეიზმის წყვდიადში აღზრდილი ადამიანების გულებში. იმხანად, ალბათ, ყველა ვერ აცნობიერებდა, რომ უწმინდესი პატრიარქი მარტო **ეკლესიურ აზროვნებას** კი არ გვასწავლიდა, არამრდ **სახელმწიფოებრივსაც,** მრევლში ეროვნულ ცნობიერებას აძლიერებდა და **შელახული ეროვნული ღირსების აღსადგენად ამზადებდა ქართველობას.**

უწმინდესი პატრიარქი იქცა **უმაღლეს მსაჯულად.** ტახტშერყეული მოსკოვის მსახურთა აზრი ქართველობას ნაკლებად აინტერესებდა. საზოგადოებაში ყოველი მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის თაობაზე მსჯელობისას ხშირად გაიგონებდით: **ნეტავ რას ფიქრობს პატრიარქი? ნეტავ რა თქვა პატრიარქმა?**

ნელ-ნელა სიძულვილი შეცვალა სიყვარულმა, საბჭოთა უზნეობა – ქრისტიანულმა ზნეობამ, უიმედობა – მომავლის რწმენამ.

უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან ოცდაათი წელი გავიდა.

თავს არ ვთვლი იმის ღირსად, რომ შევაფასო უწმინდესი პატრიარქის ნააზრევი და ნაღვაწი. ეს მომავლის საქმეა. თუმცა დიდია ცთუნება ახლავე, დღესვე ვთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობ. საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია (XIX-XXI სს.) სრულიად გარკვევით იყოფა ორ ციკლად: **წმიდა ილია მართლის ციკლად** და **უწმინდეს პატრიარქ ილია II-ის ციკლად.**

წმინდა ილია მართალმა ქართველი ერი იხსნა იმ დიდი განსაცდელისაგან, რომელიც მას თავს დაატყდა XIX საუკუნის დამდეგს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ. უწმინდესმა პატრიარქმა ილია II-მ ერი იხსნა იმ დიდი განსაცდელისაგან, რომელიც მას თავს დაატყდა 1921 წლიდან, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, ათეისტური ზესახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის – შემადგენლობაში იძულებითი ყოფნის პერიოდში. წმინდა ილია მართლის ციკლი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. უწმინდეს პატრიარქ ილია II-ის ციკლის მომსწრე დღევანდელი ქართველობაა. ეს ციკლი ტრიუმფით გრძელდება. ღვთისმოსავი ქართველი, ყოველ დილით რწმენითა და იმედით აღსავსე სასოებით ლოცულობს მისთვის: ... **დიდი მეუფე, მამაი ჩვენი ილია...**

რამდენ ქართველს უნატრია: ნეტავ, ილია ჭავჭავაძის თანამედროვე, ილიას დიდ საქმეთა მხილველი ვყოფილიყავიო! გულმოწყალეა ღმერთი: ნატვრა აგვისრულა და უწმინდესი პატრიარქის ილია II-ის თანამედროვენი, მის დიდ საქმეთა მხილველნი გაგვხადა. სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე კი ჩემმა შთამომავლობამ ასე მინდა მომიხსენიოს: **ჩემი წინაპარი უწმინდესი პატრიარქის ილია II-ის თანამედროვე იყოო.**

**ვახტანგ გურული**

⦾ პატრიარქის გამონათქვამები

**...ყოველი დღე, ყოველი გათენებული დილა ეს არის უდიდესი წყალობა ღვთისა, ამიტომ დილიდან მადლობას უნდა ვწირავდეთ უფალს.**

**...ადამიანი არა მხოლოდ ღვთის ქმნილებაა, არამედ ღვთის ქმნილებათა გვირგვინია. იგი არის ხატი ღვთისა, ხოლო მსგავსებას ღვთისას დიდი სულიერებით, დიდი მოღვაწეობით, რწმენითა და სიყვარულით უნდა მიაღწიოს.**

* * *

**...როგორც სახარებაში ვკითხულობთ, სასუფეველი ღვთისა იძულებით მოიპოვება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასუფეველი თავისით არ მოდის. ადამიანმა თავისი თავი უნდა აიძულოს, რომ ბოროტების ნაცვლად სიკეთე აკეთოს, ილოცოს, იმარხულოს და შეიყვაროს არა მხოლოდ ის, ვისაც იგი უყვარს, არამედ ისიც, ვისაც სძულს. ამგვარი იძულებისთვის კი ადამიანს ძალას მხოლოდ მტკიცე ქრისტიანული რწმენა აძლევს, რომელიც დაეჭვებასა და ყოყმანს სრულიად გამორიცხავს...**

**ჩვენ უმეტესწილად ჩვენი სხეულისთვის უფრო ვზრუნავთ, ვიდრე სულისათვის და ძალიან ხშირად გვავიწყდება, რომ ჩვენი ფიზიკური სხეული მიწად უნდა მიიქცეს, ანუ იმად იქცეს, რისგანაც თვითონაა შექმნილი, ხოლო სული, რომელიც უკვდავია, მარადიულად უნდა დაემკვიდროს იქ, სადაც დაიმსახურებს.**

* * *

**...ეს ცხოვრება დროის მარადისობაში ერთი წარმავალი წუთი და მხოლოდ მზადებაა იმ დიდი ცხოვრებისთვის, რომელიც ყოველ ჩვენგანს ელოდება. წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ამქვეყნიური ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემზადებოდეს კაცი და რას უნდა აკეთებდეს, რომ ღირსი გახდეს იმ დიდი ცხოვრებისა...**

# ადუღებული დრო

რაც ბოლო წლებში საქართველოში ხდება, იწვევს საზოგადოებრივი მორალის გახრწნასა და გადაგვარებას. სავსებით ცხადია, რომ მაღალი მორალური და ზნეობრივი იდეალების გარეშე ერს, როგორც საკუთარი ინდივიდუალობის მქონე ისტორიის სუბიექტს, მომავალი არა აქვს



**საზოგადოებრივი მოძრაობა**

# რაც საქართველოში ხდება, იწვევს საზოგადოებრივი მორალის ხრწნასა და გადაგვარებას

## „ზნეობრივი ფრონტის“ დამფუძნებელი შეკრების რეზოლუცია

2007 წლის 18 დეკემბერს ჩატარდა „ქართული აკადემიის“, არასამთავრობოთა კოალიცია „დემოკრატიისათვის“, ქრისტიანული კოალიციისა და „საზოგადოებრივი დარბაზის“ მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი მოძრაობა „ზნეობრივი ფრონტის“ დამფუძნებელი შეკრება. შეკრების მონაწილეებმა მიმოიხილეს საქართველოში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, სამართლებრივი და ზნეობრივი შეფასება მისცეს ხელისუფლების მიერ 7 ნოემბერს მშვიდობიანი მიტინგის სასტიკი მეთოდებით დარბევას და ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელსაც ხელი მოაწერა შეკრების 700-ზე მეტმა მონაწილემ.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოთხი წლის არსებითად ერთპარტიული მმართველობის პერიოდში ქვეყანაში გააღრმავა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო კრიზისი, მომაკვდინებელი საფრთხე შეუქმნა ქართველთა ეროვნულ თვითმყოფადობასა და სახელმწიფოებრივ არსებობას, ქართველი ერის მიერ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ზნეობრივ და კულტურულ ღირებულებებს, ხალხისადმი წრესგადასული ზიზღითა და ცინიზმით ფეხქვეშ გათელა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, მთლიანად მოშალა სასამართლო სისტემა, დანერგა სამართლებრივი ნიჰილიზმი და შერჩევითი მართლმსაჯულება, რასაც ქვეყანაში ლოგიკურად მოჰყვა პოლიტიკური, სინდისისა და პრეზიდენტყოფილის პირადი პატიმრების გაჩენა, მოშალა და გაანადგურა სასკოლო და უმაღლესი განათლება, ლახვარი ჩასცა უნივერსიტეტს და დაანგრია მეცნიერებათა აკადემია, განვითარების პერსპექტივა მოუსპო თვითმყოფად ქართულ კულტურას, უკიდურესი სიღატაკის ზღვარზე მიიყვანა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ნეობოლშევიკური მეთოდებით ქუჩაში გამოყარა ათეულ ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი და მათხოვრული არსებობისათვის გაწირა ისინი, უკანასკნელი თავშესაფრიდან გამოაძევა დევნილი მოსახლეობა, ახლა კი სურს ასლარიანი ვაუჩერებით, ფქვილითა და ცრუდაპირებებით მოისყიდოს სასოწარკვეთილი და სიღატაკით გაწამებული ადამიანები, სცადა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დაშლა-დანაწევრება, დაანგრია ეკლესიები, ფაქტობრივად, გაყიდა საქართველოს მიწა-წყალი და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, დანერგა ძალადობა, განუკითხაობა და ქაოსი, უხეშად ხელჰყო კერძო საკუთრების უფლება და ბიზნესზე განახორციელა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი რეკეტი, შეტევა მიიტანა მასმედიაზე და დღემდე გააფთრებით ცდილობს, მთლიანად დაუმორჩილოს იგი საკუთარ პოლიტიკურ ნებას, განახორციელა ასაკობრივი ფაშიზმის პოლიტიკა, მორალურად გახრწნა ახალგაზრდობის ნაწილი და შექმნა ახალი ტიპის კომკავშირული ორგანიზაციები, ქუჩაში გააჩაღა ახალგაზრდების ხოცვა-ჟლეტა, შექმნა „სიკვდილის ბრიგადები“, რომლებიც ამაზრზენი მეთოდებით უსწორდებიან მოსახლეობასა და პოლიტიკურ ოპონენტებს, ფიქციად აქცია დიალოგი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, გამოავლინა ზიზღი და სიძულვილი ხალხის მიმართ, 7 ნოემბერს წარმოუდგენელი სისასტიკითა და ბარბაროსული მეთოდებით დაარბია ხელისუფლების ანტიეროვნული და ანტისახალხო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული მშვიდობიანი მიტინგი, მათ შორის მოშიმშილეები, რაც არსებითად იყო არა წესრიგის აღდგენისაკენ მიმართული ღონისძიება, არამედ არაადამიანური შურისძიება და ფიზიკური ანგარიშსწორება საკუთარ ხალხზე. ამით მიხეილ სააკაშვილმა ჩაიდინა მიუტევებელი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ და სამარცხვინო ფურცელი ჩაწერა საქართველოს ისტორიაში.

მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის შემდეგაც აგრძელებს არარეალური წინასაარჩევნო დაპირებებით, სოციალური დემაგოგიითა და ფსევდოჰუმანისტური რიტორიკით შენიღბულ ტერორისა და ძალადობის პოლიტიკას, რითაც სურს ხალხის თავისუფალი ნების დათრგუნვა და ამ გზით ხელისუფლების შენარჩუნება.

მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს კონსტიტუციური ნორმებისა და საარჩევნო კანონმდებლობის ფეხქვეშ გათელვითა და აღმაშფოთებელი დარღვევებით. იგი უტიფრად იყენებს სახელისუფლებო და საბიუჯეტო რესურსებს, ფაქტობრივად თავის აგიტატორებად აქცია მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირები პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის ჩათვლით. პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების მომხრეებზე განხორციელებული ტერორი, მათი საარჩევნო შტაბების დარბევა, მოქალაქეებისათვის პირადობის მოწმობების მასობრივი ჩამორთმევა, საარჩევნო სიებში მოულოდნელად გაჩენილი მილიონზე მეტი „ამომრჩეველი“ და სხვა დარღვევები აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი ემზადება არჩევნების ტოტალური გაყალბებისათვის და, თუ ეს მართლაც მოახერხა, მოსალოდნელ საერთაშორისო იზოლაციასა და ქვეყნის შიგნით შექმნილ კატასტროფულ ვითარებაზე, ხალხის მღელვარებასა და მის ჩასახშობად განხორციელებულ რეპრესიებზე, პასუხისმგებლობა დაეკისრება მასვე.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებული ძალადობრივი კამპანია აღიქმება, როგორც არჩევნებისშემდგომი საზოგადოებრივი დაპირისპირების პროვოცირება, რითაც აშკარა საფრთხე შეექმნება ქვეყნის სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას.

დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ ის, რაც ბოლო წლებში საქართველოში ხდება, იწვევს საზოგადოებრივი მორალის გახრწნასა და გადაგვარებას. სავსებით ცხადია, რომ მაღალი მორალური და ზნეობრივი იდეალების გარეშე ერს, როგორც საკუთარი ინდივიდუალობის მქონე ისტორიის სუბიექტს, მომავალი არა აქვს.

ქართველი საზოგადოება მოვალეა, ჩამოაყალიბოს და გაშალოს ზნეობრივი ფრონტი მიხეილ სააკაშვილის უზნეო და უსამართლო პოლიტიკის წინააღმდეგ და ამით იხსნას საქართველო უმწვავესი შიდადაპირისპირებისა და საერთაშორისო იზოლაციისაგან.

ზნეობრივი ფრონტის დამფუძნებელი შეკრების მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ყოველივე ზემოთქმულის „შემოქმედ“ მიხეილ სააკაშვილს არა აქვს მორალური უფლება, მონაწილეობა მიიღოს 5 იანვრის არჩევნებში. მან უნდა მოხსნას თავისი კანდიდატურა და ამით ერსა და ქვეყანას მისცეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ზნეობრივი კრიზისიდან გამოსვლისა და ნორმალური განვითარების შესაძლებლობა.

18.12. 2007

**ოპოზიცია**

# რას მალავს კახა კუკავა კარადის თაროებზე?

***თანაბარ პირობებში მიმდინარეობს თუ არა საარჩევნო კამპანია? რამდენად იმოქმედებს საარჩევნო სიებში აღმოჩენილი დარღვევები არჩევნების სრულფასოვნად ჩატარებაზე? იძიებენ თუ არა ოპოზიციური შტაბების წევრებზე თავდასხმისა და მათი გატაცების ფაქტებს? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემაზე ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრებს თინა ხიდაშელს და კახა კუკავას ვესაუბრეთ.***

**თინა ხიდაშელი:**

**— როგორ შეაჯამებდით თქვენი საპრეზიდენტო კანდიდატის საარჩევნო კამპანიას რეგიონებში?**

— შეჯამება ჯერ ძალზე ადრეა, რადგან 27 დეკემბრის ჩათვლით კამპანია გრძელდება. როგორც 2003 წლის მოვლენების სრულმასშტაბიანმა მონაწილემ, შემიძლია გითხრათ, რაც ეხლა რეგიონებში ვნახეთ, საქართველოში არასოდეს მინახავს. 2003 წლისგან განსხვავებით, ამჯერად ხალხი ძალზე მოტივირებულია და მოწოდება საერთოდ არ არის საჭირო. საზოგადოებრიობაში იმდენად მძლავრობს პროტესტი და იმდენად დიდია სურვილი ქვეყნის მომავლის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებისა, რომ არჩევნებზე მისვლას ყველა აპირებს. ძალზე ოპტიმისტურად ვუყურებთ ცხოვრებას და დარწმუნებული ვართ, რომ ეს ქვეყანა 5 იანვრიდან სხვანაირი იქნება.

**— როგორ აფასებთ ცესკოს გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ერაყსა და კოსოვოში ქართველ ჯარისკაცებს ხმის**



**მიცემის უფლება ჩამოართვეს, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის სარჩელის საფუძველზე, მათ ეს უფლება აღუდგინეს?**

— ძალზე სამწუხაროა, როდესაც საქართველოს მოქალაქეებს ხმის მიცემის საშუალება არ ეძლევათ. მივესალმები ყველა გათავისუფლებულ ხმას, მაგრამ როცა ხელისუფლება ამაზე დიდ აჟიოტაჟს ტეხს, უმნიშვნელოვანესია გაითვალისწინონ ის, რომ საქართველოს ათასობით მოქალაქე უცხოეთში ცხოვრობს. მათ კი ცესკოს მიერ რეგისტრაციის ვადის გაუხანგრძლივეობის გამო ხმის მიცემის უფლება პრაქტიკულად ჩამოერთვათ. საჭიროა, ვიყოთ თანამიმდევრულები და ყველა მოქალაქეზე თანაბრად ვიზრუნოთ.

**— ერთ-ერთი კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის დისკრედიტაცია ხდება, ამიტომ მან საარჩევნო კამპანია ჯერჯერობით ვერ დაიწყო. როგორი პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?**

— ჩემი აზრით, ეს ძალზე სამწუხაროა. ვფიქრობ, ასე არჩევნები სხვა ქვეყნებში არ ტარდება. როგორი ხელისუფლებაც გვავს, მან ისეთივე საარჩევნო კამპანიის პირობები შექმნა.

**— თქვენი კანდიდატის შანსებს როგორ აფასებთ?**

— 5 იანვარს ლევან გაჩეჩილაძე საქართველოს პრეზიდენტი გახდება.

**კახა კუკავა:**

**— რეგიონებში როგორი განწყობით ხვდებიან ოპოზიციის წარმომადგენლებს?**

— ვფიქრობ, აშკარა განსხვავებაა ჩვენი კანდიდატსა და, განსაკუთრებით კი, სახელისუფლებო კანდიდატის საარჩევნო კამპანიას შორის. ერთი მხრივ, ჩვენ ვუყურებთ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრებზე ავტობუსებით მიყვანილ ხალხს, გამგეობისა და პოლიციის თანამშრომლებს, სკოლის მასწავლებლებს, რომლებსაც დირექტორები აღგანან თავს. გორში ყველამ მოვისმინეთ მაგნიტოფონი როგორ გამწარებით ბღაოდა — მიშა! მიშა! მეორე მხრივ, თქვენ ხედავთ ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო კამპანიის შეხვედრებზე როგორი ემოციითა და მუხტით მოდის ხალხი. ვფიქრობ, აქ ძალების ისეთი თანაფარდობაა, რომელიც არანაირ ეჭვს არ ტოვებს იმისას, თუ 5 იანვარს არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს.

**— როგორ ფიქრობთ, დაუზუსტებული საარჩევნო სიები რამდენად იქცევა გაყალბების საშულებად?**

— ეს ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც საარჩევნო გაყალბების ტექნოლოგიებს უკავშირდება. ჩვენ ამ სფეროში ნამდვილად გამოუცდელი ადამიანები ვართ, მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბში დასაქმებულ კვალიფიციურ ექსპერტებთან შედარებით. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ არჩევნებზე ხალხის უპრეცედენტოდ მაღალი აქტიურობა იქნება. კვლევები ცხადყოფს, რომ

იხ. 7 გვ.

№ 250. პარასკევი, 21 დეკემბერი, 2007 წელი.

# აღშფოთებული დრო

## ◉ ინფორმაცია

### პატარკაციშვილი ყოველგვარი მუქარის მიუხედავად მაინც ჩამოვა

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ბიზნესმენი არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი საქართველოში აუცილებლად ჩამოვა და საარჩევნო კამპანიაში ჩაებმება. შესაბამისი განცხადება პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა ვალერი გელბახიანმა გააკეთა.

გელბახიანის თქმით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მისცემს თუ არა ხელისუფლება პატარკაციშვილს რაიმე სახის გარანტიებს, კანდიდატს გადაწყვეტილი აქვს საქართველოში ჩამოსვლა და ამომრჩევლებთან შეხვედრა.

– ის ვალდებულად თვლის თავს ჩამოვიდეს და ამომრჩეველს შეხვდეს, – განაცხადა გელბახიანმა.

შეგახსენებთ, რომ ხელისუფლებამ პატარკაციშვილს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დასდო ბრალი და ნოემბრის მოვლენების ერთ-ერთ ორგანიზატორად დაასახელა.

### „საქართველოში ასეულობით მილიონი შემოვიტანე, იქიდან არაფერი გამიტანია“

პრეზიდენტობის კანდიდატი ბადრი პატარკაციშვილი მიხეილ სააკაშვილსა და საქართველოს ხელისუფლებას ლონდონიდან აკრიტიკებს.

საერთაშორისო სატელევიზიო სააგენტოსთან გაკეთებულ განცხადებაში, რომლის მცირე ნაწილი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გადაიცა, პატარკაციშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებას ჰქონდა საკმარისი დრო, მოეგვარებინა უმუშევრობის პრობლემა, ბოლო მოეღო გაუსაძლისი სიღარიბისათვის და უზრუნველეყო ღირსეული ხანდაზმულობა.

–ამის ნაცვლად სააკაშვილის რეჟიმმა თანხა დახარჯა ცრემლსადენი გაზის, რეზინის ტყვიების, ხელკეტების შესაძენად და დამსჯელი რაზმების მოსამზადებლად. მე ამ დროს მთელ ჩემს თანხას ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას ვახმარდი, ადამიანებს ვეხმარებოდი, ვქმნიდი დამოუკიდებელი ინფორმაციის წყაროებს. საქართველოში შემოვიტანე ასეულობით მილიონი და ქვეყნიდან არც ერთი თეთრი არ წამიღია. 7 ნოემბერს სააკაშვილის რეჟიმმა დაგვანახა თავისი ნამდვილი სახე – საშიში და დაუნდობელი, – აცხადებს პატარკაციშვილი.

მისივე თქმით, იმის ნაცვლად, რომ მიხეილ სააკაშვილს ჩადენილი ქმედება მოენანიებინა და თანამდებობიდან გადამდგარიყო, მან საგანგებო მდგომარეობა შემოიღო და დაარბია და დახურა „ტელეიმედი“, შემდეგ კი საზოგადოებას ახალი სპექტაკლის დასაწყისი გამოუცხადა, რომელსაც ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჰქვია.

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ ხედვა შორიდან

„ქვეყნის ბედნიერება“ ადამიანების აქტივობით იქმნება და არა ცარიელი „უფლის ნებით“. ამიტომ გვმოძღვრავს უფალი: „ხელი გაანძრიე და გეშველებაო“





# ანაქრონულმა „გონიერებამ“

**პოლიტიკური, აპოლიტიკური – ეს ცნებები, ჩანს, ყველასათვის გასაგები არ არის. ამიტომ ეჩვენებათ მავანთ პირველი სალანძღავ, ხოლო მეორე საამაყო სიტყვად. ერთი მომღერალი, მაგალითად (რა საჭიროა გვარის დასახელება, პიროვნებასთან ხომ არა გვაქვს საქმე!ძ, პოლიტიკურობას პოლიტიკოსობაში რომ ურევს, თავს იწონებს თავისი აპოლიტიკურობით:**

„სრულიად აპოლიტიკური ვარ და საერთოდ არ მიმაჩნია საჭიროდ, რომ ჩემი აზრი ვაფიქსირო, იმიტომ, რომ ვარ მომღერალი და ჩემი ფიქსირება არის ჩემი სიმღერა. იქიდან გამომდინარე, რომ ვარ მომღერალი, უნდა გავიდე იქაც და იქაც. ყველგან უნდა ვიმღერო და საერთოდ, დაუშვებლად მიმაჩნია მომღერალი პოლიტიზებული რომ ხდება და ერთ მხარეს რომ ჩაეციკლება ან მეორე მხარეს. ეს არის ძალიან ცუდი ტონი. შენ ხარ მომღერალი. პოლიტიკოსმა პოლიტიკოსის საქმე უნდა აკეთოს და მომღერალმა – მომღერლის საქმე. არ ევალება არც ერთ მომღერალს, რომ სადღაც რომელიღაცას უნდა მიეწებოს. ჩვენ ვეკუთვნით ხალხს. ჩემი მსმენელი არის ხალხი და ვერც ერთ მხარეს ვერ მივეწებები. იმიტომ, რომ ძალიან აპოლიტიკური ვარ. ერთადერთი დიდი გრძნობა მაქვს იმისა და სურვილი, რომ საქართველო იყოს ბედნიერი და ვიცხოვრო ბედნიერ ქვეყანაში. რა იქნება და როგორ იქნება, ეს უფლის ნებაა“ („რეზონანსი“ №333, 09. 12. 2007ძ.

თუ „იქაც და იქაც უნდა გახვიდეთ“, ანუ „არც ერთ მხარეს ჩაეციკლოთ, არც მეორეს“, როგორღა „ეკუთვნით ხალხს“? პოლიტიკური თვალსაზრისით, ხალხი, როგორც ხელისუფლების ანტიპოდი, მხარეს წარმოადგენს.

რაც შეეხება „ქვეყნის ბედნიერებას“, ის ადამიანების აქტივობით იქმნება და არა ცარიელი „უფლის ნებით“. ამიტომ გვმოძღვრავს უფალი: „ხელი გაანძრიე და გეშველებაო“.

მომღერლობა, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანური საქმიანობა, არათუ არ გამორიცხავს პოლიტიკურობას, არამედ, პირიქით, აუცილებლობით გულისხმობს მას, რამდენადაც საქმე ეხება ადამიანს. ადამიანი ვერ იქნება აპოლიტიკური, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პოლიტიკურობა მისი დამახასიათებელი ერთ-ერთი არსებითი ნიშანთვისებათაგანია. არისტოტელეს განსაზღვრით, ადამიანი არა უბრალოდ საზოგადოებრივი არსება, არამედ აგრეთვე „პოლიტიკური ცხოველია“: პოლიტიკურობა სახელმწიფოებრიობას, სახელმწიფოებრივ შეგნებას, სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სახელმწიფოზე პასუხისმგებლობა მარტო პოლიტიკოსების საქმე როდია, იგი ყოველი მოქალაქის მოვალეობაცაა. უფრო მეტი, უპირველესად სწორედ მოქალაქეა ვალდებული, იყოს სახელმწიფოებრივად შეგნებული, რადგან იგი ირჩევს ხელისუფლებას. ამასთან, მოქალაქის მოვალეობა მარტო ხელისუფლების არჩევა არ არის, არამედ მის მიმართ გარკვეული პრეტენზიული, ანუ ოპოზიციური დამოკიდებულებაც, როგორც მსახურის მიმართ, რომელსაც თუ ყურადღება მოუდუნე, ღორის ტილივით თავზე აგაცოცდება. ამრიგად, მოქალაქის „მოვალეობა“ თუ „ვალდებულება“ ვინმეს მიერ მასზე თავსმოხვეული იძულება კი არ არის, არამედ მისი შეგნება, საკუთარი თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ აპოლიტიკურობა, როგორც საკუთარი მოვალეობისა და თავისუფლების ვერშეგნება, ადამიანობამდე ვერამაღლებას ნიშნავს. აპოლიტიკური არსება, რაგინდ კარგი მომღერალიც იყოს, ჯერ კიდევ ადამიანი არ არის. თუმცა იმისათვის, რომ მომღერალი იყო, აუცილებელი სულაც არ არის ადამიანობა. რამდენი არაადამიანი ვიცით, რომ შესანიშნავი მომღერლები არიან, რომლებიც ერთნაირად „გადიან იქაც და იქაც“, ან სულაც „ერთ მხარეს ეციკლებიან“, ცხადია, ცხოველური გამორჩენის თვალსაზრისით. რას იზამ, ადამიანიც ცხოველია და იძულებულია ერთთავად ხარკი უხადოს თავის ცხოველობას, მაგრამ მთლად ცხოველი ხომ არ არის, რომ ანგარიში აღარ გაუწიოს თავის ადამიანობასაც. ცხოველი ბუნებრივი არსებაა. მისი ბუნება ცხოველობაა. ადამიანი კი მთლად ცხოველადაც რომ იქ-

## ◉ კანდიდატი

### ამომრჩევლებთან დავით გამყრელიძის შეხვედრაზე პრეზიდიუმში 117 წერილი შევიდა, აქედან 100-ზე მეტი ორსიტყვიანი იყო:

# „გვეშველება რამე?“

**ახლებო თქვენი რიგია!**
**ხალხური**

ლექსი მართლაც ხალხურია, მაგრამ როდის, ან ვის მიერაა თქმული? იმ ხალხის მიერ, საუკუნეების წინ რომ ცხოვრობდა? არადა, დღევანდელობასაც ეხმიანება, ლექსის დედაარსი ისაა, რომ ახალმა ძველი უნდა შეცვალოს. საზოგადოების განვითარების დიალექტიკაც ხომ სწორედ ესაა.

გორში, კინოთეატრ „გამარჯვების“ დარბაზში, პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დავით გამყრელიძის ამომრჩევლებთან შეხვედრის დაწყების წინ, ამბავი მოიტანეს – ავტოსადგურის დირექციამ ხელისუფლების ზეწოლით ავტობუსების მარშრუტები გააუქმა და დამსწრეთ თავიანთ სოფლებში დაბრუნება გაუჭირდება, თუ დროზე არ წავლენო. შეხვედრაზე იძულებითი გადაწყვეტილება მიიღეს: ზამთრის ისედაც მოკლე დროის კვალობაზე შემჭიდროებულ რეგლამენტში ჩატეულიყვნენ.



დარბაზმა იქ მისული ყველა მსურველი ვერ დაიტია. გაისმოდა პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერი შეძახილები, ფრიალებდა დროშები, კედელზე გაკრული ლოზუნგები მოქალაქეებს 5 იანვრის არჩევნებში მონაწილეობის მისალებად მოუწოდებდნენ.

სიტყვით გამოსულმა პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით გამყრელიძემ დამსწრეთ წარუდგინა საკუთარი საარჩევნო პროგრამა, დაწვრილებით გააანალიზა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა, ილაპარაკა ქართული სოფლის გადარჩენაზე, კულტურის, განათლების, მეცნიერების აღორძინების საკუთარ ხედვაზე, მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემდგომ სრულყოფაზე.

პრეზიდენტობის კანდიდატის გამოსვლამ, საზოგადოებისთვის მისეული საარჩევნო პროგრამის წარდგენამ გარკვეულწილად კიდევაც უპასუხა დარბაზის მთავარ გზავნილზე – „გვეშველება რამე?“ როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა თქვა, – გვეშველება, თუკი 5 იანვარს სწორ არჩევანს გავაკეთებთ.

**გურამ ვაშაკიძე**

## ◉ წინასაარჩევნო შეხსენება

### რომ გვპირდებოდით, რად დაივიწყეთ?

გასულ არჩევნებზე მეწარმეები ნინო ბურჯანაძეს შევხვდით სასტუმრო „საქართველოს“ შენობაში. იქ იყო განლაგებული „ბურჯანაძე-დემოკრატების“ შტაბი. მეწარმეებს თანადგომას, საგადასახადო კოდექსის შეცვლასა და რას არ შეგვპირდა ქალბატონი ნინო, თუ მათი გუნდი გაიმარჯვებდა.

სამწუხაროდ, ფასადურად შელამაზებული ღონისძიებების გარდა, არც საგადასახადო კოდექსის შეცვლა გვიგრძვნია, არც შეპირებული ამნისტია გამოცხადებულა... იყო მხოლოდ პიარღონისძიებების კასკადი მეტეხში, რუსთაველის თეატრში, ფილარმონიაში, კოდექსი დაამძიმეს ადმინისტრირებით გაზრდილი ჯარიმებით, უაზრო ჟურნალებით, დაგვზაფრეს პიარდაპატიმრებებით. მეწარმეობას ბოლო მოუღო გაზრდილმა ტარიფებმა გაზზე, წყალზე, ელენერგიაზე...

საკრებულოს შემადგენლობაც არაკომპეტენტური და პარლამენტზე უარესია, მეწარმეთა პრობლემები სულაც არ ენაღვლებათ. ან საიდან უნდა ენაღვლებოდეთ, როცა მეწარმეობის აზრზეც არ არიან, რამაც საბოლოოდ გაჟყვლიფა და დააქცია ქართველი მეწარმეები, რომლებიც ელემენტარულსღა ითხოვდნენ – სამეწარმეო გარემოს შექმნას, გადამხდელ მეწარმეზე ორიენტირებულ გასაგებ და მარტივ კანონებს და ფიქსირებულ გადასახადს, თანაბარ პირობებში ჩამყენებელ არბიტრაჟს, რომელიც გამორიცხავდა ნილბიან და იარაღიან შემმოწმებლებს.

ამჯერად შევეცდებით ჩვენი არჩევანი გამოცდილებას, ცოდნასა და პრაქტიკოსებს დავუთმოთ, რადგანაც წავიდა დრო პოლიტიკოსებისა, რომლებმაც დაგვლალეს.

**ოთარ თედორაძე,**
**გურამ იაშვილი,**
**გივი გოგოლაძე**
მეწარმეები

№ 250. პარასკევი, 21 დეკემბერი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

**ხალხი არ არის დღეს ვინმეს მიმართ უკრიტიკო თაყვანისმცემელი, პირიქით, საკმაოდ კრიტიკულია და ეს ვნახეთ ნოემბრის დღეებში. იქაც ჩვენი ხალხი იყო მისული და ხელისუფლებას აკრიტიკებდა, რაც, სამწუხაროდ, გამოიყენეს სხვა ძალებმა**



## ხედვა შორიდან

ცეს, ბუნებრივი ველარ იქნება. გაცხოველებული ადამიანი უკვე დეგენერატია. დეგენერატი გადაგვარებულ არსებას ნიშნავს.

საქართველოს ბულბული აკაკი ჩივის ადამიანის ნახევარცხოველობის გამოც კი:

**„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,**
**ხან არც ისა ვარ, არც ისა!**
**გარემოების საყვირი,**
**არც მიწისა ვარ, არც ცისა“.**

ლია, მაგრამ თვითონაც არ იცის ვის ან რას უგალობს. ადამიანმა კი შეუძლებელია არ იცოდეს ვისთვის და რისთვის გალობს.

პოლიტიკურობა უბრალოდ ადამიანობას ნიშნავს, აპოლიტიკურობა „გარეგან ფრინველობას“ და ცხოველად ქცევას.

7 ნოემბრამდე კიდევ შეიძლებოდა „იქაც და იქაც“ გასულიყავი; მაგრამ 7 ნოემბრის შემდეგ, „იქ“ გასვლა, მით უმეტეს „მასთან“ ჩაციკლება? ეს უკვე წმინდა წყლის დეგენერაციაა. რას უნდა შეგპირდეს (თორემ რის გამკეთებელია?!ძ, მაგალითად, როდიონოვი, რომ მასთან ჩაციკლების სურვილი აღგეძრას? თუმცა აქ ტოლობის ნიშნის დასმაც არ შეიძლება. რაც შეეხება მისთვის „ჩემი გმირის“ მიმღერებას, ეს არა მარტო „მომღერლის“, არამედ ძველი თბილისის კოლორიტული სიმღერის პროფანაციაც არის. თუმცა ეს უბედურება მარტო მომღერლების თავზე როდი ტრიალებს; მათზე „ნაკლები“ რით არიან სპორტსმენები. ამიტომ იმეორებს პროფესორი ლევან ბალდავაძეც დიდი ვაჟას პერიფრაზით: „ვის გვერდით დადგა ჭკვათხელი, ცნობაზე რად არ არია. ცხვირიდან უნდა ვადინოთ ზვიადაურსა ძმარია!“ („საქართველოს რესპუბლიკა“№244,13.12.2007ძ.

ვაჟას მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ იმის უნარს, თუ „ვის გვერდით იდგე“, „ცნობაზე ყოფნა“ სჭირდება. ცნობაზე სამყოფელად კი, სულ ცოტა, იმის გაგება მაინც მოგეთხოვება, რომელი საუკუნეა.

ნოდარ კობერიძეს, მაგალითად, „კოლოსალური ენერგიის კომპლე“ რომ მონატრებია, თავი დავით აღმაშენებლის ეპოქაში ჰგონია: „ნუ ავყვებით ცდუნებას, მოცემულ ისტორიულ მომენტში, საქართველოსთვის საპრეზიდენტო ინსტიტუტი მისი გადარჩენის გარანტიაა. მხოლოდ საპრეზიდენტო ინსტიტუტს ძალუძს გარნისის დიდგორად ქცევა, დღეს საქართველოს კოლოსალური ენერგიის პრეზიდენტი სჭირდება, იმიტომ, რომ ჩვენ მოდუნებულ გონიერებას (ჩვენ რა შუაში ვართ?- **ო. ხ.**ძ სალათას ძილის საშუალება არ მისცეს. მკრეხელობაა მავანი რომ აცხადებს, დღეს არსებული ხელისუფლების დამხობა დიდგორის ბრძოლის ტოლფასიაო, ეს არამარტო დიდგორის ველზე დაღუპულ გმირთა სულების შეურაცხყოფა, არა მარტო გამარჯვებულთა სულში ჩაფურთხებაა (ეს გამოთქმა საშინლად არაესთეტურია, მაგრამ ციტატაა - **ო. ხ.**ძ, არამედ... არ მინდა ცეცხლზე ნავთი დავასხა და ქართველთა შორის შინაომის გაჩაღების მცდელობა დიდგორს შევადარო...“ („საქართველოს რესპუბლიკა“№242,11.12.2007ძ.

აი, ასეთმა ანაქრონულმა „გონიერებამ“ აგვირია თავგზა, დაგვაკარგვინა აფხაზეთი და ოსეთის მხარე და გვაკარგვინებს მთელ საქართველოს. გაიღვიძეთ, ბ-ნო ნოდარ, დეპოში... უკაცრავად, დემოკრატიის ეპოქაში ვართ!

არისტოტელე, პოლიტიკურ არსებად რომ განსაზღვრავდა ადამიანს, თავისთავად გულისხმობდა მის მოაზროვნეობასაც, რადგან პოლიტიკურობა წარმოუდგენელია აზროვნების გარეშე. პოლიტიკურობა, ისევე როგორც აზროვნება, პროფესია არ არის, ადამიანისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანთვისებათაგანია.

# აგვირია თავგზა...

საქართველოს თანამედროვე უკვდავი სული ილიაც არსებითად ამასვე ჩივის თავის „კაციადამიანში“, ხოლო „პოეტში“ უკვე წმინდა ადამიანურ დანიშნულებაზე ამახვილებს ყურადღებას:

**„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო**
**ვით ფრინველმა გარეგანმა,**
**არა მარტო ტკბილ ხმებისთვის**
**გამომგზავნა ქვეყნად ცამა...“**

ეს ლექსი ბოლომდეა ჩასაკითხი, რადგან იქ „ერზეც“ არის საუბარი, უფრო სწორად, მისთვის „ტანჯვის ცრემლის მოწმენდაზე“, ურომლისოდაც ვერ გაიგება ვერც ადამიანი და ვერც ადამიანური სიმღერა. ბულბულიც ტკბილი მგალობე-

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე

## ინფორმაცია

### სოლომონ მეფის ბეჭდიანი სიგელი ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცეს

**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავს, სადაც 40.000-მდე ქართული ისტორიული დოკუმენტი ინახება, კიდევ ერთი საბუთი დაემატა.**

**თავად მამია ბარათაშვილის საგვარეულო სიგელი, რომელიც დამოწმებულია იმერეთის მეფის ბეჭდით, ხელმოწერილია სოლომონ მეფის მიერ და XVIII საუკუნით თარიღდება, დღეიდან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში შეინახება.**

**როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან იტყობინებიან, სიგელი 30-იან წლებში ბარათაშვილების ოჯახიდან მოიპარეს და მფლობელს მხოლოდ 30 წლის შემდეგ დაუბრუნდა.**

**ქეთევან ბარათაშვილმა, რომლის ოჯახშიც საგვარეულო სიგელი ინახებოდა, სურვილი გამოთქვა, საბუთი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისათვის გადაეცა.**

**ზედაპირული შესწავლით ეს არის ქართლიდან იმერეთში გადასული ბარათაშვილების სიგელი, რომლებმაც სოლომონ მეფესთან შეაფარეს თავი.**

**საბუთი შესრულებულია მხედრულით. დოკუმენტი საკმაოდ დაზიანებულია, ამიტომ ცენტრში არსებული რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორიაში მას რესტავრაცია ჩაუტარდება, შემდეგ კი ქართული ისტორიული საბუთების საცავში გადაინაცვლებს.**

### რუსული ეკლესიის ჯილდო ქართველ ისტორიკოსს

**რუსეთის საპატრიარქომ ქართველ ისტორიკოსს ზაზა აბაშიძეს რუსული ეკლესიის ჯილდო გადასცა.**

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეცნიერო-ენციკლოპედიური ცენტრის ხელმძღვანელს, ისტორიკოს ზაზა აბაშიძეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი II-მ რუსეთის ეკლესიის ჯილდო – მოსკოვის მიტროპოლიტის, წმინდა მაკარის III ხარისხის ორდენი გადასცა.**

**აღნიშნული ორდენი ზაზა აბაშიძეს მართლმადიდებლური ენციკლოპედიის XIII ტომისთვის მიენიჭა, რომლის პრეზენტაციაც 2007 წლის მარტში გაიმართა.**

**ჯილდოს გადაცემის ცერემონია მოსკოვში, მართლმადიდებლური ენციკლოპედიის მორიგი XIV და XV ტომების პრეზენტაციაზე შედგა, რომელსაც ქართველი მეცნიერი საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა.**

**ინტერპრესნიუსი**

## ნაციონალური მოძრაობა

# ნაზი არონია: პატარკაციშვილი სიღარიბეს ვერ დაამარცხებს, ის ოფიციალურად მილიარდერი არ არის

## აზრს გამოთქვამს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი



**– ქალბატონო ნაზი, თქვენ გასულ კვირას ბრძანდებოდით ზუგდიდში, რა ხდება სამეგრელოში, როგორია წინასაარჩევნო განწყობილება?**

– სააკაშვილის მიმართ ხალხის ისეთი სიყვარული, როგორც მასთან შეხვედრებზე ვნახე, ნამდვილად ვერ წარმომედგინა. დავინახე, თუ როგორ უჭერს მხარს საზოგადოება მიხეილ სააკაშვილს, როგორი გაგებით ეკიდებიან მის ყოველ ნაბიჯს. საათობით, წვიმაში ათასობით ადამიანი იდგა და ელოდა ბატონ მიხეილს. ბევრი თურმე სოფლიდანაც ვერ ჩამოვიდა და წუხდა...

ხალხი არ არის დღეს ვინმეს მიმართ უკრიტიკო თაყვანისმცემელი, პირიქით, საკმაოდ კრიტიკულია და ეს ვნახეთ ნოემბრის დღეებში. იქაც ჩვენი ხალხი იყო მისული და ხელისუფლებას აკრიტიკებდა, რაც, სამწუხაროდ, გამოიყენეს სხვა ძალებმა. ჩვენი საზოგადება არ არის ისეთი, რომ ფანატიკურად შეიყვაროს ვინმე, მაგრამ ამავე დროს ხედავს იმასაც, რომ სააკაშვილი ზრუნავს თავის ქვეყანაზე, ზრუნავს ხალხზე.

**– ესე იგი, სხვა ოპოზიციურ კანდიდატებს შანსი არა აქვთ?**

– დარწმუნებული ვარ, არც ერთ მათგანს გულის სიღრმეში არ სჯერა იმისა, რასაც ამბობს, გარდა პატარკაციშვილისა.

**– რას გულისხმობთ?**

– არ სჯერათ იმისა, როცა ამბობენ: „მე გავხდები პრეზიდენტი!“

**– რატომ არ უნდა სჯეროდეთ, დაუჯერებელი რა არის?**

– დაუჯერებელია ყველაფერ იმის გამო, რაც მათ გარშემო ხდება. ისინი ძალიან კარგად ხედავენ იმას, თუ რეალურად საზოგადოების რა ნაწილი უჭერს მათ მხარს. უბრალოდ, იხტიბარს არ იტეხენ!

**– თქვენ მათი რიგებიდან პატარკაციშვილი გამორიცხეთ, რატომ?**

– იმიტომ, რომ, მგონი, მას სჯერა თავისი ნათქვამისა. ის სხვაგვარად აზროვნებს. საერთოდ, ბიზნესმენები სწორ გათვლებს აკეთებენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად, ბატონი ბადრი სერიოზულ შეცდომას უშვებს. მას თავისი გაპრეზიდენტებისა რომ არ სჯეროდეს, ისე ლარს არ დახარჯავდა. მას ჰგონია, რომ ხმებს იყიდის.

ყველა მისი დაპირება საბოლოოდ გამოითქმის ერთი წინადადებით: „მე ვიყიდი!“ ანუ, „მე ვიყიდი თქვენს სიღარიბეს და შეგიცვლით...“

**– და რა, ვერ შეცვლის?**

– ვერ შეცვლის. ის არ არის მილიარდერი ოფიციალურად. მას შეიძლება ჰქონდეს უამრავი მილიონი, მაგრამ არაა მილიარდერი. ყოველ შემთხვევაში, რამდენი ფულიც არ უნდა მისცეს პატარკაციშვილმა გაჭირვებულ ქართველ ხალხს, მაინც ვერ მოისყიდის.

მილიარდერია ივანიშვილი, რომელიც აკეთებს უამრავ კარგ საქმეს, ის უხდის თავის რაიონს ხალხის ხელფასებს, პენსიებს, ოღონდ – უხმაუროდ. ესაა ქველმოქმედება.

მინდა გაგახსენოთ „ქრონიკის“ სიუჟეტები, სადაც გვიჩვენებდნენ გაჭირვებულ ოჯახს, ადამიანებს, ვთქვათ, ვიღაც ავადმყოფს და ა. შ. მეორე დღეს კი ვუყურებდით იმას, თუ როგორ ეხმარებოდა იმ ოჯახს პატარკაციშვილის ფონდი. ანუ პატარკაციშვილი წვეთ-წვეთობით, ნაბიჯ-ნაბიჯ იმკვიდრებდა ქველმოქმედების სახელს და ქმნიდა პორტრეტს გულმოწყალე ბადრი პატარკაციშვილისას. ის, რასაც დღეს ამბობს და ჰპირდება, გაეკეთებინა ერთი წლის წინათ, უხმაუროდ დახმარებოდა ხალხს, თუკი ამდენის შესაძლებლობა ჰქონდა, გაელო მილიონები, ვინ უშლიდა?

**– რისთვის სჭირდებოდა პატარკაციშვილს „პორტრეტის“ შექმნა?**

– იმისათვის, რომ ხალხის სიყვარული ეყიდა ამ დღისათვის!

**– საქართველოში ჩამოსვლისთანავე გეგმავდა ის პრეზიდენტობას?**

– არ ვიცი, როდის გაუჩნდა ამის სურვილი. თავიდან ის არ ფიქრობდა პოლიტიკაში ღიად მოსვლას. თუმცა უნდოდა, კულისებიდან ემართა ქვეყანაში სიტუაცია.

**– ეს როდის, შევარდნაძის დროს?**

– მაშინაც და მერეც. მაგრამ, როცა საამისოდ ბერკეტები ვერ გამონახა და მისი სურვილები გამოაშკარავდა, მერე სცადა პრეზიდენტობა.

**– მაინც რისთვის სჭირდება მას პრეზიდენტობა?**

– თავიდან არც სჭირდებოდა, უბრალოდ ძალაუფლება უნდოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

იხ. 6 გვ.

№ 250. პარასკევი, 21 დეკემბერი, 2007 წელი.

„სეპარატისტული აფხაზეთის მხრიდან ზემო აფხაზეთის ე.წ. დაბრუნების მცდელობა სავსებით რეალურია, არ ვიცი, რამდენად შეძლებენ ამას ახალ წლამდე, მაგრამ ფაქტები მართლაც იძლევა იმ დასკვნების საშუალებას, რომ ამას რუსეთი პუტინის მმართველობის დასრულებამდე გააკეთებს“



## ◉ ინფორმაცია

### ვაზისუბნიდან ჯიქიამდე ახალი „ისუზუებით“

**ვაზისუბნის მოსახლეობას ავტობუსის ახალი მარშრუტი მოემსახურება.**

ქალაქის მერმა გიგი უგულავამ გუშინ ვაზისუბნის II მიკრორაიონის №22 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტობუსის ახალი მარშრუტი გახსნა. პრეზენტაციას ისანი-სამგორის რაიონის გამგებელი გიორგი ქორქაშვილი და საქალაქო ტრანსპორტის სამსახურის უფროსი ბესო ჟღენტი ესწრებოდნენ.

უგულავა მოსახლეობასაც შეხვდა. მათ დედაქალაქის მერს თავიანთი პრობლემები გააცნეს.

რაც შეეხება მარშრუტს, 12 მიკროავტობუსი 15-წუთიანი ინტერვალით ორთაჭალის გავლით ვაკეში მოხვდება, თსუ-ს მაღლივ კორპუსს გაივლის და ბოლო გაჩერება ჯიქიას ქუჩაზე ექნება.

როგორც გიგი უგულავამ ჟურნალისტებს განუცხადა, აპრილამდე დედაქალაქში 300 ახალი ავტობუსი ჩამოვა და უახლოეს პერიოდში კიდევ 30 ახალი მარშრუტი გაიხსნება.

**ინტერპრესნიუსი**



## ◉ ექსპერტის აზრი

# მამუკა არეშიძე: აფხაზები კოდორის ხეობის აღებას პუტინის მმართველობის დასრულებამდე შეეცდებიან

**აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალების როტაციის ნიღბით დამატებითი ცოცხალი ძალა და მძიმე ტექნიკაა შეყვანილი. ეს ქმედება არაერთგზის გააპროტესტა ოფიციალურმა თბილისმა, თუმცა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ თბილისის ყოველ ამგვარ განცხადებაზე პასუხი მხოლოდ ერთია — როტაცია გეგმიურია და სამშვიდობო ძალების შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში მიმდინარეობსო.**

რუსული ე. წ. სამშვიდობო კონტინგენტი საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ დამატებით საგუშაგოებს დგამს და ზემო აფხაზეთის მისადგომებთან, კერძოდ, სოფელ ლათასა და ოჩამჩირის რაიონში, საცეცხლე წერტილებს ამაგრებს.

აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ განაცხადა, რომ საქართველოში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების დროს ქართული მხრიდან პროვოკაციებს ელის და მდ. ენგურზე მდებარე ადმინისტრაციულ საზღვარზე მიმდინარე წლის 8 დეკემბრიდან კონტროლი გაამკაცრა.

აღსანიშნავია ისიც, აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების წარმომადგენელთა თქმით, აფხაზეთის ტერიტორიაზე შეყვანილი ცოცხალი ძალა თვისებებითა და აღჭურვით სულაც არ ჰგავს სამშვიდობო კონტინგენტის წარმომადგენლებს. გამოითქვა არაერთი მოსაზრება იმის შესახებაც, რომ სეპარატისტული აფხაზეთის მთავრობა აფხაზეთის ე.წ. ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, კერძოდ, ზემო აფხაზეთის „დასაბრუნებლად“ ემზადება.

აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს სერგეი ბაღაფშისა და მისი მთავრობის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას გამონათქვამები, რომ აფხაზეთს კოდორის ხეობაზე უარი არ უთქვამს და ადრე თუ გვიან აუცილებლად დაიბრუნებს მას, როცა და როგორც საჭიროდ ჩათვლის.

სხვათა შორის, ბაღაფში აფხაზეთის მოსახლეობას კოდორის ხეობის დაბრუნებას საახალწლოდაც შეჰპირდა.

იმაზე, თუ რამდენად რეალურია სეპარატისტთა მხრიდან ზემო აფხაზეთის შტურმი, სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ესაუბრა. მას სავსებით რეალურად ესახება როგორც სეპარატისტთა მხრიდან ამგვარი მოქმედების განხორციელება, ისე რუსეთის მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში აფხაზეთის აღიარება.

„სეპარატისტული აფხაზეთის მხრიდან ზემო აფხაზეთის ე.წ. დაბრუნების მცდელობა სავსებით რეალურია, არ ვიცი, რამდენად შეძლებენ ამას ახალ წლამდე, მაგრამ ფაქტები მართლაც იძლევა იმ დასკვნების საშუალებას, რომ ამას რუსეთი პუტინის მმართველობის დასრულებამდე გააკეთებს“, — აცხადებს არეშიძე „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში. ექსპერტს ასევე სავსებით რეალურად მიაჩნია რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

„დღეისათვის რუსეთს ამ საკითხთან მიმართებაში სასწორზე ორი რამ უდევს. ესაა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში თავად რუსეთის შიგნით გამოწვეული ჯაჭვური რეაქცია და ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთი შეეცდება ოლიმპიური თამაშების ჩატარებამდე აფხაზეთის პრობლემა ავად თუ კარგად მოაგვაროს. სხვათა შორის, დიმიტრი მედვედევის ფიგურა დასავლეთს დღესდღეობით მოსწონს, ამიტომაც პუტინი თავისი მმართველობის დასასრულებამდე ყველანაირად ეცდება, მედვედევის ფიგურა დასავლეთის თვალში ასევე დატოვოს და იგივე დასავლეთს მისი გაკიცხვის საშუალება არ მისცეს“, — აცხადებს ექსპერტი და დასძენს, რომ პუტინის მიერ ე.წ. მედვედევისთვის გზის გაკვალვას პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე მისთვის მოუგვარებელი პრობლემების გადაჭრით შეეცდება.

„იმ შემთხვევაში, თუკი ეს პრობლემა დარჩა და მისი „მოგვარება“ პუტინის შემცვლელს დაეკისრა, არ არის გამორიცხული, სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს იგივე ბედი ეწიოთ, რაც ერთ დროს რუსეთის ავღანეთში შესვლით დაემართა რუსეთში დაგეგმილ ოლიმპიურ თამაშებს“, — აცხადებს არეშიძე და მოვლენათა შესაძლო განვითარების მეორე სცენარზე საუბრობს.

**„ასევე არ არის გამორიცხული, რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების რაღაც ნაწილთან გარიგებაზე წავიდეს და ამ გარიგების შედეგად საქართველოს გალის რეგიონი დაუბრუნდეს. თუმცა მოვლენათა ელვის სისწრაფით განვითარებისა და მწირი ინფორმაციის პირობებში დაბეჯითებით რამის მტკიცება ძნელია“, — დასძენს არეშიძე.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◉ ნაციონალური მოძრაობა

# ნაზი ჯანეზაშვილი: პატარკაციშვილი სიღარიბეს ვერ დაამარცხებს, ის ოფიციალურად მილიარდერი არ არის

**(მეხუთე გვერდიდან)**

**— ის გაბრაზებულია და კრიზაში უდგას ხელისუფლებას, თუ კიდევ არის ამის იქით რაიმე?**

— სხვა რა უნდა იყოს, მას ფული აქვს და ამ ფულის რეალიზება უნდა პოლიტიკაში. ძალაუფლება იზიდავს ხოლმე ადამიანებს.

**— საინტერესოა, ამ დაპირებათა იურიდიული მხარე, რამდენად კანონიერია ის?**

— თუკი დადასტურდება ის ფაქტები, რომ, როგორც ამბობენ, საახალწლოდ 500 დოლარი უნდა დაურიგოს ყველა ოჯახს, ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულია. ეს შეიძლება პირდაპირი გზით არ გააკეთოს და სხვა მექანიზმები გამოიყენოს. მაგრამ ჩვენ არ გვძინავს, ეს ფული რა გზით შემოვა, ამას ვაკონტროლებთ.

**— თუკი ფიქრობთ, რომ ხალხი მაინც არ მისცემს პატარკაციშვილს ხმას, მიიღონ ეს ფული გაჭირვებულმა ადამიანებმა, კარგი არაა?**

— ვნახოთ, რას გადაწყვეტს ქართველი ხალხი.

**— იმდენი ვისაუბრეთ პატარკაციშვილზე, მგონი, საააკაშვილის ყველაზე სერიოზულ კონკურენტად მას მიიჩნევთ?**

— არა, არანაირად! უბრალოდ ის იყენებს ისეთ ბერკეტს — დიდ ფულს, რასაც სხვა კანდიდატები ვერ იყენებენ.

**— მაშ, ვის მიიჩნევთ კონკურენტად?**

— არც ერთი არაა სერიოზული კონკურენტი.

**— რატომ ხართ ასეთი დარწმუნებული?**

— იმ შეცდომების გამო, რაც კანდიდატებს დაუშვიათ წარსულში. რა, გამყრელიძის შეცდომა არ ახსოვს ქართველ კაცს?! — როცა ის შევარდნაძის პარლამენტში შევიდა მაშინ, როცა ათასობით ადამიანი პარლამენტს გარეთ იდგა და შევარდნაძის გადადგომას ითხოვდა.

**— მაგრამ გავიხსენოთ გუშინდელი დღეც — 7 ნოემბერი, ეს ხომ უფრო ახლო წარსულია?**

— და თქვენ, როცა ხედავთ, რომ ამდენი ადამიანი მოდის სააკაშვილთან შეხვედრაზე, გგონიათ, მათ არ ახსოვთ?

**— და პატიოზნე?**

— ხალხი საღად აზროვნებს. განსაჯა და ფიქრობს, ეს რომ არ მომხდარიყო და მიტინგი არ დაშლილიყო, ჩვენ სისხლისღვრას მივიღებდითო.

**— რატომ, ძალიან მშვიდობიანი მიტინგი იყო..**

— ერთი პროვოცირებაც რომ ყოფილიყო, ერთი მსხვერპლი რომ ყოფილიყო, ჩვენ მივიღებდით დაპირისპირებას.

**— ეს არ მოხდა.**

— ყველამ მოისმინა ჩანაწერები და მიხვდნენ, რომ ეს იყო რუსეთიდან მართული და ამავე დროს — პატარკაციშვილისგან. დღეს, როცა 3 მილიონ ამომრჩეველს ჰპირდება ფულს, რაღად დასჭირდა თავის შტაბთან ხალხის მიტყუება?

**— ის ადამიანი, რომელიც იქ მართლა არ მისულა პატარკაციშვილის ფულის გამო, თქვენი განცხადების შემდეგ, შეურაცხყოფილი არ დარჩება?**

— არა, მე ვგულისხმობ ორგანიზატორებს. ხალხზე არ ვამბობ, ხალხი იქ მართლა გულწრფელად მივიდა.

**— სწორედ ეს მაინტერესებს, რამ მიიყვანა ადამიანები იქ, რას ფიქრობთ?**

— ჩვენ თვითონ ვეძებთ ჩვენს თავში შეცდომებს. ჩვენი სტრატეგია იყო ასეთი: გაგვეძლიერებინა თავდაცვა. გაგვეტარებინა განათლების რეფორმა, გვქონოდა შუქი, გზები. სახელმწიფოს პირველი შემოსავლები მივმართეთ აქეთკენ და ყურადღების მიღმა მიგვრჩა სოციალური სფერო. ხალხი კი ვერ ითმენს. ჩვენ ფული დიდი მიზნებისთვის დავხარჯეთ და ამის შედეგი რამდენიმე წლის შემდეგ გვექნება, მაგრამ ადამიანები დღეს, ხვალ ითხოვენ ცხოვრების ნორმალურ პირობებს.

**— მოთხოვნები, ბუნებრივია, სამართლიანი იყო, მაგრამ ხელისუფლების დამოკიდებულება იყო არაადეკვატური, ცინიკური. სოციალურ მოთხოვნასთან ერთად, ხშირად შენიშნავდით ასეთ წარწერას „არ მეშინია!..“**

— რისი არ ეშინიათ?

**— ეს მიანიშნებდა იმას, რომ ირღვევა ადამიანის უფლებები. თქვენ, როგორც იურისტი, გკითხავთ, გირგვლიანი ხომ ხელისუფლებამ მოკლა? ამაზე რა პასუხი გაქვთ?**

— ადამიანები, რომლებმაც ეს დანაშაული ჩაიდინეს, იხდიან სასჯელს.

**— თუმცა, არა იმდენს, რაც ეკუთვნით...**

— ამ საკითხში, კი, ბატონო, შეიძლება სხვადასხვა მოსაზრება არსებობდეს, მაგრამ კვალიფიკაცია, რომელიც ამ დანაშაულს მიეცა, ასეთია — სხეულის მძიმე დაზიანება, რასაც მოჰყვა სიკვდილი, ანუ თავიდანვე დაგეგმილი არ ყოფილა.

ეს ფაქტი იძლეოდა საფუძველს, რომ მომხდარიყო მისი ანგაჟირება და ოპოზიციამაც ხელიდან არ გაუშვა.

**— რას იტყვით იმ დარღვევებზე (დაცვა, შავნაბადის რეზიდენცია...ძ, რასაც ოპოზიცია უყენებს სააკაშვილს, ან საარჩევნო სიების უზუსტობაზე?**

— დაცვას არ იყენებს სრული უფლებით, ხოლო, თუ სად ცხოვრობს სააკაშვილი, მე არ ვიცი, ის რეზიდენციაში არ მინახავს. 24 საათიდან 4 საათი თუ სძინავს, იმიტომ, რომ სულ შეხვედრაზეა, ხან სად, ხან სად.

სიების თემაც იმისთვის ააგორეს, რომ დამარცხების შემდეგ თქვან, არჩევნები გააყალბესო. ნახონ, რამდენი კაცი მოდის სააკაშვილთან შეხვედრაზე, დათვალონ, რისთვის სჭირდება სააკაშვილს გაყალბება?!

**— რას ფიქრობთ საპარლამენტო არჩევნებზე. „ნაციონალები“ კვლავ უმრავლესობით მოხვალთ?**

— სააკაშვილი არ არის ერთი კაცი — ეს არის გუნდი, ერთიანი ხელისუფლება. როცა სააკაშვილი მოსწონთ, ეს ნიშნავს, რომ მოსწონთ ეს გუნდიც.

მართლა, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი გაიმარჯვებს!

ესაუბრა
**თეა მოსია**

№ 250. პარასკევი, 21 დეკემბერი. 2007 წელი.

# ვითარება

● არანაირი სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ხიდის დახურვის თაობაზე არ არსებობს. მიზეზად სახელდებოდა ხიდის ტექნიკური გაუმართაობა. აღნიშნულის შესახებ დროულად არ იქნა ინფორმირებული აზერბაიჯანული მხარე, რასაც მოჰყვა საპასუხო რეაქცია – ხიდის დახურვა ფეხით მოსიარულეთათვის



**ბოიკოტი**

***დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებმა ინგილოებმა საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ჰერების თქმით, პროტესტის მიზეზი საქართველო-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ხიდია,რომელიც ხელისუფლების დავალებით, სპეცრაზმმა 2005 წლის 31 დეკემბერს ჩაკეტა. ორი წელია, რაც სამთაწყაროში მცხოვრები ჰერები, საინგილოში მყოფ ნათესავებსა და ოჯახის წევრებს ვეღარ უკავშირდებიან. გაუსაძლისი პირობების გამო ინგილოების პროტესტს შესაძლოა მეზობელი სოფლების მოსახლეობაც შეუერთდეს.***

# ინგილოების პროტესტი

ხიდის გახსნის მოთხოვნით ინგილოებმა რამდენჯერმე გამართეს მშვიდობიანი აქცია, რომელიც პოლიციამ დაშალა. მოსახლეობამ სხვადასხვა დროს განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ადამიანის უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტს, პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, სახალხო დამცველის აპარატს და ა.შ. ცოტა ხნის წინათ, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ღია წერილით მიმართეს აზერბაიჯანში, კახის რაიონში მცხოვრებმა ინგილოებმაც.

გვეგონა, რომ თქვენ მაინც მოიცლიდით საქართველოს საზღვრისპირა სოფელში, ძალღუმადურად, მაგრამ მაინც ამაყად მცხოვრები ინგილოებისთვის. ვფიქრობდით, პრეზიდენტად თქვენი მოსვლის შემდეგ ისინიც იცხოვრებდნენ ადამიანურად და ისარგებლებდნენ ყველა იმ უფლებით, რაც მათ უნდა ჰქონდეთ. მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, 2005 წლის 31 დეკემბერს კახეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან გამოგზავნილმა ნილბიანებმა ხიდთან მიმავალი გზა გადათხარეს. მას შემდეგ, სამთაწყაროში მცხოვრები ჰერები ცდილობენ, გაიგონ რატომ მოხდა ასე, მაგრამ თანამდებობის პირების მხრიდან შეურაცხყოფის, დამცირებისა და მუქარების მეტი ვერაფერი მიიღეს. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ჩვენდამი უყურადღებობისა და აგდებული დამოკიდებულებისა, ვფიქრობთ, გუშინ და დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოგვაქცევთ ყურადღებას – წერდნენ ინგილოები.

არც ხელისუფლებიდან და არც ოპოზიციიდან მათ დღემდე არავინ გამოხმაურებია.

ჰერებმა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტების დახმარებით, სარჩელით სასამართლოს მიმართეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე უკვე მერვე თვეა რაც საქმეს იხილავს, მაგრამ გადაწყვეტილება დღემდე არ არის მიღებული.

სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ განმარტა: „დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროსა და საინგილოს დამაკავშირებელი ხიდის ჩაკეტვა სცდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული რწმუნებულის კომპეტენციის ფარგლებს და შესაბამისად, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ ადმინისტრაციული აქტი არ გამოცემულა“, – აღნიშნავს რწმუნებულის პირველი მოადგილე ზურაბ ბეჟანიშვილი.

არადა ინგილოების თქმით, ხიდი უშუალოდ პრეზიდენტის კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის პეტრე ცისკარიშვილის დავალებით ჩაიკეტა, რომელიც ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრია.

ხიდის ჩაკეტვასთან კავშირი საერთოდ უარყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურმა პოლიციამაც. „სოფელ სამთაწყაროში მდინარე ალაზანზე არსებული ხიდის ვარგისიანობის და მისი ექსპლუატაციის საკითხი არ შედის ფინანსური პოლიციის კომპეტენციაში“, – განაცხადა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზაზა თომაძემ.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დედოფლისწყაროს შს რაიონული განყოფილების ხელმძღვანელობამ ასევე უარყო კავშირი ხიდის ჩაკეტვის ფაქტთან. „საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე სამთაწყარო-მუღანლოს დამაკავშირებელ ხიდზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა შეწყდა 2006 წლის 1 იანვრიდან, ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტისა და ფინანსური პოლიციის სიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე. არანაირი სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ხიდის დახურვის თაობაზე არ არსებობს. მიზეზად სახელდებოდა ხიდის ტექნიკური გაუმართაობა. აღნიშნულის შესახებ დროულად არ იქნა ინფორმირებული აზერბაიჯანული მხარე, რასაც მოჰყვა საპასუხო რეაქცია – ხიდის დახურვა ფეხით მოსიარულეთათვის. ხიდის დახურვამ დიდი პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ინგილოებთან ახლო ნათესაური კავშირები აქვთ. ხშირად იქმნებოდა კონფლიქტური სიტუაცია. სასაზღვრო პოლიციის ძალისხმევით 2006 წლის 6 მაისიდან ხიდზე ფეხით მოსიარულეთათვის მოძრაობა აღდგა – განმარტავს სასაზღვრო პოლიციის საზღვრის დაცვისა და კონტროლის სამმართველოს საზღვრის დაცვის განყოფილების უფროსი ვალერი დათუნაშვილი.

დედოფლისწყაროს პოლიცია კი ძალისმიერი მეთოდებით და მუქარებით აქციის მონაწილე ინგილოების დაშლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უწოდებს.

რაც შეეხება საბაჟო დეპარტამენტს, ხიდის ჩაკეტვასთან კავშირს ისინიც უარყოფენ. დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის მ.ირემაშვილის ინფორმაციით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და მათ ხელთ არსებული მიმოწერიდან გამომდინარე, მდინარე ალაზანზე გადებულ ხიდზე შესაძლებელია მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება. „ხიდი დათვალიერებულია ვიზუალურად და აღმოჩნდა, რომ არ არის გამორიცხული მისი ნებისმიერ დროს ჩანგრევა.

იმის გათვალისწინებით, რომ ხიდი არ შედის საერთო სარგებლობის გზების ძსელში, მასზე მოძრაობის აკრძალვა ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციაა“, – მიაჩნია საავტომობილო გზების დეპარტამენტის იურისტს გიორგი გასვიანს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობაში კი აღნიშნავენ, რომ ხიდის ჩაკეტვის შესახებ მათთვის ოფიციალურად არავის უცნობებია. „ჩვენ არც ის ვიცით, რატომ აფერხებენ ხიდზე მოსახლეობის მიმოსვლას. ჩვენთან არაფერი შეთანხმებულა“– ამბობს დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის იურისტი.

ინგილოების ადვოკატის ლია ხუროშვილის თქმით, სასაზღვრო პოლიცია თანახმაა ხიდზე მანქანები გაატაროს, თუ მესაზღვრეებს ამის ნებას საბაჟო დართავს, რაზედაც ეს უწყება გაუგებარი, წარმოუდგენელი ბიუროკრატიული მიზეზების გამო დუმს“, – აცხადებს ადვოკატი.

მისივე ცნობით, მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძემ გამოიტანა გადაწყვეტილება ხიდისთვის ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო სარგოების გაღება კი, რომელიც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, მოსარჩელე ინგილოებს დაავალა.

დედოფლისწყაროს რაიონში მცხოვრებ ჰერებს ამ თანხის გადახდის საშუალება არ აქვთ. ხიდის ჩაკეტვის შემდეგ არა მარტო მათი სოციალური პირობები, არამედ ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუარესდა. „სამთაწყარო რაიონული ცენტრიდან დიდი მანძილით არის დაშორებული. სავალი გზაც ძალიან ცუდია. ზამთარში სრულ იზოლაციაში ვართ, რადგან თოვლისა და ყინვების გამო გზაზე მოძრაობა შეუძლებელია. საინგილოში კვირაში ერთხელ მაინც გადავდიოდით. იქ ვიტარებდით სამედიცინო შემოწმებას. გაჭირვების შემთხვევაში ნათესათვები გვეხმარებოდნენ პროდუქტით. საინგილოში მდებარე ეკლესიებში ვლოცულობდით, მაგრამ ეს ყველაფერი წაგვართვეს. დედოფლისწყაროდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა რომ მოვიდეს, ორი საათი სჭირდება. ამის გამო ბოლო დროს არაერთი ადამიანი გარდაიცვალა. სოციალური მდგომარეობა კი იმდენად მძიმეა, რომ ბევრმა ბავშვებიც ვერ მიიყვანა სკოლაში. ნახევარზე მეტი ხალხი თურქეთში, აზერბაიჯანში, ერაყში და სხვაგან არის წასული, სადაც ფიზიკურად მუშაობენ, რათა პურის ფული მოგვაწოდონ. ათობით ოჯახი სამთაწყაროდან საერთოდ წავიდა. სოფელი ალბათ დაიცლება“ – ამბობენ ინგილოები მარიამ საკანელაშვილი, ლევან პაპიაშვილი, თამარ ალიყულაშვილი და სხვები.

მათივე თქმით, ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადონ. „ჩვენ არც ერთი პოლიტიკური ძალის იმედი არ გვაქვს, ხალხის გაჭირვება არავის აინტერესებს“– აცხადებენ ჰერები.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“. საკ. კორ.**

**ოპოზიცია**

# რას მალავს კახა კუკავა კარადის თაროებზე?

**(მესამე გვერდიდან)**

(მესამე გვერდიდან)

კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებზე მისვლას ამომრჩეველთა 80 პროცენტი აპირებს. ეს ყველაფერი, საერთო ჯამში, გაყალბების ტექნოლოგიის შედეგებს მინიმუმამდე შეამცირებს.

**– ცესკოს მიერ ერაყსა და კოსოვოში ქართველი ჯარისკაცებისთვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევისა და შემდეგ მიხეილ სააკაშვილის სარჩელის საფუძველზე ამ უფლების აღდგენაზე რას იტყვით?**



– ეს ჩვეულებრივი პიარაქციაა. სასაცილო იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო რაიმე სხვა გადაწყვეტილებას გამოიტანდა. ყველამ ვიცით, რომ საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო არ არის. საქართველოში სასამართლო ზუსტად ისეთია, როგორიც უცნობის კლიპშია – თვალახვეული. რამდენიმე ჯარისკაცს ვიცნობ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ვაჟკაცები არიან და საქართველოსთვის იბრძვიან. თუ ისინი მართლა საქართველოსთვის იბრძვიან, იმ დღეს ერაყსა და კოსოვოში უნდა ყოფილიყვნენ და არა ფილარმონიაში მიხეილ სააკაშვილის შტაბში. 7 ნოემბერს იმ ადამიანების გვერდით, ვინც ქართველებს ესროლა, არანაირი მოტივით არ დავდგებოდი. მრცხვენია იმ ჯარისკაცების მაგივრად, ვინც ამტკიცებს, რომ საქართველოსთვის და ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ვიბრძვითო, მაგრამ იმ დღეს ფილარმონიის შტაბში ვანო მერაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის გვერდით იდგნენ. ისინი ქართველი „მიშა როდიონოვის“ გვერდით დგანან და ამას მათი სინდისი ვერასოდეს ჩამორეცხავს. ისინი ერაყის ერთიანობისთვის იბრძვიან. ჩვენ საქართველოს ერთიანობისთვის ვიბრძვით და თუ არ მოგვეხმარებიან, ხელს მაინც ნუ შეგვიშლიან და გზაზე ნუ გადაგვიდგებიან.

**– ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრები აცხადებთ მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო რესურსებს იყენებს და სხვა კანდიდატები არათანაბარ პირობებში იმყოფებიანო. ამ მხრივ სიტუაცია შეიცვალა?**

– საზოგადოებრიობა ხედავს, რომ მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის გადაადგილების მარშრუტს ერთი რესტორნიდან მეორეში სპეცრაზმის თანამშრომლები როგორ აკონტროლებენ. ჩვენ ვუყურებთ, თუ როგორ დაფრინავს ის სახელმწიფო შვეულმფრენით ერთი შეხვედრიდან –მეორეზე, როგორ აძლევს დავალებებს მინისტრებს, მაგრამ ეს მას მაინც ვერ უშველის. ეს ფაქტები ნამდვილად სამარცხვინოა. აჯობებს, მან კარგად გამოაჩინოს დავიწყებული სახეები – დათო კირკიტაძე, ვანო მერაბიშვილი და ისინიც ატაროს საარჩევნო შეხვედრებზე. ეს ყველაფერი კარგად ნანახი კინოა. მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის მეთოდებით მოქმედებს და მასაც მსგავსი დასასრული ექნება.

**– იძიებენ საარჩევნო კამპანიისას ოპოზიციურ შტაბებზე თავდასხმის, ხალხის ცემისა და მათი გატაცების ფაქტებს და ამ პროცესს რამდენად აკონტროლებთ?**

– ამ ფაქტებზე საქმე ჩვენს საარჩევნო შტაბშია აღძრული. ყველას ვინაობა, მისამართი და თანამდებობა ვიცით, ამიტომ 6 იანვარს ისინი ძალზე მკაცრ პასუხს მიიღებენ. მინდა ვუთხრა მათ, ვინც ამ გატაცებებში, თავდასხმებში მონაწილეობდა, მათი სახელი და გვარი ჩემი კარადის თაროებზე ინახება. ყველა მიიღებს პასუხს მაშინ, როცა საქართველოში ჭეშმარიტად დამოუკიდებელი მართლმსაჯულება გვექნება.

ესაუბრა
**მაია ხორგუაშვილი**

# დაპირებებს რა უნდა•

7 ნოემბერს დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ნამდვილი სახე. ამ დღეს მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენეს ისეთი სამხედრო დანაყოფი და იარაღი, რაც საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია



## ◎ ჟურნალისტური გამოძიება

*ნაციონალებს ახლადა გაახსენდათ ქვეყნის მოსახლეობის გასაჭირი, როდესაც საქართველოში მოახლოებულია მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები და პრეზიდენტყოფილი იძლევა დაპირებებს, არწმუნებს ხალხს, რომ მისი მეორედ გაპრეზიდენტების შემთხვევაში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები კვეთრად გაუმჯობესდება. ტყუილების ისტორია მეორდება, 2004 წელსაც ვარდებით „შეიარაღებული" მიხეილ სააკაშვილი პენსიონერებს ჰპირდებოდა უფასო საზოგადოებრივ ტრანსპორტს, სამედიცინო მომსახურებას და კომუნალურ შეღავათებს. პენსიონერები ენდნენ მის დანაპირებს და ხმა მისცეს, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. ამის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი კვლავ ჰპირდება ბროლის კოშკებს პენსიონერებს, ოღონდ სანაცვლოდ ისევ საარჩევნო ხმებს ითხოვს.*

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გაუფასურდა სწავლა-განათლების პროცესი საშუალო სკოლებში, რაც ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ქმნის ნიადაგს, რომ საქართველოში მოზარდი და ახალგაზრდა თაობებისათვის სწავლა-განათლება არ იყოს აუცილებელი.

ქვეყნის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მრავალჯერ გაიზარდა სწავლის საფასური და ეს მოხდა მაშინ, როცა პრეზიდენტყოფილი ახალგაზრდობას ჰპირდებოდა, რომ უფასო იქნებოდა ქვეყანაში სწავლა-განათლება. ფაქტობრივად კი სასწავლებლებში სწავლის ღირებულების ზრდამ ის გამოიწვია, რომ მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ, თანხის უქონლობის გამო, შეწყვიტა სწავლა-განათლების მიღება და სამუშაოს უქონლობის გამო იძულებული გახდა, წასულიყო ემიგრაციაში. სწორედ ამ ახალგაზრდების სახით ჩვენმა სამშობლომ დაკარგა ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები, რაც სამომავლოდ ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების უმრავლესობა სასწავლებლიდან განდევნეს, რამაც გამოიწვია სასწავლო პროცესის დაკნინება, უარყოფითად იმოქმედა ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებაზე. ამასთან, სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტს გაუუქმეს ლიცენზია, რითაც უბიძგეს ტექნიკური მეცნიერების და პრაქტიკოსი სპეციალისტების კადრების სამჭედლოს განადგურებას. საქართველოს დაუკარგეს ყველანაირი პერსპექტივა – ქვეყანაში განვითარდეს ტექნიკური მეცნიერების ესა თუ ის დარგები, რომელთა სამეცნიერო შედეგები მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

გაუქმდა სპორტის აკადემია, რამაც ქვეყანაში ეჭვქვეშ დააყენა სპორტის სხვადასხვა სახეობის სპეციალისტთა კადრების მომზადება. ეს, ბუნებრივია, მომავალში სპორტის განვითარებას საგრძნობლად დაამუხრუჭებს და გაზრდის სპორტსმენთა ემიგრაციას, რომელთა ღირსეული მიღწევებით ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა.

გაჩანაგდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განადგურებამდე მივიდა მევენახეობა, რამაც გამოიწვია მეღვინეობის და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის მოცულობის დაცემა. რუსეთთან წარმოებულმა ხისტმა და გაუმართლებელმა პოლიტიკამ ქვეყანას დააკარგვინა ღვინის რეალიზაციის ძირითადი ბაზარი, რაც უარყოფითად აისახა სახელმწიფო ბიუჯეტზე.

სოფლის მეურნეობის კულტურების მოვლა-პატრონობა იმდენად გაძვირდა, რომ გლეხი იძულებული გახდა გაეზარდა საკუთარი პროდუქციის ფასი, რაც მთლიანობაში უარყოფითად აისახა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სისტემატურად იზრდება საცალო ვაჭრობაში პურის ფასი, მცირდება მისი წონა, მოსახლეობა იძულებულია, მოიხმაროს ჯანმრთელობისათვის უხარისხო ფქვილიდან გამომცხვარი პური.

მრავალგზის გაიზარდა საზოგადოებრივი და სამგზავრო რკინიგზის ტრანსპორტით და სამოქალაქო ავიაციით სარგებლობის ღირებულება, რამაც ამ ტრანსპორტით სარგებლობა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მიუღწეველი გახდა.

რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ტარიფები იმდენად გაიდიდა, რომ ამ სატრანსპორტო სერვისის არაერთი სამამულო და უცხოელი კლიენტი ან გაკოტრდა, ან იძულებული გახდა უარი ეთქვა საქართველოს გავლით აღნიშნული ტრანსპორტით სარგებლობაზე, რამაც საქართველოს დააკარგვინა რკინიგზის სატრანზიტო ტვირთები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურება გახდა უფასო, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას არა აქვს ფინანსური შესაძლებლობა გაიაროს საჭირო და აუცილებელი მკურნალობა ქვეყნის ამა თუ იმ სამედიცინო კლინიკაში ან საავადმყოფოში. სახელმწიფო სამედიცინო დახმარების პროგრამა პრაქტიკულად არ მოქმედებს. ამ დროს არაერთი საავადმყოფო და სამედიცინო სამეცნიერო კლინიკური ინსტიტუტი საჩუქრად გადაეცა ფარმა-სადისტრიბუციო მაგნატებს „ავერსს" და „პსპ"-ს, რომელთა უკან დგანან ხელისუფლებაში მოკალათებული პირები.

საქართველოს საბანკო სისტემა აგრძელებს შევარდნაძისეულ ტრადიციას. არსებული საკრედიტო საპროცენტო გადასახადები, მსოფლიო და ევროკავშირის ქვეყნებისგან განსხვავებით, იმდენად მაღალია, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვნად უარესდება ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. მდიდრდებიან ბანკების მფლობელები და მათ ზურგს ამოფარებული ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მოკალათებული პირები. ამის შედეგად სამამულო მრეწველობის და აგრარული დარგის ფიზიკური და იურიდიული პირები ხდებიან უცხოელი ინვესტორების მიმართ კონკურენტუნაროები და ქვეყნის ეკონომიკა მიზანმიმართულად გადადის უცხოეთის კაპიტალის მფლობელობაში.

საქართველოს უმდიდრესი ტყეები გაიყიდა უცხო ქვეყნების იურიდიულ პირებზე, რაც ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად კაპიტალს – ტყეს აქცევს საექსპორტო მასალად და ქვეყანაში გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას.

უცხოელებს საჩუქრად გადაეცემათ ქვეყნის ჰიდროელექტროსადგურები და სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები და ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოში წარმოებულ ელექტროენერგიაზე 100-პროცენტიანი მოთხოვნილებაა. ასე თუ გაგრძელდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ გაიყიდება საქართველოს ენერგეტიკის ფლაგმანი ენგურჰესი, რომლის დებიტორული დავალიანება უკვე გადასცილდა 300 მილიონ ლარს. უფრო სავალალო კი ის არის, რომ თუ რუსეთი აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას ან მას მიიერთებს, მაშინ ოკუპირებულ გალის ტერიტორიაზე მდებარე ენგურჰესის მართვის ფარი გახდება ან დამოუკიდებელი აფხაზეთის ან რუსეთის კუთვნილი ქონება, რაც საქართველოსთვის იქნება ენერგეტიკული, ეკონომიკური და პოლიტიკური კატასტროფის ტოლფასი.

თბილისის საკრებულომ და მერიამ მიიღეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომლის შედეგად სასმელ წყალზე მრავალჯერ გაიზარდა ტარიფი, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ხალხის სოციალური ყოფა. ხელისუფლებამ ესეც არ იკმარა და „თბილისის წყალი" მიჰყიდა უცხოელ იურიდიულ პირს, რითაც სამომავლოდ საქართველოს ქვეყნის სტრატეგიული მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი დააკარგვინა.

# ტყუილების ისტორია მეორდება

## *დროა ქვეყანაში დამყარდეს თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა*

7 ნოემბერს დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ნამდვილი სახე. ამ დღეს მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენეს ისეთი სამხედრო დანაყოფი და იარაღი, რაც საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია. ხალხის დარბევამ გამოიწვია ასობით ადამიანის სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანება, ეს კი პირდაპირ ბრალად ედება საქართველოს პრეზიდენყოფილს.

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მასმედიის არც ერთ კრიტიკულ სტატიაზე, სატელევიზიო გადაცემასა თუ ჟურნალისტურ გამოძიებაზე, რომლებიც დოკუმენტალურ მასალებზე დაყრდნობით გაკეთდა, ხელისუფლების არც ერთ ორგანოს არ გაუცია პასუხი. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში იუწყებოდნენ, რომ „თქვენ მიერ მოყვანილი ფაქტები არ დასტურდება". და ეს მაშინ, როცა აღნიშნული მასალები წარმოადგენდნენ აშკარა მტკიცებულებას ამა თუ იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე.

ბოლო ოთხი წლის მანძილზე დაიხურა და შემდეგ გაიყიდა „საქინფორმი", გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან გამოაძევეს ათეულობით ჟურნალ-გაზეთის რედაქციები, ტელეკომპანია „კავკასია", რომლებიც ცდილობდნენ ობიექტურად აესახათ ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება. მასმედიის მიმართ ხელისუფლების მიერ განხორციელებული ანტიდემოკრატიული პოლიტიკის კულმინაციური წერტილი იყო 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის" დარბევა, რომლის შედეგად განადგურდა მისი აპარატურის დიდი ნაწილი, ჟურნალისტებს მიაყენეს ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, შეაჩერეს ტელეკომპანიის საქმიანობის ლიცენზია, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია საქართველოს დემოკრატიული იმიჯი და პერსპექტივა – გახდეს ევროკავშირისა და ნატოს წევრი.

თუ განვიხილავთ სააკაშვილის ხელისუფლების, განსაკუთრებით მის უმაღლეს ეშელონებში (პარლამენტი, მთავრობაძ მყოფი „ნაციონალების" რეალურ ქონებრივ დეკლარაციებს, ნათელი გახდება, თუ სად განიავდა ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში.

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს აფხაზეთიდან დევნილებმა მეორედ განიცადეს განდევნა, როცა ისინი ძალის გამოყენებით გამოყარეს დროებითი საცხოვრებელი ადგილებიდან. დღეს კი პრეზიდენტობის კანდიდატი ისევ ჰპირდება აფხაზეთიდან დევნილებს მდგომარეობის გამოსწორებას და აფხაზეთში დაბრუნებას.

ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის მიმართ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკა იმით დაიწყო, რომ დაიხურა ერგნეთის ბაზრობა, გაწყდა ეკონომიკური კავშირი საქართველოსა და ზემო სამაჩაბლოს სეპარატისტულ ნაწილს შორის. არადა ორივე მხარის მოსახლეობის ურთიერთეკონომიკური კავშირების ზრდის პროცესი საქართველოს აძლევდა რეალურ შანსს სეპარატისტული რეჟიმის მშვიდობიანი გზით დასამხობად.

პრეზიდენტყოფილ სააკაშვილის „მოღვაწეობის" მწვერვალია ხალხის დასაქმების პროგრამა, რომლის შედეგად ჩვენი ბიზნესმენები იძულებულები გახდნენ „დაასაჩუქრონ" 36 მილიონი ლარით დედაქალაქის 60 ათასი მოქალაქე. ამით იგივე ბიზნესმენები იძულებულები გახდნენ, აეწიათ ფასი საკუთარ პროდუქციაზე, რომლის მყიდველებიც თითოეული ჩვენგანია. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან ასეთი, ეგრეთ წოდებული „მოსახლეობის სასიკეთოდ" მიმართული ღონისძიებები სინამდვილეში ვერ შეამცირებს ქვეყანაში არსებულ უმუშევრობას, პირიქით, მნიშვნელოვნად გააუარესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე" მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას ამ წერილის გაცნობის შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის დროს, პასუხი გასცეს ჩვენ მიერ დასმულ კითხვას – დაე, ყველა ჩვენგანის მამულიშვილური გულისხმევით ერთხელ და სამუდამოდ პური ჭამოს სამართლიანობამ, რათა შეწყდეს საქართველოს ძარცვა, გაპარტახება, ყოველივე ძალადობა და ქართველი ერი, ჩვენი მოსახლეობა დაადგეს რეალური დემოკრატიის მშენებლობის გზას.



**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ვალერი ლისოჩენკო**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე"

# ღვაწლი

● ბატონი არონი ყოველთვის გამოირჩეოდა ხალასი ნიჭით, ბავშვობიდან და ოჯახიდან გამოყოლილი უდიდესი შრომისმოყვარეობითა და შეუბღალავი პატიოსნებით. ეს იყო მისი უმთავრესი ძალა და იარაღი, რომელსაც უანგაროდ ხარჯავდა ყველგან, სადაც კი მას უმუშავია. ის უპირველესად განუხრელად ასრულებდა კანონს



◎ პატივგება

# მართალი სამართლის გუშაგი

**როდესაც საქართველოს საბჭოთა პერიოდის მოღვაწე მაღალი თანამდებობის სამართალდამცველთა რიგებს თვალს ვავლებთ, უპირველესად ჩვენ წინ ცოცხლდება რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩევლის არონ ტაკიძის ნათელი და შთამბეჭდავი სახე, რომლის დაბადების 100 წლისთავი წლეულს 22 დეკემბერს სრულდება.**

არონ ერმილეს ძე ტაკიძე დაიბადა 1907 წლის 22 დეკემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, სიღარიბისა და ავადმყოფობის გამო, სწავლის თანამიმდევრულად გაგრძელება ვერ შეძლო. 1924 წელს დაამთავრა ჯუმათის შვიდწლედი. ერთხანს სწავლობდა ოზურგეთის ათწლედში. 1928 წელს გადადის ბათუმში, სადაც ჯერ მუშაობს ნავსადგურში მუშად, მერე — აჭარის უმაღლეს სასამართლოში საქმის მწარმოებლად, ცოტა ხნის შემდეგ — ბათუმის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს მდივნად. ამ პერიოდში სამსახურის მოუწყვეტლივ მიიღო საშუალო განათლება.

1931-1936 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია. უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1936 წელს აირჩიეს ბათუმის რაიონის სახალხო მოსამართლედ. 1938-1941 წლებში არის აჭარის უმაღლესი სასამართლოს წევრი, 1941-1945 წლებში — ბათუმის პროკურორი, 1945-1951 წლებში — აჭარის იუსტიციის მინისტრი, 1951-1959 წლებში აჭარის პროკურორი, 1959-1961 წლებში საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი, 1961-1970 წლებში — თბილისის პროკურორი, 1970-1976 წლებში — სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი.

ბატონი არონ ტაკიძე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1976 წლის 3 აგვისტოს გარდაიცვალა. დასაფლავებულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ბატონ არონს ცხოვრება და მოღვაწეობა უაღრესად რთულ და ძნელ პერიოდში მოუხდა, ეს არის ქვეყანაში მრავალი ძნელბედობის, გაუგებრობის, თვითნებობის, წინააღმდეგობისა და სხვა კატაკლიზმების წლები. მთელ საბჭოთა კავშირში მძვინვარებს პროტექციონიზმი, მექრთამეობა და სხვა მრავალი უსამართლობა. და ეს ხდება იმ უმაღლესი თანამდებობის პირებს შორისაც კი, რომელთაც მათ წინააღმდეგ ბრძოლა თავად ევალებოდათ.

ბატონი არონი ყოველთვის გამოირჩეოდა ხალასი ნიჭით, ბავშვობიდან და ოჯახიდან გამოყოლილი უდიდესი შრომისმოყვარეობითა და შეუბღალავი პატიოსნებით. ეს იყო მისი უმთავრესი ძალა და იარაღი, რომელსაც უანგაროდ ხარჯავდა ყველგან, სადაც კი მას უმუშავია. ის უპირველესად განუხრელად ასრულებდა კანონს. თვალ-ყურს ადევნებდა მის სამართლიანობას და პარალელურად მაღალ საკანონმდებლო ორგანოებში მუშაობისას, ეს იქნებოდა რაიონული, საქალაქო და უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა თუ პარტიის შესაბამისი დანაყოფებისა და ცენტრალური კომიტეტის წევრობა, — მუდამ ილვწოდა მისი დახვეწისა და სრულყოფისათვის. ამასთან ერთად, მას უტყუარი ალღო და უნარი შესწევდა, ბრმად არ გაჰყოლოდა სადირექტივო დებულებებსა და გადაწყვეტილებებს და კონკრეტულ შემთხვევებში კანონზევე დაყრდნობით შესაბამისი გადაწყვეტილებანი მიეღო. ის ყოველთვის „მართალი სამართლის" მტკიცე მსახური გახლდათ. მას მთელი სიმართლით შეიძლებოდა გაემეორებინა ვაჟა-ფშაველას სიტყვები — „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა".

ბატონი არონი არასდროს იბრძოდა პირადი კეთილდღეობისა და ფუფუნებისთვის. მისი მოქმედების საზომი და ქვაკუთხედი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისადმი განუხრელი სამსახური გახლდათ. მას თავისი ზემდგომი საკავშირო თუ რესპუბლიკური „ეჩო" ჩინოვნიკებისთვის თავისუფლად შეეძლო თვალი გაესწორებინა და დავით გურამიშვილის სიტყვები გადაჭრით ეთქვა:

„ვინც რომ ისრე უკუღმართად, მრუდად ხნას და თესოს, ფარცხოს, ის მე პურსა ნულარ მაჭმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს!".

იმ ძნელბედობის ჟამს, როდესაც პატიოსნების დეფიციტს საშინელი უბედურებანი მოჰქონდა, არონ ტაკიძე სწორედ ის შეუვალი მეციხოვნე იყო, ყველაფერს უიშვიათესი პატიოსნების სასწორით რომ ზომავდა და წონიდა. ამ მხრივ ის ემსგავსება ჩვენს უდიდეს მამულიშვილსა და ჭეშმარიტ ეროვნულ გმირს ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც საზღვარგარეთ შიმშილსა და სიცივეში თითოეულ ეროვნულ განძს დაჰკანკალებდა, უამრავ ჯიბესქელ გადამთიელს იგერიებდა და მათ მიერ შემოთავაზებულ მილიონებზე უარს ამბობდა. ასე რომ არ მოქცეულიყო და ყველა მისასვლელი არ ჩაეკეტა, განა ბატონ არონს ცოტას შესთავაზებდნენ?! დღეს შეიძლება უცნაურადაც ჩანდეს, მაგრამ ფაქტია, რამდენიმე ათეული წელი პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში მოღვაწეობდე, ფრიად საპასუხისმგებლო პოსტები გეჭიროს და ერთდროულად საზოგადოების უდიდესი სიყვარული და ხელისუფლების ულრმესი პატივისცემა დაიმსახურო, — ეს უთუოდ გმირობის ტოლფასია.

არონ ტაკიძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მრავალი მედლითა და საპატიო სიგელით.

ბატონი არონი რამდენადაც მტკიცე და მკაცრი იყო კანონების დაცვაში, იმდენად ცხოვრებასა და ჩვეულებრივ ურთიერთობაში თბილი, კეთილი და მოსიყვარულე ადამიანი გახლდათ. სადღესასწაულო დღეებსა და მნიშვნელოვან ღონისძიებათა ჩატარების შემდეგ თანამშრომლებთან სადა ტრაპეზების გამართვა უყვარდა, სადაც მისი ღრმა ადამიანური და კეთილშობილური ბუნება ვლინდებოდა.

ბატონი არონი შესანიშნავი მეოჯახე იყო, მეუღლე — ქალბატონი ანიკო კალანდარიშვილი ერთგულად გვერდში ედგა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა სამსახურებრივ საქმიანობაში. აღზარდეს სამი შვილი, და ისიც ნიშანდობლივია, — არც ერთი იურისტი: ყველანი ქართულ ხელოვნებასა და განათლებას ემსახურებიან. რევაზ ტაკიძე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორია, შვილიშვილებიდან ანა ტაკიძე პიანისტია.

დღეს, როცა არონ ტაკიძის დაბადების მეასე წლისთავზე მის დამსახურებაზე ვსაუბრობთ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მაღალი ზნეობის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ყოველი ეპოქისთვის სანატრელია, ხოლო დღევანდელ დამოუკიდებელ საქართველოს ჰაერივით სჭირდება.

**რევაზ ყიფიანი,**
**სოლომონ ნანიტაშვილი,**
**გოდერძი ბორჩხაძე,**
**ზაურ ქილიფთარი.**

◎ ინფორმაცია

## „საქართველოს ხელისუფლება ზღვარს გადავიდა"

**20 დეკემბერს „Human Rights Watch"-მა 7 ნოემბრის მიტინგის დარბევასთან დაკავშირებით ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხელისუფლების, როგორც ადამიანის უფლებების დამცველის რეპუტაცია შეილახა.**

**„ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს ხელისუფლება ზღვარს გადავიდა, როდესაც პოლიციელები მისდევდნენ და უტრყამდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს, ემუქრებოდნენ და სცემდნენ ჟურნალისტებს. 7 ნოემბრის ოპერაციები არ წარმოადგენდა წესრიგის დამყარების ლეგიტიმურ საშუალებას. მათ სერიოზული ზიანი მიაყენეს საქართველოს, როგორც ადამიანის უფლებების დამცველის რეპუტაციას", — განაცხადა „Human Rights Watch"-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორმა, ჰოლი კარტნერმა.**

**„Human Rights Watch"-ის 102-გვერდიან ანგარიშში განხილულია დემონსტრანტების ძალით გამოყენებით დაშლა და ტელეკომპანია „იმედის" დარბევა.**

**ორგანიზაციის წარმომადგენლები რეკომენდაციას აძლევენ საქართველოს ხელისუფლებას, რომ ყველაფერი გააკეთოს მსგავსი ფაქტების განმეორების თავიდან ასაცილებლად. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს მთავრობა რეკომენდაციებს არ გაითვალისწინებს, „Human Rights Watch"-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობაზე მოხდეს ზეწოლა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.**

## მკვდარი სულები, დუბლიკატი ყუთები და ახლებური კარუსელები

**პრეზიდენტობის კანდიდატის არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბმა ამომრჩეველთა სიებში აღმოჩენილი შეცდომები და დარღვევები გამოაქვეყნა.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე შტაბის წარმომადგენელმა დავით შუკაკიძემ განაცხადა, ამომრჩეველთა რაოდენობა ერთი მესამედით არის გაზრდილი.**

**— ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა იუსტიციის სამინისტროს სარეგისტრაციო ბაზის მონაცემები, რომელიც ცესკოს მონაცემებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. დღევანდელი მონაცემებით, სიებში შეყვანილი ამომრჩევლებიდან 14.561 საზღვარგარეთ ცხოვრობს, 6.432 საქართველოის მოქალაქე არ არის, 5.690 კი გარდაცვლილია. სიებში აღმოვაჩინეთ 190 ათასი გამეორებაც. ეს ყველაფერი ხელისუფლებას არჩევნების დღეს ე. წ. კარუსელებისთვის სჭირდება, — განაცხადა შუკაკიძემ.**

**მისივე თქმით, ხელისუფლება ამზადებს საარჩევნო ყუთების ე.წ. დუბლიკატებს, რომლებითაც 5 იანვარს საარჩევნო უბნებზე ყუთების შეცვლას აპირებს. თუმცა, შუკაკიძე აცხადებს, რომ პატარკაციშვილის საარჩევნოი შტაბის წარმომადგენლები არ დაუშვებენ, რომ ხელისუფლებამ ეს განზრახვა განახორციელოს.**

**— გარდა ამისა, სახელისუფლო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანებს ავალებენ, რომ არჩევანის დაფიქსირების შემდეგ, საკუთარი ბიულეტენის ფოტო მობილური ტელეფონის საშუალებით გადაიღონ და შემდეგ ეს ფოტო ხელმძღვანელებს აჩვენონ. ეს კანონისა და ამომრჩევლის უფლების უხეში დარღვევაა, — განაცხადა შუკაკიძემ.**

**მან აღნიშნა, რომ ხელისუფლების ბევრი მაღალჩინოსანი პატარკაციშვილის შტაბის წევრებთან კონტაქტზე გამოდის, საპრეზიდენტო არჩევნებში პატარკაციშვილის გამარჯვების შემთხვევაში ხელშეუხებლობის გარანტიას ითხოვს და სხვადასხვა სახის ინფორმაციებსაც აწვდის.**

**—ამდენად, უშიშროების საბჭოს სხდომებს დახურულად ამაოდ ატარებენ, ჩვენ ინფორმაცია ამ სხდომებიდანაც გვაქვს, — განაცხადა პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელმა.**

**შუკაკიძემ პატარკაციშვილის ხელშეუხებლობის გარანტიების არარსებობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაკავების გარდა, არ არსებობს იმის გარანტიაც, რომ არ მოხდება პატარკაციშვილის ლიკვიდაცია.**

**მისივე ინფორმაციით, ბოლო სამი დღის განმავლობაში ცენტრალურ შტაბში 9600-მა მხარდამჭერმა გაიარა რეგისტრაცია და ეს პროცესი რაიონულ შტაბებშიც აქტიურად მიმდინარეობს.**

## ტელევიზორებით მაინც ვლიდერობთ თურმე

**საქართველო ყოველ ათას მოსახლეზე არსებული ტელევიზორების რაოდენობით მსოფლიო ლიდერთა ათეულშია.**

**აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული საინფორმაციო ბიულეტენის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში ყოველ 1000 მოსახლეზე 549,5 ტელევიზორი მოდის.**

**საინფორმაციო ბიულეტენის თანახმად, აბსოლუტური ლიდერის ადგილი ბერმუდის კუნძულებმა 1009,71 ტელევიზორით მოიპოვეს. ლიდერთა შორისაა მონაკო და აშშ 740,53 ტელევიზორით ყოველ ათას მოსახლეზე. ლიდერთა ათეულში არიან მალტა, იაპონია, კანადა, ვირჯინიის კუნძულები, გერმანია, ფინეთი და ლუქსემბურგი.**

**საქართველოს ჩამორჩებიან იტალია (521,49ძ, ბრიტანეთი (504,62ძ, სამხრეთ კორეა (326,88ძ, ჩინეთი (306ძ, თურქეთი(300ძ, ისრაელი (269ძ, საბერძნეთი და სხვები.**

**პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე მეტი ტელევიზორი საქართველოს შემდეგ ბალტიის ქვეყნების მოსახლეობას აღმოაჩნდა. რუსეთში ეს მაჩვენებელი 421,8 განისაზღვრა.**

**შედარებით უარესი მდგომარეობაა უკრაინაში, მოლდოვასა და სომხეთში. ამ ქვეყნებში ათას მოსახლეზე საშუალოდ 250-300 ტელევიზორი მოდის.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

• კონფერენციის მონაწილენი შეთანხმდნენ იმაზე, რომ შეერთებული შტატები ალბათ გააგრძელებს საქართველოსთვის დახმარების გაწევას იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქაური დემოკრატია სავსებით ვერ დაემთხვევა დასავლეთის წარმოდგენებს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს დემოკრატია




◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დემოკრატია საქართველოში: ექსპერტების აზრი

გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მიიღო სარეკომენდაციო რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდებს საქართველოს მთავრობას იანვარში ჩაატაროს თავისუფალი და გამჭვირვალე საპრეზიდენტო არჩევნები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ხელი არ შეუშალოს ამ არჩევნების ფართოდ გაშუქებაში. რეზოლუცია ასევე მოუწოდებს პრეზიდენტ ბუშსაც საჯაროდ გამოხატოს მტკიცე მხარდაჭერა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების აღდგენის პროცესისადმი და მაღალ შეფასებას აძლევს ქართველ ხელისუფალთა გადაწყვეტილებას საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შესახებ.

— საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის აკრძალვა. საქართველოს ხელისუფლებას ამას მოუწოდებდნენ არა მარტო ამ ქვეყნის ოპოზიცია, არამედ დასავლეთის მთავრობებიც და სამართალდამცავი ორგანიზაციებიც. ამ მოთხოვნას ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს ნიუიორკში კოლუმბიის უნივერსიტეტში გამართული ამერიკელ პოლიტოლოგთა კონფერენციის მონაწილენიც, კონფერენციისა რომელიც საქართველოში დემოკრატიის განვითარების პრობლემებს მიეძღვნა.

— სამართალდამცავი ორგანიზაციის Freedom House-ის კლასიფიკაციით, საქართველო „ნახევრადთავისუფალი“ ქვეყანაა. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლის ქრისტოფერ უოკერის თქმით, 1903 წელს ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში განხორციელდა დემოკრატიული რეფორმები, მაგრამ მთლიანად სურათი არც ისე ნათელია: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში და მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში მიღწეული გარკვეული წარმატებების ფონზე შეიმჩნევა პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციისადმი ტენდენცია, სასამართლო ორგანოების დამოკიდებულება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, სამოქალაქო საზოგადოების როლის დაქვეითება.

ეს 2006 წლის მონაცემებია, რომლებშიც გათვალისწინებული არ არის ამა წლის 7 ნოემბრის მოვლენები, როცა საქართველოს ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა ოპოზიციის დემონსტრაციების გარეკვის დროს და მცირე ხნით საგანგებო მდგომარეობაც შემოიღო. ეს ზომები ერთსულოვნად დაგმეს სამართალდამცავმა ორგანიზაციებმა. კონფერენციის მონაწილეებმა გამოკვეთეს ორი შესაძლებელი მიდგომა 7 ნოემბრის მოვლენებისადმი: ისინი შეიძლება განიმარტოს ან როგორც დემოკრატიის ჩავარდნა, ან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეპრესიულ ნაბიჯებს ეწოდოს შეცდომა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია. კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მეორე მიდგომას კრიტიკოსებს მოუწოდა „წყალს ბავშვიც არ გადააყოლონ“.

ამავე დროს კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ოპოზიციის ნოემბრის გამოსვლები მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა. გამოითქვა აზრი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თვითონ შეუწყო ხელი ოპოზიციის რადიკალიზაციას, როცა მას პოლიტიკური ველის ბოლოსკენ უბიძგა.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ლინკოლნ მიტჩელის აზრით, ახლა მთავარია, რომ მომავალი წლის 5 იანვრისთვის დანიშნული არჩევნები მაქსიმალურად თავისუფალი და გამჭვირვალე იყოს. მაგრამ ეს სრულიადაც არ კმარა. პროფესორი მიტჩელი თვლის, რომ პრეზიდენტის წინაშე (პრეზიდენტი კი მისი აზრით, ალბათ, ისევ მიხეილ სააკაშვილი გახდება), არცთუ იოლი ამოცანები დადგება. ახალმა პრეზიდენტმა უნდა გააორკეცოს ძალისხმევა საქართველოს დემოკრატიზაციისთვის. მეტი მოთმინებით მოეკიდოს ოპოზიციას, უფრო გაითვალისწინოს პარლამენტის აზრი, რეალურად უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა. ასე რომ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რაც მოხდება 6 იანვარს, არჩევნების შემდეგ.

— კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შეერთებული შტატები „ვარდების რევოლუციას“ „ზედმეტი ოპტიმიზმით“ შეხვდა და იმთავითვე არიდებდა თავს პრეზიდენტ სააკაშვილის კრიტიკას, მაშინაც კი, როცა ის ამას იმსახურებდა. პროფესორ მიტჩელის აზრით, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართულმა დემოკრატიამ ნოემბერში უკან გადადგა ნაბიჯი. „ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ საქართველოს, — თქვა მან, — და შეგვიძლია ეს დახმარება უფრო ქმედითი გავხადოთ, თუ ხელს შევუწყობთ დემოკრატიის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ გააძლიერებს საქართველოს სახელმწიფოებრიობას, და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დაეხმარება ამ ქვეყნის რიგით მცხოვრებს აიმაღლოს კეთილდღეობა, ისარგებლოს დემოკრატიული თავისუფლებებით და გამოიყენოს ეკონომიკური შესაძლებლობანი.

ამავე დროს კონფერენციის მონაწილენი შეთანხმდნენ იმაზე, რომ შეერთებული შტატები ალბათ გააგრძელებს საქართველოსთვის დახმარების გაწევას იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქაური დემოკრატია სავსებით ვერ დაემთხვევა დასავლეთის წარმოდგენებს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს დემოკრატია. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ლეგვოლდი აღიარებს, რომ ამაში არის ჩადებული ორმაგი სტანდარტის ელემენტი: „შესაძლოა ამერიკელები, როგორც რუსები იტყოდნენ, შედარებით ზერელედ უყურებენ საქართველოში არსებულ რეჟიმს, როცა აქებენ მის მიღწევებს და თავს იკავებენ კრიტიკისაგან. და მაინც, ამერიკის ან ევროპის თვალსაზრისით, სიტუაცია სულ სხვაგვარად გამოიყურება. ის, რაც 7 ნოემბერს მოხდა, არ შეიძლება შევადაროთ, მაგალითად, გასული წლის მარტში მინსკში მომხდარ დემონსტრაციების გარეკვას. ეს ორი სრულიად სხვადასხვა რეჟიმია“.

პროფესორ მიტჩელს სრულიადაც არ მიაჩნია საძრახისად, თუ ამერიკის შეერთებული შტატები თავის მოკავშირეთა მხარდასაჭერად ორმაგ სტანდარტებს გამოიყენებს: „სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა მოკავშირეები ჰყავს. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა სტრატეგიული, ეკონომიკური და უშიშროებასთან დაკავშირებული ინტერესები მსოფლიოში. და ყოველი მოკავშირე ვერ იქნება სრულყოფილი დემოკრატიული ქვეყანა. ასეთია რეალობა. ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ ჩვენ მოკავშირეებს დემოკრატიის განვითარების საქმეში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არადემოკრატიულ მოკავშირეთა მხარდაჭერა ჩვენი მხრივ პირმოთნეობაა“.

პოლიტიკური ბიულეტენის The National Interest-ის ნიკოლაი გვოზდევის აზრით, საქართველოსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები ამერიკელ პოლიტიკოსებს უსვამენ სერიოზულ კითხვებს: უნდა იყოს თუ არა დემოკრატიის განვითარება მთავარი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში? უნდა დავუჭიროთ თუ არა მხარი ძლიერ ლიდერებს საზღვარგარეთ ამ დემოკრატიულ პროცედურებს? შეიძლება თუ არა სახელმწიფოებრივი მშენებლობა განხორციელდეს დემოკრატიის პირობებში? რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა: საპრეზიდენტო რესპუბლიკას თუ საპარლამენტოს? ამ კითხვებზე კონფერენციამ ცალსახა პასუხები ვერ გასცა.

**მიხაილ გუტკინი**

VOA NEWS Голос Америки

# რა ღირს საქართველოში პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის ნებაყოფლობით მოხსნა?

პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა ფაზილ ალიევმა, რომელიც ახლა ბაქოში იმყოფება, ჟურნალისტებს გააცნო ის მოტივები, რომლებმაც ის აიძულა ჩართულიყო „საპრეზიდენტო მარათონში“ და ელაპარაკა იმ დივიდენდებზე, რომლებიც უკვე მოუტანა და მომავალში მოუტანს სახელმწიფოს მეთაურობაზე ნებაყოფლობით უარის თქმა.

ყოფილმა კანდიდატმა დაიწყო „მოტივებით“: მისი თქმით, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები უკვე მრავალი წელია ზეწოლას განიცდიან ხელისუფალთა მხრიდან.

„ჩვენ არ გვილებენ სახელმწიფო სამსახურში, პრობლემებს გვიქმნიან მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასთან დაკავშირებით, არ იძიებენ აზერბაიჯანელთა მიმართ ჩადენილ დანაშაულობებს. მარტო უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში მოკლულია 40-მდე აზერბაიჯანელი, მაგრამ არც ერთის მკვლელი ჯერაც ვერ უპოვიათ. გარდა ამისა, ყოველ წელს იზრდება დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, ირღვევა საქართველოს ექვსასიათასიანი აზერბაიჯანელი მოსახლეობის ელემენტარული უფლებები“, — აღნიშნა ფაზილ ალიევმა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფალნი პრაქტიკულად სრულიადაც არ უწევენ ანგარიშს ამ ქვეყნად მცხოვრებ აზერბაიჯანულ მოსახლეობას.



„ისინი ჩვენ აზერბაიჯანელებად არც კი მოგვიხსენიებენ. მათთვის, ისევე როგორც მეფის რუსეთისთვის, თათრებად დავრჩით. ამიტომაც გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო არჩევნებში და ამით მიმექცია საქართველოს ხელისუფალთა, საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება ამ ქვეყანაში აზერბაიჯანელთა პრობლემებისადმი“, — განაცხადა პრეზიდენტობის ექსკანდიდატმა.

ფაზილ ალიევმა თქვა, რომ მისმა გადაწყვეტილებამ ხელისუფლება დააბნია: „ისინი მიხვდნენ, რომ ადვილად შეიძლება დაკარგონ ბორჩალოელთა 300 ათასი ხმა. ამასთან ჩემ კანდიდატურას მხარდაჭერა მაშინვე გამოუცხადა სამმა პოლიტიკურმა პარტიამ, ასე რომ, თუ არჩევნებში მონაწილეობას მივიღებდი, შემეძლო სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების მხარდაჭერის იმედიც მქონოდა. სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, მე მესამემეოთხე ადგილი მეკავა კანდიდატებს შორის პოპულარობის მიხედვით“, — შენიშნა მან.

მაგრამ, როცა ფაზილ ალიევმა რეალურად შეაფასა თავისი შესაძლებლობანი, დაეკავებინა საქართველოს მეთაურის სავარძელი, გადაწყვიტა ნებაყოფლობით ეთქვა უარი საარჩევნო კამპანიაში შემდგომ მონაწილეობაზე. ამასთან ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, ფაზილ ალიევმა დაასკვნა, რომ მაინც ვერ გაიმარჯვებდა არჩევნებში, ხოლო ბორჩალოს მოსახლეობა შეიძლება დაზარალებულიყო სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლების სათავეში ხელახლა მოსვლის შემდეგ.

„ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით შეიძლებოდა ჩვენს წინააღმდეგ მოეწყოთ პროვოკაციები. გარდა ამისა, ჩვენ უნდა დაგვეზოგა ადამიანები მომავალი საქმიანობისათვის“, — თქვა მან.

მაგრამ მიუხედავად ზემოთქმულისა, ფაზილ ალიევი ოპტიმისტურადაა განწყობილი, რადგან მიაჩნია, რომ პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლის შეწყვეტამ მას და საქართველოს აზერბაიჯანელ მოსახლეობას გარკვეული დივიდენდები მოუტანა.

„ჯერ ერთი, აზერბაიჯანელებს უკვე ანგარიშს უწევენ. ჩვენ ახლა სერიოზულ ძალად მიგვიჩნევენ. მეორეც, მე მივიღე გარანტია იმისა, რომ ხელისუფლება დაბრკოლებას არ შეგვიქმნის პოლიტიკური პარტიის შექმნაში. საქართველოში აკრძალულია პარტიების შექმნა ეროვნული ნიშნის მიხედვით, ამიტომაც ჩვენი პარტია მრავალეროვნული იქნება. და კიდევ, ხელისუფლება დამპირდა, რომ გაათავისუფლებს სხვადასხვა ვადით მსჯავრდებულ 40 აზერბაიჯანელს, რომელთა შორის არიან უმნიშვნელო დანაშაულებათა ჩამდენნიც. უკვე გაათავისუფლეს ხუთამდე ადამიანი. გარდა ამისა, ბორჩალოელთა ყოველმა ოჯახმა მიიღო ერთი ტომარა ფქვილი და შეშის ვაუჩერი“, — თქვა საქართველოს მეთაურის პოსტზე ექს-პრეტენდენტმა.

ფაზილ ალიევის თქმით, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მდგომარეობა შეიცვალა მისი პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნის სულ ათიოდე დღის მანძილზე.

შემდეგ ფაზილ ალიევმა დააზუსტა, რომ თავისი კანდიდატურა მოხსნა არა რომელიმე სხვა კანდიდატის სასარგებლოდ: „მე ეს ნაბიჯი გადავდგი მომავალი პოლიტიკური პარტიისათვის. საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. ჩვენ მას შევხვდებით ორგანიზაციულად მტკიცენი და ერთიანნი. ახლა ჩვენი ამბიციები მეტი იქნება, ვიდრე მოთხოვნები, ჩვენ მოვითხოვთ, რომ აზერბაიჯანული სკოლის დირექტორი აზერბაიჯანელი იყოს. ჩვენ პრეტენზიებს ვაცხადებთ საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობაში და მთავრობაში ეროვნულ წარმომადგენლობაზე. აბა რატომ უნდა იყვნენ სხვა ეროვნულ უმცირესობათა, რიცხობრივად ჩვენზე ნაკლებ უმცირესობათა წარმომადგენლები საქართველოს ხელმძღვანელ სტრუქტურებში, ჩვენ კი არ ვიყოთ?“, — განაცხადა ფაზილ ალიევმა.

**მ. მამედოვი**

Зеркало

№ 250. პარასკევი, 21 დეკემბერი, 2007 წელი.

# დღეს

● უკრაინაში მცხოვრები ქართველები ერთმანეთს არ ვკარგავთ. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს დევნილობაში მყოფ ოსებთან და აფხაზებთან, რომლებმაც ომის შემდეგ ჩვენთან ერთად დატოვეს საქართველო



**◎ სტუმრად სამშობლოში**

# სუმს შეფარებულნი

## ისინი დაბრუნების იმედით ცოცხლობენ

**საქართველოში თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს ერთი ემიგრანტი მაინც. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეხვდებით ბედის უკუღმართობის გამო სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს. გამონაკლისი ამ მხრივ არც უკრაინაა.**

ქალაქ სუმის ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი მადონა მეზონია ამბობს, რომ უკრაინაში 45 ათასამდე ქართველი ცხოვრობს. ისინი ყველანაირად ცდილობენ, არ მოწყდნენ ქართულ ფესვებს, მშობლიურ საქართველოს. ქართული სათვისტომოები, საკვირაო სკოლები და ანსამბლები ამ მეზობელ ქვეყანაში თითქმის ყველგანაა, სადაც ქართველები ცხოვრობენ.

ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში სუმის ქართული სათვისტომოს სახსრებით შექმნილი ივერიის ღვთისმშობლის ხატი იყო დაბრძანებული. 14 დეკემბერს ჩატარდა პარაკლისი, რომელსაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია და სუმში მცხოვრები ქართველები ესწრებოდნენ. ეს იყო საოცრად ამაღლებული, ლამაზი დღე. უკრაინელ ქართველებს თვალებში ჰქონდათ სევდა — სამშობლოს მონატრებითა და სიშორით გამოწვეული... ქალბატონმა მადონა მეზონიამ ჩვენთან საუბრისას თქვა: „14 წელია უკრაინაში ვცხოვრობ. ჩვენ, სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილი ქართველები, უკრაინელებმა მიგვიღეს და შეგვიფარეს. ამ ქვეყანაში ათასობით დევნილი ცხოვრობს. სუმის ქართული სათვისტომო ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ იქაურ ქართველებს მუდმივად ჰქონდეთ კონტაქტი სამშობლოსთან.

სუმის საპატრიარქოს შენობაში გახსნილია დავით გურამიშვილის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა. ქართული სათვისტომოს დახმარებითა და სურვილით შევხვდი უწმინდესსა და უნეტარესს — ილია II-ს. პატრიარქის კურთხევით დაიწერა ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ერთი კვირის მანძილზე ქაშუეთში იყო დაბრძანებული. ხატი მთელს საქართველოს შემოივლის: ის უნდა დააბრძანონ მცხეთაში — სვეტიცხოველში, ბორჯომში, ქუთაისში, სენაკში, ზუგდიდსა და ფოთში, ბოლოს კი — ბათუმში. საქართველოდან ხატი უნდა გადავაბრძანოთ უკრაინაში — ქალაქ ოდესის ტაძრების შემოვლის შემდეგ, ის კიევში, კიევ-პეჩორის ლავრაში, ჯვართამაღლების ტაძარში დაიდებს ბინას. ეს არის უკრაინაში მცხოვრები ქართველების მოკრძალებული საჩუქარი იქაური ეკლესიისადმი.

უკრაინაში მცხოვრები ქართველები ერთმანეთს არ ვკარგავთ. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს დევნილობაში მყოფ ოსებთან და აფხაზებთან, რომლებმაც ომის შემდეგ ჩვენთან ერთად დატოვეს საქართველო. ჩვენ, იქაური ქართველები, აფხაზები და ოსები ერთად ვაპირებთ უკან დაბრუნებას.

სამშობლოს გამთლიანების იმედით ვცოცხლობთ და ეს იმედი არ მოგვიშალოს ღმერთმა".

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**სურათზე: მადონა მეზონია და მისი ქალიშვილი ნინო ზარანდია სტუმრად საპატრიარქოში.**

**◎ გვწერენ**

# ლტოლვილთა ინტერესებსაც უნდა ითვალისწინებდეს

**როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამჟამად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მინისტრის ქალბატონ მაია მიმინოშვილის მონდომებით მიმდინარეობს მუშაობა განათლების რეფორმის კორექტირებისათვის. ეს ნამდვილად მისასალმებელია.**

განათლების რეფორმამ შეიძლება ითქვას, გადატრიალება მოახდინა გამოცდების ორგანიზებაში. საბოლოოდ მოისპო კორუფცია და პროტექციონიზმი. წარმატებებთან ერთად განათლების ახალ რეფორმას ზოგიერთ საკითხში სიცხადე და შედეგების ავკარგის ბოლომდე გააზრება აკლია. პირველ რიგში, გვინდა ვთქვათ: — უმაღლეს სასწავლებლებში ერთ სტუდენტზე სააუდიტორიო ფართის სავალდებულო ნორმის განსაზღვრაზე, რაც 4 კვ.მ-ს შეადგენს. 4 კვ.მ როგორც „საარსებო სივრცე", ერთი შეხედვით, დიდი არ არის, მაგრამ პრაქტიკაში უხერხულობას ქმნის. არის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებმაც აკრედიტაციის ამ ნორმატივის აუცილებელი დაცვისათვის იქირავეს შენობა, მაგრამ მასში ერთი დღითაც არ გადაუყვანიათ სტუდენტები, რადგან ეს ე. წ. სავალდებულო სააუდიტორო ფართობი მათ სინამდვილეში არ დასჭირვებიათ. გასაგებია, რომ სამინისტროს დასანახად დაქირავებული სააუდიტორიო ფართობისათვის გაღებული თანხები პრაქტიკულად ამავე სასწავლებლის სტუდენტებს აკლდებათ. ჩვენი აზრით, ეს სავალდებულო სააუდიტორიო ფართობი უნდა განისაზღვროს 1,5 კვ.მ-დან 2,5 კვ.მ-დე. მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის შესაძლებელია საკითხი ისე დარეგულირდეს, რომ არავინ არ დაზარალდეს, არც სტუდენტი და არც უმაღლესი სასწავლებელი. ფართობის არაეფექტიანად გამოყენებას გვაიძულებს სააკრედიტაციო დებულებაში შავით თეთრზე ჩაწერილი ორცვლიანი სწავლების აკრძალვა. რატომ? გადავხედოთ განათლების სისტემის განვლილ გზას, ისტორიას. ათეული წლების მანძილზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციები ტარდებოდა ორ ცვლაში, იზრდებოდნენ ბრწყინვალე თაობები. ისმის კითხვა: რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლება დღევანდელ სახელმწიფო თუ კერძო უმაღლეს სასწავლებელს იქონიოს ორცვლიანი სასწავლო რეჟიმი? ჩვენი აზრით, უნდა მოხდეს განათლების მიმდინარე რეფორმის კორექტირება, რაშიც ეჭვი არ გვეპარება, მაშინ, რაღა თქმა უნდა, დებულებაში ორცვლიანი სწავლების აკრძალვა უნდა გამოირიცხოს, გაუქმდეს. ამის შედეგად არაერთი უმაღლესი სასწავლებელი განთავისუფლდება ე. წ. „პროკრუსტეს სარეცელისგან". სხვათა შორის, ამ არასწორმა მუხლმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ა. წ. 13 ნოემბერს განათლების სამინისტროს სააკრედიტაციო საბჭოზე ჩვენი უნივერსიტეტისთვის, სადაც 60-მდე ლტოლვილი სტუდენტი და ლექტორი ვართ, უარის თქმა აკრედიტაციის მიღებაზე. ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანა 30 აგვისტოს განათლების სამინისტროში გამართულ გაფართოებულ თათბირზე დასმულ კითხვაზე საჯაროდ გაცემულმა პასუხმა, რომ დამამთავრებელი კურსის 457 სტუდენტი არ ჩაითვლებოდა სავალდებულო ფართობში. ამას რომ არ დავემშვიდებინეთ, შენობის დაქირავებას ჩვენი რექტორატიც მოახერხებდა. ამის გამო ჩვენ ახალი 2008-2009 სასწავლო წლისათვის რეალურად გვქონდა დებულებით გათვალისწინებული ფართობი, რაც საკითხის განხილვისას არ იქნა გათვალისწინებული. ამასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩვენი სასწავლებლის რეგისტრირებული შენობის 1551 კვ.მ-დან არ ჩაგვითვალა 400 კვ.მ-ზე მეტი ფართობი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ალბათ რეფორმის კორექტირების ასპექტში გადახედავს სტუდენტთა სწავლების ქირის რაოდენობას, რაც, ჩვენი აზრით, დიდია და მძიმე ტვირთად აწევს სტუდენტების უმრავლესობას. თქვენ წარმოიდგინეთ, თბილისის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში ორწლიანი მაგისტრატურის გავლის საფასური 8000-ზე მეტი ლარია. ისიც რეალობაა, რომ უსახსრობის გამო ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი განათლების გარეშე რჩება. აქვე გვინდა შევახსენოთ განათლების სამინისტროს გასული საუკუნის 60-70 წლებში უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას არსებული შეღავათები (ლიმიტები, ფშაველებზე, ხევსურებზე, სვანებზე, ინგილოებზეძ. რატომ არ შეიძლება ასეთივე შეღავათები დავაწესოთ ლტოლვილთა შვილებისათვის, რომლებსაც სასწავლო ქირის გადახდა არ შეუძლიათ.



ჩვენი პრობლემების შესახებ მივმართეთ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსაც, რათა აღმოეჩინათ დახმარება, ეშუამდგომლათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ჯერ შედეგი არ ჩანს. დარწმუნებული ვართ, რომ განათლების რეფორმის კორექტირება ჩვენი, ლტოლვილების ინტერესებს უსათუოდ გაითვალისწინებს.

**ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ლტოლვილ ლექტორთა და სტუდენტთა სახელით:**

**გული დარცმელია,**
დეკანი — პროფესორი;

**გივი ბერაია,**
პროფესორი;

**ლევან ანჩაბაძე,**
ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, დოცენტი;

**მირანდა აფრასიძე,**
სტუდენტთა დარბაზის ვიცე-პრეზიდენტი.

**◎ ინფორმაცია**

## გაზის გამანაწილებელი სადგური გარდაბანში გახსნეს

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა და ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენერალურმა დირექტორმა ზურამ ჯანჯღავამ გუშინ გარდაბნის გაზის გამანაწილებელი სადგური გახსნეს.**

**გაზის გამანაწილებელი სადგურის რეაბილიტაციის ფარგლებში გამოიცვალა რეგულატორები, ფილტრები, ონკანები, აღრიცხვის კვანძები. ჩატარებული სამუშაოების შემდეგ, გაზის საბითუმო მომხმარებელი ბუნებრივ აირს დივერსიფიცირებულად მიიღებს.**

**გაზის გამანაწილებელი სადგურის რეაბილიტაცია ნავთობისა და გაზის კორპორაციის სახსრებით განხორციელდა.**

**მინისტრის თქმით, გარდაბნის გაზგამანაწილებელ სადგურში რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ასევე, შაჰ-დენიზის საბადოდან იმპორტირებული გაზის განაწილება ხდება. შესაძლებელია მომხმარებლებისთვის გაზის მიწოდება ამ სამი წყაროდან დამოუკიდებლად, ასევე, მისი შერევა.**

**ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენერალური დირექტორის ზურაბ ჯანჯღავას განცხადებით, აღნიშნული სადგური გარდაბანში მდებარე თბოელექტროსადგურების უწყვეტ სტაბილურ გაზმომარაგებას შეუწყობს ხელს.**

**ინტერპრესნიუსი**

● სამშობლოსადმი ლტოლვა და ნოსტალგია მშობლიურ კერას სხვადასხვა მიზეზით მოწყვეტილი ქართველებისათვის ძველებურად მძაფრია. უცხოეთში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის რწმენა, რომ სამშობლოში ახსოვთ და უყვართ ისინი



№ 250. პარასკევი, 21 დეკემბერი, 2007 წელი.

ფესტივალი

# ისევ ვხვდებით ჩვენებურებს




**მსოფლიოს თერთმეტი ქვეყნიდან ჩამოსული ჩვენი თანამემამულენი მონაწილეობენ წლევანდელ, რიგით მეოთხე საერთაშორისო ფესტივალში „ჩვენებურები", რომელიც 19 დეკემბერს სტუმარ-მასპინძლების ერთობლივი ფოლკლორული კონცერტით გაიხსნა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. იგი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ალსაყდრების 30-ე წლისთავს. ამით ფესტივალი მადლიერებას გამოხატავს ამ დიდი პიროვნებისადმი ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული ზრუნვისთვის.**

წლევანდელი ფესტივალი მისმა ორგანიზატორებმა ორ ეტაპად განახორციელეს. პირველი ეტაპი ივნისში, თურქეთში გაიმართა. „ჩვენებურები" იქაურ ქართველობას ეწვია და ორ ქალაქში მოაწყო შეხვედრები და კონცერტები. ეს თურქეთის თაოსნობა ყოფილა, და როგორც ორგანიზატორები იმედოვნებენ, შესაძლოა, ეს ტრადიციად იქცეს და სხვა ქვეყნებშიც გამეორდეს.

დეკემბრის ფესტივალი „ჩვენებურების" უკვე მეორე ეტაპია და იგი წინამორბედებისგან განსხვავებული მასშტაბურობით და ჟანრთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მასში მონაწილეობენ არა მხოლოდ ფოლკლორული კოლექტივები, არამედ საზღვარგარეთ მოღვაწე კამერული ორკესტრი, პიანისტები, მხატვრები და მოქანდაკეები.

**— სამშობლოსადმი ლტოლვა და ნოსტალგია მშობლიურ კერას სხვადასხვა მიზეზით მოწყვეტილი ქართველებისათვის ძველებურად მძაფრია. უცხოეთში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის რწმენა, რომ სამშობლოში ახსოვთ და უყვართ ისინი. დღეს ჩვენ მოვიწვიეთ ჩვენი თანამემამულეები, რომ მათ ერთხელ კიდევ დავუდასტუროთ ჩვენი სიყვარული. ფესტივალი „ჩვენებურები" ამჯერადაც აგრძელებს ტრადიციას, რომელსაც გასულ წლებში ჩაეყარა საფუძველი — ქართველებთან ერთად ფესტივალში ქართულ კულტურაზე შეყვარებული არაქართველებიც იღებენ მონაწილეობას,** — ამბობს ფესტივალის პრეზიდენტი **გიული ალასანია.**

საფესტივალო კონცერტებში მონაწილეობს ქართული ფოლკლორის ნამდვილი მარგალიტი „მაჭახელა", რომლის ხანდაზმული მომღერლებიც მაჭახელას ხეობის სხვადასხვა სოფლიდან არიან. არაპროფესიონალთა ანსამბლს, რომელსაც ოსმან ოზგეტი ხელმძღვანელობს, შესრულების აუთენტური მანერა გამოარჩევს. მათ გვერდით სცენაზე აჭარელი „მაჭახელას" წევრებიც დადგებიან. თბილისშია ჩვენთვის კარგად ნაცნობი ზაიარ შაჰინიც (გუნდარიძე). იგი კიდევ ერთხელ აზიარებს მსმენელებს თურქეთის ქართველებში შემორჩენილ ქართულ სიმღერებს. გვესტუმრა ისრაელის ქალაქ ორიეუდის მერიასთან არსებული ქართული ცეკვის ანსამბლი ქორეოგრაფ სიმონ ჯანაშვილის ხელმძღვანელობით. ეს ის თაობაა, რომელთა მშობლებიც ისრაელში არიან დაბადებულნი, მაგრამ განსაკუთრებული სიყვარულით ინახავენ ქართულ კულტურას. ქართულ ცეკვებს წარმოადგენს უკრაინული ანსამბლი „აპელსინი".

წლეულს პირველად ერთვება „ჩვენებურების" პროგრამაში კლასიკური მუსიკა. მ ას წარმოადგენენ ქართული კამერული ორკესტრი გერმანიის ქალაქ ინგოლშტატიდან. ანსამბლი, რომელიც მსოფლიოს კლასის მევიოლინის ლიანა ისაკაძის მრავალწლიანი ხელმძღვანელობით გამოიბრძმედა. დღეს კი მისი მთავარი დირიჟორია არიელი ცუკურმანი. 23 დეკემბერს კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის სტუმრები იქნებიან ცნობილი ქართველი პიანისტი ეთერ ანჯაფარიძე თავის სტუდენტებთან — ნატა მეცხოვრიშვილთან და გუგა ჩხიკვაძესთან ერთად. დაუკრავს კიდევ ერთი პოპულარული ქართველი პიანისტი დუდანა მაზმანიშვილი. იმღერებს იტალიაში მოღვაწე ალა სიმონიშვილი.

„გვაქვს უთვალავი ფერითა"—ამ სახელწოდებით 24 დეკემბერს საგამოფენო ცენტრ ქარვასლაში გაიხსნება საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. აქ წარმოდგენილი იქნება დიმიტრი ანთაძე — იაპონიიდან. ჰოლანდიიდან — დავით ჩიჩუა, გოჩა ლალიძე და მაია ჩიჯავაძე. გიორგი ბოხუა — ამერიკის



შეერთებული შტატებიდან, ნინო ფხალაძე და სანდრო დალაქიშვილი — საფრანგეთიდან. გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს.

გუშინ „ჩვენებურები" სამედიცინო უნივერსიტეტს სტუმრობდა დღეს და ხვალ იგი სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტების სტუმარი იქნება.

მაშ ასე, ფესტივალი „ჩვენებურები" უკვე დაიწყო და იგი ბევრ საინტერესო შეხვედრას გვპირდება.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

სხვა გაზეთიდან

# სააკაშვილმა მტრები ფეხბურთის მინდორზეც გამოძებნა

**საქართველოში ყველაზე პოპულარული გუნდის, თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებში ჯანყი მწიფდება, ისინი აღშფოთებულნი არიან იმით, რომ მათი საყვარელი კლუბის ფეხბურთელებს აღარ იწვევენ ქვეყნის ნაკრებში. ფანატები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს პოლიტიკური მოტივებით ხდება. სახელდობრ „დინამოს" პრეზიდენტია მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი, ის არა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციაში გადავიდა, არამედ გაბედა პრეზიდენტის არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებაც.**



სწორედ პოლიტიკის გამო დაზარალდნენ ნახევარმცველები მიხეილ ხუციშვილი და გიორგი მერებაშვილი, ორმა წამყვანმა ქართულმა სპორტულმა გაზეთმა ისინი ქვეყნის ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარა. მაგრამ ნაკრებში მათ არ ელიან — ალბათ იქამდე, სანამ „დინამო" ეკუთვნის ბადრის.

კიდევ ერთი საფეხბურთო სკანდალი პოლიტიკური ქვეტექსტით აგორდა ზურაბ ხიზანიშვილის — ინგლისური პრემიერ-ლიგის კლუბის „ბლექბერნ როვერსის" 26 წლის მცველის — გარშემო. მას ასევე უარი უთხრეს ნაკრებში გამოძახებაზე. ხიზანიშვილი დარწმუნებულია: მთავარი ეროვნული გუნდიდან, სადაც 41 მატჩი ითამაშა, ის მოკვეთეს სააკაშვილთან შეხვედრაზე უარის თქმისთვის.

1970-80-იანი წლების თბილისის „დინამოს" ლეგენდარული მცველის ნოდარ ხიზანიშვილის ვაჟიშვილი ნაკრებში 17 წლიდან თამაშობს. თანაც ყველაფერი კარგად იყო, სანამ ფეხბურთელმა არ დაუშვა საბედისწერო შეცდომა — არ წავიდა ნაკრების ფართოდ რეკლამირებულ შეხვედრაზე პრეზიდენტთან. შესაძლოა, ეს შეცდომა კი არ იყო, არამედ შეგნებული პოლიტიკური არჩევანი. ხიზანიშვილს ცოლად ჰყავს ტოპ-მოდელი სალომე ღვინიაშვილი. ის კი ოპოზიციიდან ერთ-ერთი პრეზიდენტობის კანდიდატის — პარტია „ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის დისწულია. „მე იქ ვარ, სადაც ჩემი ოჯახია", — განაცხადა ფეხბურთელმა. პრეზიდენტის გარემოცვას ასეთი თავხედობა არ მოეწონა, რასაც სანქციები დაუყოვნებლივ მოჰყვა.

სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლებას პირველად როდი ერევა ერთმანეთში სპორტი და პოლიტიკა. წლეულს, მაისში გრანდიოზული სკანდალით დასრულდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. კენჭისყრის შედეგების გამოცხადებიდან ერთ საათში ფედერაციის თავკაცად არჩეულმა ნაკრების ექს-კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ სააკაშვილის გარემოცვის ზეწოლით უარი თქვა თანამდებობაზე. ამის შედეგად ფედერაციას სათავეში ჩაუდგა ნოდარ ახალკაცი — ადამიანი, რომელსაც აგიტაციას თავიდანვე პრეზიდენტი უწევდა.

**ალექსანდრე იაშვილი**
**თბილისი.**
**ИЗВЕСТИЯ**

ოლიმპიზმი

# სეოკის განცხადება

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ზაფხულის 29-ე ოლიმპიური თამაშების (პეკინი, 2008 წლის აგვისტოძ გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონიალზე ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური დელეგაციის ჩაცმულობის დიზაინის შექმნა-დამზადებაზე დაინტერესებულ პირებსა და კომპანიებს სთავაზობს თანამშრომლობას.**




ესკიზების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 15 იანვარი (დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ სეოკის ოფისში — ალმაშენებლის 65, ტ. 94-30-91ძ.

**2007 წლის 30 ნოემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" №235 (5836ძ გამოცხადდა სს „ქართული ფილმის თანამშრომლების" საერთო კრება. სათაურში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, ნაცვლად სს „ქართული ფილმის" აქციონერთა კრება უნდა ყოფილიყო სს „ქართული ფილმის თანამშრომლების" საერთო კრება.**

ასევე მოხდა ცვლილება — 2007 წლის 26 დეკემბრის ნაცვლად სს „ქართული ფილმის თანამშრომლების" საერთო კრება ჩატარდება 2007 წლის 29 დეკემბერს 11 საათზე კინოთეატრ „ამირანში".

სს „ქართული ფილმის თანამშრომლების"
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
**გელა კანდელაკი**

**განცხადება**

2007 წლის 26 დეკემბერს 13 საათზე საჩხერის რაიონულ სასამართლოში, საჩხერე, დავით ალმაშენებლის №3-ში დანიშნულია შპს „ჭიათურის ჩაის" გაკოტრების კრება, გაკოტრების მასალების, საბოლოო ანგარიშის და საბოლოო მოხსენების შესახებ.

გაკოტრების მმართველი
**გიზო კაპანაძე**

სს „ფოთის ხორბლის ტერმინალი" აცხადებს კონკურსს (ტენდერსძ სს „ფოთის წისქვილქარხნის" უძრავი ქონების მდებარე — ქ. ფოთი, დ. ალმაშენებლის ქ. №61, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად, განცხადებების მიღება წარმოებს 2008 წლის 30 იანვრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №106 (შპს „მენეჯმენტ კონსალტინგის" ოფისი, ტელ.: 25-28-45, ფაქსი 25-29-45ძ.

# პიროვნება

● რომან რურუამ კაცურად, ვაჟკაცურად დატოვა დიდი სპორტი — თავისი გაიტანა ხერხემალზე ტკივილებმა... აგერ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია თბილისის სპორტნაწარმის ფაბრიკის დირექტორია. ძნელი პერიოდი გამოიარა ფაბრიკამ — ნგრევის, ტაციობის, ცრუპატრიოტული მიტინგების, ავტომატიანების თარეში. მოდიოდა სიტყვა და ხვდებოდა ქვა — დაზგა-დანადგარი და ტექნოლოგიური მოწყობილობა კი არა, ქანჩი და ჭანჭიკი არ დაკარგულა. და ეს მისმა დირექტორმა შეძლო



## ⦿ გმირნო, მამულის მადიდნო!

„პატივცემულო რედაქცია, ოლიმპიურ ჩემპიონს რომან რურუას ამ დღეებში დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. იუბილარს მიულოცეს, პრეზიდენტმა სახელობითი საჩუქარიც გადასცა, მაგრამ რა ჯილდო შეედრება ხალხის იმ სიყვარულს, რომელიც თან სდევს მას მთელი ცხოვრების გზაზე.

ჭიდაობის ძველი ტრფიალი ვარ. კარგად მახსოვს რომან რურუას პირველი ნაბიჯები სპორტში. 1961 წელს თბილისის სპორტის სასახლე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მაშინ კლასიკურს რომ ეძახდნენ, სსრ კავშირის გუნდური თასის გათამაშებას მასპინძლობდა. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, როცა ხალიჩაზე ქართველი მოჭიდავეები გამოდიოდნენ, მაგრამ ერთ მომენტში დარბაზი გაილურსა, როცა სპორტულმა კომენტატორმა ვლადიმერ პარტინმა ხალიჩაზე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი და სხვა ტიტულებით „დატვირთული“ სპორტის დამსახურებული ოსტატი ოლეგ კარავაევი და 19 წლის პირველთანრიგოსანი რომან რურუა გამოიძახა. კარავაევის, როგორც საბჭოთა „კლასიკოსების“ აღიარებული ლიდერის სახელი კარგად იყო ცნობილი ჭიდაობის სამყაროში, მაგრამ ვინ არის ეს პირტიტველი ყმაწვილი რომან რურუა, ვისი გვარის ხსენებაზეც ყველაფრისმცოდნე გულშემატკივარნიც კი, უბრალოდ, მხრებს იჩეჩავენ. ნათქვამია: საქმემან შენმან გამოგაჩინოსო და გამოიჩინა კიდეც. შეხვედრა დაიწყო და სულ რაღაც ათიოდ წამში ჩვენს მოჭიდავეს თავისი მრისხანე მეტოქე უკვე ჩოქბჯენში ჰყავდა გადაყვანილი, კიდევ რამდენიმე წამში ე. წ. ტრიალის სერიით 8 ქულა აართვა. ეს არამარტო კარავაევისთვის, მსაჯებისთვისაც კი მოულოდნელი იყო. ჭიდაობა შეაჩერეს და სათათბიროდ მსაჯთა კოლეგიას მიაკითხეს. დარბაზი სიტუაციაში ვერ გაერკვა, იფიქრა, ჩვენს მოჭიდავეს ჩაგრავენო და ტრიბუნებზე ისეთი გნიასი და სტვენა ატყდა, აღარაფერი ისმოდა. როცა ვითარება განიმუხტა და ვნებათაღელვა ჩაცხრა, ყველამ საჭიდაო ხალიჩას მიაპყრო თვალი. მსაჯი იდგა, რომან რურუას მარჯვენისთვის ხელი ჩაევლო და მაღლა ჰქონდა აღმართული. გამარჯვება! ასე დაიწყო ჩვენი ფალავნის ტრიუმფალური სვლა მსოფლიო საჭიდაო არენაზე.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. არაფერია ცისქვეშეთში მუდმივი, თაობები მიდიან და მოდიან. სამწუხაროდ, მათ ხშირად როდი იციან იმათი სახელები, ვინც ქართული სპორტი დიდი გამარჯვებებით, ფენომენალური მიღწევებით გაამდიდრა. სსრკ შვიდგზისა და ხალხთა სპარტაკიადების სამგზის, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი რომან რურუა, როგორც სპორტსმენი და მოქალაქე, მაღალი ზნეობრივი მაგალითია ყველასათვის და ამის შესახებ უნდა იცოდეს თითოეულმა მოსწავლემ, ახალგაზრდამ, ვინც დღეს სპორტულ, საზოგადოებრივ, გნებავთ, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის.

რა საქმიანობას ეწევა დღეს საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი, გვიამბეთ რაიმე რომან რურუას სპორტული ცხოვრებიდან, თუნდაც გახმაურებული „ტოკიოს ინციდენტის“ შესახებ.

**გურამ ვანიშვილი,**
**ინჟინერი. ქ. გორი.**

ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ: საჭიდაო ხალიჩაზე ჩემზე ძლიერი მეტოქე არ შემხვედრია და მაინც, ყველა ტიტულის მოხვეჭას, ხატოვნად რომ ვთქვათ, ხალიჩაზე ყველა ყვავილის მოკრეფას არ ვკადრულობდი — გამარჯვების სიხარული სხვებმაც გამოსცადონ-მეთქი. 1966 წელს ამერიკის ქალაქ ტოლიდოში, სადაც პირველად გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი, ექვსი შეხვედრიდან ექვსივე მოვიგე ქულათა საერთო ანგარიშით 82:0. მომდევნო წელს, ბუქარესტში, კვლავ მსოფლიო პირველობაზე, სადაც მომავალი, 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური საგზურები თამაშდებოდა, ხუთჯერ გამოვედი ხალიჩაზე — ოთხი გამარჯვება, აქედან ორი წმინდა და ერთიც ფრე — ქულების საერთო ანგარიშით 67:7. რა, დამამძიმებდა, ვთქვათ, მსოფლიო თასი ან ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი? არც მსოფლიო თასზე, არც კონტინენტის პირველობაზე არ გავდიოდი საჭიდაოდ, სხვებს ვუთმობდი — მათაც გაიხარონ-მეთქი. ჩემს წონით კატეგორიაში ყველას ყველაფერი ერგო და ეს არანაკლებ მეამაყება, ვიდრე ჩემი სპორტული ნადავლი. მე ვიცნობდი ისეთ მოჭიდავეებს, რომლებიც ნიჩბით იხვეტდნენ სახელს და დიდებას, სხვებს კი ასაკენკადაც არაფერს უტოვებდნენ. იმედის მომცემმა ბევრმა ახალგაზრდამ მათი დიდების ჩრდილიდან გამოსვლა ვერც მოახერხეს, ისე დაიკარგა. ნაკრებში ჩემი კაპიტნობის დროს სწორედ ამ საკითხებს ვაქცევდით მთავარ ყურადღებას და თუ ვინმეს „კოჭებში“ სასიკეთოს რასმე შევატყობდით, თამამად გამოგვყავდა საჭიდაო ხალიჩაზე...

რომან რურუამ კაცურად, ვაჟკაცურად დატოვა დიდი სპორტი — თავისი გაიტანა ხერხემალზე ტკივილებმა... აგერ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია თბილისის სპორტნაწარმის ფაბრიკის დირექტორია. ძნელი პერიოდი გამოიარა ფაბრიკამ — ნგრევის, ტაციობის, ცრუპატრიოტული მიტინგების, ავტომატიანების თარეში. მოდიოდა სიტყვა და ხვდებოდა ქვა — დაზგა-დანადგარი და ტექნოლოგიური მოწყობილობა კი არა, ქანჩი და ჭანჭიკი არ დაკარგულა. და ეს მისმა დირექტორმა შეძლო. ფაბრიკაში დღეს არენდით აქვთ გაცემული რამდენიმე საამქრო — 300-მდე მუშაა დასაქმებული, ერთ კორპუსში აფხაზეთიდან ლტოლვილი 15 ოჯახი ცხოვრობს.

— როგორი დირექტორი გყავთ-მეთქი, — ვეკითხები.

— მკაცრი, მოწყალე და სამართლიანიო.

...სამზარეულოში ვისხედით, ვწერდით, ვსაუბრობდით, თავკვერიც დავაგემოვნეთ და სწორედ ამ დროს ჭიშკართან ძროხების ბლავილი შემოგვესმა. ნახირი დაბრუნდა და ვლადიმერმაც ჭიშკარს მიაშურა. კინაღამ დამავიწყდა: ჩვენი დიდი ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა, გარდა იმისა, რომ წარმოების ჩინებული ორგანიზატორია, წარმატებული ფერმერიცაა. თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა და ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

**გურამ ვაშაკიძე**

# „ღირსეული კაპიტანი, გუნდის სინდისი“

## ასე ამბობდნენ რომან რურუაზე, ჩვენს გამოჩენილ ფალავანზე

მცხეთაში, რომან რურუას კოპწია აგარაკზე სასაუბროდ გემოვნებით მოწყობილი დიდი და ნათელი სამზარეულო შევარჩიეთ — შუქიც არის, სითბოც, სივრცეც, შორიახლო, ელექტროქურასთან, ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი გალინა ტრიალებს, ტაფების შიშხინი ჩვენამდე აღწევს, ვლადიმერი კი, მასპინძლის ვაჟიშვილი, თავკვერს დოქებში ასხამს, მოკლედ, საუბრისთვის მშვენიერი პირობებია შექმნილი, მაგრამ ჯერ საქმე:

— თბილისში პირველად რომ ჩამოვედი, 16 წლისა ვიყავი, — მიამბობს რომან რურუა, — მიხვდებით რა შთაბეჭდილებას მოახდენდა უზარმაზარი ქალაქი სოფლელ ბიჭზე, ვისთვისაც სამყარო იწყებოდა და მთავრდებოდა მშობლიური მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩის მინდვრებით, ყანებით, ტყეებით, ჩაის პლანტაციებით, პაწია ღელეთი, სოფლის გზაზე მოსეირნე ბატებით და ულიანი თხებით. თბილისში მტკიცე განზრახვით ჩამოვედი: გავეხდარიყავი ცნობილი სპორტსმენი. ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ერთ დღესაც მეგობარს ყოფილი ორჯონიკიძის ქუჩაზე საჭიდაო დარბაზში გავყევი და ვიდრე იგი თავის საქმეს აგვარებდა, მე მოჭიდავეთა ვარჯიშს ვადევნებდი თვალს. მოულოდნელად ჭაღარაშერეული კაცი მომიახლოვდა და მკითხა, როგორ მოგწონს შენი კბილა ბიჭების ჭიდაობაო. მომწონს-მეთქი. მან ხელი ჩამჭიდა, იქვე, ექიმის კაბინეტში შემიყვანა, გამსინჯეს და თქვეს, რკინასავით მაგარი ბიჭიაო. ჭაღარათმიანმა მეორე დღესვე სავარჯიშოდ დამიბარა. იგი ცნობილი მწვრთნელი ნერსეს აკოფოვი იყო. ამ კაცისთვის უცხო იყო „შენი მოწაფე“, „ჩემო მოწაფე“. ყველანი მისი შეგირდები ვიყავით.

ერთი კვირის თავზე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შეჯიბრებაზე წამიყვანეს, იქ ყველა ჩემი მეტოქე დავამარცხე. სამ თვეში თბილისის ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის მეორე ადგილზე გამოვედი, გავიდა კიდევ ერთი თვე და ჭაბუკთა შორის „კლასიკოს“ მოჭიდავეთა რესპუბლიკურ პირველობაზე საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ნერსეს აკოფოვი, ლევ კაპიტონოვი, ილია ჩხარტიშვილი, ლეონიდ ძეკონსკი და სხვები ყურადღებას არ მაკლებდნენ, მეც თავს არ ვზოგავდი. ლუკმაპური რომ მქონოდა, ღამით ცეცხლფარეშად ვმუშაობდი, დღისით კი ან სკოლის მერხზე ვიჯექი, ან საჭიდაო ხალიჩაზე წურწურით ოფლი მდიოდა. მომდევნო წელს მეორედ გავხდი საქართველოს ჩემპიონი. ახლა უკვე მოჭიდავეთა წრეებშიც გამიცნეს. ერთხელ ერთმა ისიც კი მითხრა: მალე საკავშირო შეჯიბრებაზე გაგიყვანენო.

1961 წელს ქვეყნის გუნდური თასის გათამაშებაში მივიღე მონაწილეობა. გორელი ინჟინერი გურამ ვანიშვილი ამის შესახებ ყველაფერს სწორად წერს.

— თქვენ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების კაპიტანიც იყავით.

— და არა მარტო კაპიტანი, ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს წევრიც. ასეთი რამ არც მანამდე, და, რამდენადაც ვიცი, არც შემდეგ, სპორტის არც ერთ სახეობაში არ მომხდარა. და ამით დღესაც ვამაყობ. აქ საქმე კაპიტნობაში როდია. ცხოვრების იმ წესში, იმ ზნეობრივ ღირებულებებშია, რომლითაც ვცხოვრობდით და ვსაქმიანობდით. ნაკრების კაპიტანი კი სრულიად



მოულოდნელად გავხდი. ერთ დღესაც, ეს იყო 1966 წელს, ნაკრების თავკაცებმა სუფთა ფურცლები დაგვირიგეს და გვითხრეს: არავის კანდიდატურას თავზე არ გახვევთ, თავად თქვენ აირჩიეთ კაპიტანიო. მინდა ვთქვა, რომ ნაკრები რთული ორგანიზმია — სპორტსმენები, ექიმები, მწვრთნელები, მასაჟისტები, მეცნიერები, სპეციალისტები. ასზემეტმა კაცმა მოიყარა თავი. ფარული კენჭისყრით ყველას თავისი რჩეული უნდა დაესახელებინა. არჩევანი დიდი იყო: მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ვიქტორ იგუმენოვი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გენადი საპუნოვი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი როშჩინი, მსოფლიო ჩემპიონი იური გრიგორიევი და სხვები.

მაგრამ რა ბედენაა მსოფლიო, გნებავთ, ოლიმპიური ჩემპიონობაც კი, თუ კაცი კაცად არ ვარგა?! ამ საზომითაც ეს ხალხი გამორჩეული იყო — პრინციპული, პატიოსანი, სამართლიანი. ყველამ თავისი არჩევანი გააკეთა. მე ხმა იგუმენოვს მივეცი. გამოაცხადეს შედეგები: საპუნოვი 29 ხმა, იგუმენოვი — 29, და თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო — რომან რურუა 40 ხმა! სახტად დავრჩი. იმასაც კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ვინმე კაპიტნად დამასახელებდა. ახლა კიდევ 40 ხმა! რა უნდა მექნა? ყველაფერ სხვას თავი რომ დავანებოთ, მაშინ წესიერად რუსულიც კი არ ვიცოდი. რა მექნა? ავდექი და გავაპროტესტე — კაპიტნობა არ მინდა-მეთქი. მაგრამ დამიჯერა ვინმემ? — კოლექტივმა აგირჩია და გადაწყვეტილი საქმეაო, მითხრეს.

როგორი კაპიტანი ჰყავდა რომან რურუას სახით სსრკ ნაკრებს? ამის თაობაზე რომანმა არაფერი მითხრა. მაგრამ აი, რას წერს ვიქტორ იგუმენოვი: „რომანი ღირსეული კაპიტანი იყო, მისი ნებისმიერი მოთხოვნა უსიტყვოდ სრულდებოდა. რურუა ყოველთვის მხედრულად ალალ-მართალი და სამართლიანი იყო. მან არ იცოდა დიპლომატია და არც სურდა გაეგო: აქ შევარბილოთ, იქ გავაძლიეროთ... ასეთი „რამე-რუმეები“ რომანთან არ გადიოდა, პატიოსანი და ერთგული ბიჭი იყო, მკაცრი, ზოგჯერ ულმობელიც, მაგრამ მას, როგორც ჩვენი გუნდის სინდისს, ისე ვუყურებდით...“

— სიმართლე გითხრათ, არაფერი მსმენია ჩვენი მკითხველის წერილში ნახსენებ „ტოკიოს ინციდენტზე“. მაინც რა მოხდა იქ?

— ძველი ამბავია. იყო ერთობ ძლიერი და დიდად ნიჭიერი, ყველაზე ტიტულოვანი „კლასიკოსი“ უნგრეთიდან იმრე პოიაკი. ჰელსინკის, მელბურნის და რომის ოლიმპიადებზე ფინალში სამჯერ გავიდა და სამჯერვე ვერცხლის პრიზიორი გახდა. ოქროს ვერა და ვერ გაუსინჯა კბილი. ტოკიო მისთვის ბოლო იმედი იყო. 37 წლის ვეტერანს მე შევხვდი ფინალში. მოდით, ჩემს მაგივრად ცნობილი ჟურნალისტი იან დიმოვი ვალაპარაკოთ თავის წიგნში „საჭიდაო ხალიჩის რაინდები“: „...მთელი ფინალური ორთაბრძოლის მანძილზე პოიაკს არც ერთხელ არ დაუტოვებია თავდაცვითი სანგრები. ხელებს უბოჭავდა, ჭიდილში არ ებმებოდა, ხალიჩიდან იპარებოდა, მსაჯები კი იქვე იყვნენ და ვერაფერს „ხედავდნენ“. რურუა არ ასაჩივრებდა, ის ჭიდაობდა და პოიაკს პატიოსანი, კაცური ორთაბრძოლის გამართვას აიძულებდა, მაგრამ პოიაკი ბრძოლას გაურბოდა. მაყურებლებმა ველარ გაუძლეს და პოიაკს, ასევე მისი მფარველ მსაჯებს სტვენა დაუწყეს... მსაჯების მოწადინებით შეხვედრა ფრედ დასრულდა და იმრე პოიაკი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

— იმ ფინალურ ორთაბრძოლას დღეს, 43 წლის შემდეგ, სხვაგვარადაც შეიძლება შეხედოს კაცმა, — მეუბნება რომანი. — მინდა ვთქვა, და ეს ყოველთვის იყო ჩემი ცხოვრების კრედო, როცა ღმერთმა ბედნიერ ვარსკვლავზე დაგბადა, ჯანი, ღონე და ნიჭი დაგაბერტყა, ეგოისტი ნუ იქნები, ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს შენკენ ნუ მიითლი, გახსოვდეს, რომ სხვებიც არიან, შენზე ცოტათი ნაკლები, მაგრამ მაინც ღირსეული სპორტსმენები, მათაც დაუტოვე „სამკალი“. შენ ხომ ჩემპიონად მათ გაქციეს, ეს მათი ღვაწლია, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რომ ახვედი. ვფიქრობ, მსაჯები სწორად მოიქცნენ, როცა უიღბლო უნგრელ მოჭიდავეს ოქროს მედალი არგუნეს. ეს მისი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, სპორტში დიდი დამსახურების ერთგვარი დაფასებაც იყო. სხვათა შორის, მეორე დღეს მომძებნა და ბოდიში მომიხადა მსაჯების მიკერძოებული გადაწყვეტილების გამო. მე დავამშვიდე: არა უშავს, ქვეყანა არ დაინგრევა-მეთქი. მართლაც, მომდევნო, მეხიკოს ოლიმპიადაზე, მე გავხდი ჩემპიონი.

№ 250. პარასკევი, 21 დეკემბერი, 2007 წელი.

— ეს სხვა თემაა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ სტალინმა გადაარჩინა ბულგაკოვი, როცა რაპელები მის დასჯას მოითხოვდნენ. მეორე მხრივ, ბულგაკოვს არ დაუღვრია მწარე ცრემლები, როცა ზინოვიევს, ბუხარინსა და სხვა „ერთგულ ლენინელთ“ ასამართლებდნენ



ბელადიც ხუმრობდა ხოლმე

# ისტორიის ქარი

## დესანტი

**ფრონტელმა ლ.დ. პეტროვმა, რომელიც მოლოტოვის სიძესთან მეგობრობდა, მიამბო, რომ ომის წლებში გერმანელთა ვოლგისპირა ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩვენებმა გადასხეს ფაშისტურ ფორმაში გამოწყობილი დესანტი. „თავისიანებს“ იქ ისე შეხვდნენ, თითქოს კარგა ხანს ელოდნენ...**

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ეს ავტონომიური ეროვნული წარმონაქმნი გადაასახლეს, მედესანტეთა ნაწილს კი გვარდიული ნაწილის წოდება მიანიჭეს.

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა რასულ გამზათოვის იუბილე 1993 წელს. მაშინ მე პრეზიდიუმში ვიჯექი ჯოჰარ დუდაევის გვერდით და მოვისმინე, თუ როგორ ამაყად განაცხადა მან, რომ ჩეჩნებმა ჰიტლერს თეთრი ბედაური აჩუქეს. არადა წინათ ამას ხომ უარყოფდნენ!

## ოთხი ტარანი

**მფრინავი ბორის კოვზანი დიდი სამამულო ომის უნიკალური გმირია, რომელმაც ოთხჯერ განახორციელა საჰაერო ტარანი და ცოცხალი გადარჩა. მან მიამბო, რომ გმირის ვარსკვლავის გადაცემის შემდეგ მიიწვია სტალინმა და სთხოვა ყველაფერი დაწვრილებით მოეთხრო. სტალინი ასევე დაინტერესდა, თუ სამომავლოდ რის გაკეთებას აპირებდა კოვზანი.**



— დავბრუნდები ჩემს ნაწილში და კვლავ ვიომებ, — უპასუხა ავიაგამანადგურებელმა-მფრინავმა.

— ჩემი აზრით, უკვე ისედაც ბევრი იომეთ, — უთხრა სტალინმა. — ცოტა სწავლა კი, მე მგონი, არ გაწყენდა, მაგალითად — აკადემიაში.

— ამას ვერ შევძლებ, ამხანაგო სტალინ, — გულახდილად აღიარა კოვზანმა.

— მოდით, შემპირდით, რომ ისწავლით!

— გპირდებით, ამხანაგო სტალინ.

— შინ როგორ მიგდით საქმეები?

— ამ ცოტა ხნის წინ ვაჟი შემეძინა.

— გილოცავთ! სამშობლოს სჭირდება ვაჟკაცები.

როცა მფრინავი ეზოში გავიდა, იქ მას დახვდა მანქანა, რომელშიც იდო ბავშვის პერანგებით და სახვევებით სავსე ყუთი, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ახალშობილს სჭირდება...

კოვზანი დაბრუნდა თავის ნაწილში, იგი გამოიძახა გენერალმა:

— რას აპირებთ?

— არმიაში სამსახურის გაგრძელებას, — უპასუხა მფრინავმა.

— გახსოვთ, რა დაჰპირდით ამხანაგ სტალინს?

„ ყველაფერი იცის“ — გაიფიქრა კოვზანმა. მას მოუწია აკადემიაში ჩაბარება. მართალია, მისაღებ გამოცდებზე ვერც ერთ კითხვას ვერ უპასუხა, მაგრამ იგი მაინც მიიღეს სასწავლებლად.

## ეჭვი

**ჯავშანსატანკო ჯარების მარშალმა კატუკოვმა მიამბო, რომ ერთხელ სტალინის კაბინეტში მან ახსენა გენერალი ივანოვის გვარი.**

— ეს ის ივანოვია, რომელმაც თავის ერს უღალატა? — იკითხა სტალინმა.

ივანოვს მანამდე ებრაული გვარი ჰქონდა.

— დიახ, სწორედ იგია, — უპასუხა კატუკოვმა.

— როგორ გგონიათ, ეს კაცი რუსეთს არ უღალატებს?

თარგმნა

**ზაზა ბეჟანიძემ**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 243-246.

სხვა გაზეთიდან



**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი იური ჟუკოვი ესაუბრება „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიმომხილველს ალექსანდრე კონდრაშოვს.**

# პოლიტბიუროს საგანგებო საქალალდეთა საიდუმლოებანი

## ეკონომიკა და რეპრესიები

პლენუმმა არ მიიღო სტალინის გადადგომა და ისიც უნებლიეთ აღმოჩნდა იმ ცენტრისტის როლში, რომელსაც იძულებით უნდა დაეცვა სწორედ საშუალო კურსი. დიახ, ინდუსტრიალიზაცია, ოღონდ საგარეო ვაჭრობის ხარჯზე, ანუ ერთი მხრივ ის, რასაც მოითხოვდნენ ტროცკისტები — დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია; მეორე მხრივ კი ის, რასაც მოითხოვდნენ მემარჯვენენი, — გლეხების ხელშეუხებლობა. მერმისმა გვიჩვენა, რომ მსგავს კომპრომისებს არაფერ კარგამდე არ მივყავართ. ვინ ივარაუდებდა 1928 წლის ოქტომბერში, როცა პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულება დაიწყეს, რომ ერთი წლის შემდეგ მსოფლიო კრიზისი ავარდება და არავინ არაფერს არ იყიდის, ყველა მხოლოდ გაყიდვას შეეცდება. ეს მაშინ, როცა ყელამდე ვალებში ჩავეფლეთ, რადგან ყველაფერს, რასაც ვაშენებდით პირველ ხუთწლედში, ვალებით ვაშენებდით. ფორდისაგან გორკის საავტომობილო ქარხანა ვიყიდეთ; ასევე ამერიკელთაგან — სტალინგრადისა და ჩელიაბინსკის სატრაქტორო, როსტელმაში... რა ვაკეთოთ: მივატოვოთ, რისი შენებაც დავიწყეთ, თუ გავაგრძელოთ? გადაწყვიტეს გაგრძელება, ოღონდ რის ხარჯზე? აი სწორედ აქ გამოდგნენ პატსახლები — პატიმრობათა სახლები, როგორც ეძახდნენ 1920-იან წლებში საპატიმროებს, სადაც სისხლის სამართლის დამნაშავეებს ხელახლა ზრდიდნენ. გადაწყდა იძულებით მათი ამუშავება. სადა? უწინარეს ყოვლისა — ხე-ტყის მოჭრაზე. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ხე-ტყე გახლდათ ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი წყარო, ვინაიდან როგორ კრიზისსაც არ უნდა ემძვინვარა დიდ ბრიტანეთში, მისთვის აუცილებელი იყო საშენი ხე-ტყე. ხე-ტყის მოჭრა გროშები ჯდებოდა, ჩვენ კი ამაში ვალუტას ვიღებდით, რითაც ვალებს ვისტუმრებდით. მაშინ იაგოდას ინიციატივით გადაწყდა პატიმართა გამოყენება, როგორც მუქთა სამუშაო ძალისა. ამაზე წერია პატარა წიგნში „სტალინის სახელობის არხი“ — ბელომორ-ბალტიის არხის მშენებლობაზე (ოღონდ ყველას შევახსენებ, რომ პატიმართა 90 პროცენტი სისხლის სამართლის დამნაშავენი იყვნენ: მკვლელები, ბანდიტები, მოძალადენი, ქურდები, მფლანგველები, ისინი, ვისაც პოლიტიკასთან არასოდეს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონიაძ.

ასე შეიძლებოდა თუნდაც ერთგვარად თავის დახსნა იმ საშინელი ეკონომიკური მდგომარეობიდან, რომელშიც ჩვენ ჩავვარდით.

გარდა ამისა, პოლიტბიუროს წევრთათვის აშკარა იყო, რომ კაპიტალისტური ქვეყნების აგრესია დაიძვრება სსრ კავშირის წინააღმდეგ — 1930 წელს რომის პაპმა დაუფარავად მოუწოდა მთელ მსოფლიოს ბიწიერი ბოლშევიკების ქვეყნის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ და არ იყო რწმენა, რომ შევძლებდით ახალი ინტერვენციის მოგერიებას. ამიტომაც გაიზარდა ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა, მაგრამ აქ გაჩნდა დახშული ციკლი. ქარხნების, მეტალურგიული კომბინატების მშენებლობაზე აგროვებდნენ უწიგნურ მუშებს და მცირე სწავლების მერე აყენებდნენ კონვეიერებთან, მარტენებთან. ბუნებრივია, რომ ისინი იქვე ყველაფერს ამტვრევდნენ. განა იმიტომ, რომ უნდოდათ, არამედ იმიტომ, რომ არ იცოდნენ, გამოცდილება არ ჰქონდათ. მაშინ იყო, რომ ნორმალური დაუმუშავებლობები შემოატრიალეს, როგორც კონტრრევოლუციური დანაშაული. სტალინგრადის სატრაქტორო: გამოუშვეს სამი ტრაქტორი და ერთი წლით დახურეს. კუზნეცკის მეტალურგიული ამუშავეს, ყრილობაზე ანგარიშით წარდგნენ, კიდევ ხუთ წელიწადს კი ბრძმედების ნახევარი დაჰყავდათ კონდიციამდე. ეს იმ დროს, როცა პირველი ხუთწლიანი გეგმა 1930 წელს ლამის 100-ჯერ იყო კორექტირებული. დღეს არავის არ აგონდება, რომ პირველ ხუთწლედში ლენინგრადში უნდა აგვეშენებინა საავტომობილო ქარხანა; რომ ბევრი ჩვენი დიდი მშენებლობა: ელექტროსადგურები, ვოლგა-დონის არხი, დიდი ამურის მაგისტრალი მეორე ხუთწლედში უნდა წამოწყებულიყო. ყველა ამ სიძნელემ, როგორც მე მგონია, მიგვიყვანა იმ საშინელ სისასტიკეებამდე, ჩვენთან რომ მაშინ გაბატონდნენ.

ამასთან მე ვგულისხმობ არა მარტო მასობრივ რეპრესიებს, არამედ სახელმწიფო ბანაკების სამმართველოს (რუსული აბრევიატურით გულაგი — „სრ“-ის რედ.ძ, როგორც სამუშაო ძალის გამოყენების იმ სისტემას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც მინიმუმს, პატიმრების 90 პროცენტს შეადგენდნენ სისხლის სამართლის დამნაშავენი. ნუ დაგავიწყდებათ: სამოქალაქო ომი, ყველა სხვა დანარჩენთან ერთად, მოგვიბრუნდა მიუსაფართა უზარმაზარი რიცხვით, უპატრონოთა გარემო კი, ამას დღესაც ვხედავთ, დამნაშავეებს შობს. ახლახან ტელევიზიით ვნახე სიუჟეტი, თუ რომელიღაც ბანკში, სვერდლოვსკის ოლქში, როგორ ასწავლიან 19 წლის სისხლის სამართლის დამნაშავეებს წერა-კითხვას — აქამდე მათ არასოდეს არ უსწავლიათ. მაშ რა იქნებოდა 1920-იან წლებში თუ 1930- იანის დასაწყისში?

როგორ მოვექცეთ ამ დამნაშავეებს? მე



არა ვარ სამართალდამცავი და არ ავქვითინდები იმ კაცის ბედზე, რომლის კისერზეც ოთხი მკვლელობა ან ხუთი გაუპატიურებაა. ჩემთვის ეს ბოლომოღებული კაცია. ოღონდ რა ვუყოთ საზოგადოების ამ ნაძირლებს? იტალიაში — მაფია, აშშ-ში — მაფია, იქ სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის ასობით ათასი ზის, ეს ყველაფერი ნორმალურია, ეს — დემოკრატიაა.

**— მაგრამ ჩვენთან ანეკდოტებისთვისაც ჩასვამდნენ ხოლმე, ყბადაღებული „თავთავებისთვისაც“.**

— თუმცა ივიწყებენ იმას, რომ 1936 წელს ყველა „თავთავებისათვის“ ჩამჯდარი (800 ათას კაცზე მეტი!ძ გამოუშვეს და სამოქალაქო უფლებებიც დაუბრუნეს თვით იმ უფლებამდე, რომ აირჩიოს ან თავად იქნას არჩეული. აქ არ შემიძლია არ გავიხსენო იმ ერთი მოხუცი ქალის სიტყვები, რომელმაც მთელი სიცოცხლე თავის სოფელში გაატარა ისტრას მახლობლად: „სტალინი უნდა ამოვთხაროთ და ხელისუფლად დავსვათ“. ყბა მომეღრიცა: ;„რატომ?“ ის ამბობს: „ადრე ვიცოდით: საკოლმეურნეო ნაკვეთში თუ სტაფილოს ამოგლეჯ, ჩაგსვამენ, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ არასოდეს არ ვკეტავდით კარს სახლებში და არც ქურდობა ყოფილა, არც ბანდიტიზმი“. დღეს ყველაფერი ნებადართულია — აი, რა ჰქონდა მხედველობაში. თქვენ გესმით ალბათ: ყველა ადამიანი არ მომწიფებულა საიმისოდ, რომ არ იპარავდეს, როცა შეიძლება მოპარვა. ჩვენებური კაცი ჯერ კიდევ ბალღია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუ რამე ცუდად დევს, გვერდის ავლა არ შეუძლია, უფროსის, აღმზრდელის ხელს საჭიროებს. გაიხსენეთ: 1215 წელი, დიდი თავისუფლებათა ქარტია — აი ინგლისში დემოკრატიის დასაწყისი. იმათ 600 წელზე მეტი დასჭირდათ, ჩვენ კი ყველაფერი ერთ დღეში გვინდა.

## სასმისი ესე

და აი, აქ თანდათან ვხვდები, თუ როგორ არ სურდა სტალინს თავისთვის იმ როლის აღება, რომელიც უცილობლად მიიყვანდა იქამდე, რომ ბევრი შეაჩვენებს, ყველა არა, მაგრამ ბევრი. მან ორჯერ დაუწერა პლენუმს თხოვნა გადადგომის თაობაზე: არ შემიძლია ამ პოსტზე ყოფნა, მეტი ძალა აღარა მაქვსო. ამაში არის რაღაც ქრისტეს სიტყვების მინამსგავსი, როცა ის შესთხოვს ღმერთს — თანაწარმხედინ მე სასმისი ესეო. მწერალი რომ ვყოფილიყავი, დავწერდი რომანს სწორედ ამ ასოციაციაზე, როცა კაცს ესმის, თუ როგორ მიდის ჯვარცმაზე, დაღუპვაზე, დანაშაულებზე, ოღონდ იმისთვის, რომ სხვები მერე უკეთ იყვნენ.

**— მომიტევეთ, ასეთი შედარება შოკს მგვრის...**

— კი მაგრამ, ბულგაკოვის რომანი „ოსტატი და მარგარიტა“ არ გაგდებდათ შოკში, როცა 1969 წელს ჟურნალ „მოსკვაში“ წაიკითხეთ პირველი ნაწილი?

**— ეს სხვა თემაა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ სტალინმა გადაარჩინა ბულგაკოვი, როცა რაპელები მის დასჯას მოითხოვდნენ. მეორე მხრივ, ბულგაკოვს არ დაუღვრია მწარე ცრემლები, როცა ზინოვიევს, ბუხარინსა და სხვა „ერთგულ ლენინელთ“ ასამართლებდნენ.**

—სტალინს ჩემზე და თქვენზე უკეთ ესმოდა, რომ შეუძლებელია მდიდარი ქვეყნის შექმნა გინდა ათ, გინდა ოც წელიწადში. დემოკრატები ბოლო 20 წელი გვპირდებოდნენ ფუფუნებას. მაშინდელ 20 წელიწადში კი ჩვენ ძალიან ბევრს მივაღწიეთ და მეტსაც მივაღწევდით, ომი რომ არა. აბა ვინაა დამნაშავე, რომ ახალი აგებული სატრაქტორო ქარხნები სატანკოდ უნდა გადაგვექცია?

ამერიკელები კარგად იყვნენ — მათ ქვეყანას არც ერთი ბომბი არ დასცემია. არადა, თავიანთი იაპონელები პერლ-ხარბერის შემდეგ მაინც 24-საათში გადაასახლეს უდაბნოში. ალიასკაზე როდი წაუყვანიათ — ძვირი იყო, სახლაფორთო და დიდ დროს მოითხოვდა. გაიმარტივეს საქმე — დასავლეთის სანაპიროდან ეგრევე უდაბნოში უკრეს თავი, სადაც მრავალი მათგანი მოკვდა კიდევაც. დღეს რატომ არ სდებენ ბრალს ამ საშინელ დანაშაულში რუზველტს?

წითელ ძაფად გასდევს 1925-27 წლების პოლიტბიუროს საგანგებო საქალალდეებს ჩრდილოეთ ოსეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის, დაღესტნის განიარაღების თემა. ჩვენ დაგვავიწყდა, რომ 1920-იან წლებში, ხელფასის გაცემის დღეს ნავთობსარეწავებზე, ცხენოსანი ჩეჩნები მწყობრად ეშვებოდნენ გროზნოში და იტაცებდნენ მუშების კუთვნილ ფულს. მიეჩვივნენ ასე ცხოვრებას და ჰე! როგორ ფიქრობთ, რამდენი საუკუნე დასჭირდებათ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის მისაჩვევად? ალბათ, არაერთი თაობა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 249.

№ 250. პარასკევი, 21 დეკემბერი, 2007 წელი.

● მიუხედავად იმისა, რომ ვალერი კვარაცხელიას ნოველებში პუბლიცისტური ნაკადი ჭარბადაა, მხატვრულობის ფანტაზია ერთობ შორს მიდის და გვიჩვენებს თანამედროვე ადამიანს...




⊙ სატკივარი – პროზად

# და, მაინც: იქმენ ნათელი!

ყველაფერი გაიოლდა, ყველაფერი გაუფასურდა, მწერლობაში მოღვაწეობაც კი. დახვავდა მაკულატურა, მოზვავდა უნიჭობა, და, ასეთ დროს, კარგი ლექსისა თუ პროზაული ნაწარმოების გამონათება, პირდაპირ მალამოდ დაედება ხოლმე გულზე ლიტერატურის მოყვარულს. ასე მომივიდა მე, მაგალითად, ვალერი კვარაცხელიას ნოველების კითხვისას, ეს რამდენიმე წელიწადია რომ იბეჭდება ჩვენს პერიოდიკაში და, აი, საახალწლოდ ცალკე წიგნადაც აუკინძავს ისინი ავტორს საგამომცემლო სახლ „ინოვაციაში“.

ეს არის ჭეშმარიტად სასიამოვნო შეხვედრა ნიჭიერ კაცთან – ფილოსოფოსთან, ერთ დროს აღიარებულ ტელეჟურნალისტთან, ცნობილ პოლიტიკოსთან და პუბლიცისტთან, პროზაშიც რომ მოსინჯა კალამი და თავისი სათქმელი უზადოდ თქვა.

წიგნის შესავალში ჩვენგან ნაადრევად წასული პროფესორი ვახტანგ გოგუაძე წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ვალერი კვარაცხელიას ნოველებში პუბლიცისტური ნაკადი ჭარბადაა, მხატვრულობის ფანტაზია ერთობ შორს მიდის და გვიჩვენებს თანამედროვე ადამიანს... ამ ნოველებში დახატულია ეპოქის სახე. ძალზე საყურადღებოა მისი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები არასტანდარტული ცნობიერების, უფრო სწორად, დარღვეული ცნობიერების ჩვენებით, ახალი, აპოკალიფსური ტიპაჟის შექმნისა“.

**– რატომღაც, მგონია, ბატონო ვალერი, რომ საქართველოში დატრიალებულმა კატაკლიზმებმა და ტრაგედიებმა, დიდად განსაზღვრა თქვენი მოსვლა მწერლობაში...**

– ტკივილისა და განცდის გარეშე მწერლობა არ არსებობს, მაგრამ ჩვენთან, ამ მხრივ, სპეციფიკური ვითარებაა. კომუნისტურ ეპოქაში ჩვენი მწერლობა გამეცადინებული იყო, რომ სტრიქონებშუა გაეტარებინა ანტისაბჭოური და ანტიკომუნისტური აზრები, მინიშნებები. რაც უფრო ნიჭიერად იქნებოდა ეს გაკეთებული, მით უფრო მეტი იყო წარმატება. ახლა აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს და აღარც კომუნისტური საზოგადოება. მათ ადგილს ჩვენი მწერლობისა და საზოგადოების მიერ წინასწარ გაფეტიშებული დასავლური ცხოვრების წესი და საბაზრო ურთიერთობები იკავებს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამას საქართველოსთვის სიკეთე არ მოაქვს. ქართულმა მწერლობამ კი ამ ვითარებაში თავი ქვიშაში ჩარგო, აქაოდა, ვერაფერს ვხედავ და ვერაფერს ვამჩნევო, რადგან აღიარება იმისა, რომ ამერიკული ჩექმა რუსულ ჩექმაზე მძიმე აღმოჩნდა, უჭირს. ამიტომაა, რომ ჩვენი მწერლობა ჯერ კიდევ წარსულს ებრძვის, ბოლშევიკებს და კომუნისტებს ულეწავს მუშტებს... ისე არ გამიგოთ, თითქოს ამ თემებზე წერას ვუკრძალავდე ვინმეს, მაგრამ მწერლობამ, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეპოქა და მისი სატკივარი უნდა ასახოს.

ქართველ მწერლებს გაუჭირდათ ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან ამერიკული ცხოვრების წესის წინააღმდეგ გალაშქრება ჯერ კიდევ არ არის მოდური. არის ერთი გარემოებაც: მწერალი წიგნს ვერ გამოსცემს ე.წ. სპონსორის გარეშე. სპონსორი კი არ დააფინანსებს იმ წიგნს, რომელიც ანტიამერიკული სულისკვეთებით იქნება დაწერილი. ეს ერთმანეთთან არის დაკავშირებული. დღეს ყველა მხრიდან ამერიკული იდეოლოგია მოდის და ვინც მის წინაშე ხარკის გაღებას არ მოისურვებს, ის უმძიმეს დღეში ჩაიგდებს თავს. მწერლები კი ყოველთვის როდი არიან გმირები. ჩვენ, ცნობილ მწერალთა შორის, ორი-სამი გენიალური მწერალიც გვყავს, რომელთა შემოქმედებას მე თაყვანს ვცემ, ამიტომ არ მინდა ამ თემაზე მეტი ვისაუბრო... რაც შეეხება ჩემს ნოველებს, იქ ნამდვილად ჩანს დღევანდელი სატკივარი, ხოლო თუ რა დონეზეა ეს სატკივარი დამუშავებული და განზოგადებული, ამის განსჯა, რა თქმა უნდა, მკითხველის პრეროგატივაა.

**– მე არ მინდა, რომ ჩვენმა საუბარმა პოლიტიკური მიმართულება მიიღოს...**

– თუ ლიტერატურის ისტორიას გადავავლებთ თვალს, მწერლობა თითქმის არასოდეს ყოფილა პოლიტიკისგან მოწყვეტილი, რამეთუ პოლიტიკა განაპირობებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მწერლობა კი ასახავს ამ უკანასკნელს. ამიტომ, როგორც არ უნდა შევეცადოთ, რომ პოლიტიკას გავერიდოთ, პრაქტიკულად მას ვერსად გავექცევით...

**– თუ ასეა, მაშინ პირდაპირ პოლიტიკურ შეკითხვას დაგისვამთ: რას გვეტყვით მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით?**

–ხუთ იანვარს გამოჩნდება შეძლებს თუ არა ქართველი ხალხი სააკაშვილის პრეზიდენტობის უღლის გადაგდებას, სხვა არჩევანი ქართველ ხალხს არა აქვს იმიტომ, რომ ასარჩევთა შორის ვერავის ვხედავ ნატოს არ მიელტვოდეს. ასე რომ, პრაქტიკულად არაფერი იცვლება, მაგრამ ამ ეტაპზე ისიც საკმარისი იქნება საქართველო სააკაშვილის ეპოქას წერტილს თუ დაუსვამს.

**– რამდენადაც ვიცი, თქვენ ნატოს წევრობის წინააღმდეგი ხართ...**

– კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგან იმ ტერიტორიებით ნატოში შესვლა, რომელშიც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, დანარჩენი ტერიტორიების (აფხაზეთისა და ცხინვალისძ საბოლოო დაკარგვას ნიშნავს. საერთოდ, საქართველოს ერთი გზა აქვს – ნეიტრალიტეტის გზა, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ეკონომიკური და სოციალური აღორძინების უტყუარი გარანტი იქნება.

**– პოლიტიკოსებს ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი საკამათო ექნებათ, მაგრამ ჩვენი საუბარი დღეს ამგვარ მიზანს არ ისახავს. ლიტერატურასა და მწერლობაში თქვენს მომავალ გეგმებზე ხომ არ გვეტყვით ორიოდ სიტყვას?**

– გეგმებზე საუბარი არ მიყვარს. შემოქმედება რთული პროცესია, ამა თუ იმ ჩანაფიქრმა შეიძლება ძირფესვიანად იცვალოს სახე. შესაძლებელია, ის, რაც დაწყებული გაქვს, ვერც მიიყვანო ბოლომდე... მაინც გეტყვით, ვმუშაობ სქელტანიან რომანზე, სადაც ვეცდები თანამედროვე ეპოქა გლობალურად ავსახო. იმასაც გაგიმხელთ, რომ გამოსაცემად გამზადებული მაქვს ლექსების კრებული...

**– პერიოდულ პრესაში თქვენი რამდენიმე ლექსი გამოჩნდა, რაც მკითხველისთვის, შეიძლება მოულოდნელობაც კი იყო...**

– მე არა ვარ პოეტი, მაგრამ ზოგიერთმა სათქმელმა ეს ფორმა მოითხოვა და წამიცდა ხელი...

**– ხომ არ წაგვიკითხავთ ერთ ლექსს, სახელდახელოდ?**

–რახან ვთქვი, კრებული გამზადებული მაქვს-მეთქი, დამორცხვებაც აღარ გამომივა:

***იქმენ ნათელი!***

*ყოველ ცისმარე დღე მზის*
*ამოსვლას*
*რისხვით შეკრული ხვდება*
*ქართველი,*
*ხვდება ცრემლებით,*
*ხვდება გოდებით,*
*ხვდება კირთებით და*
*ანათემით...*
*მოკლეს რწმენა და*
*მოკლეს იმედი,*
*უკანასკნელი ქრება*
*სანთელი,*
*მაინც ლოცულობს,*
*მაინც ჩურჩულებს:*
*– იქმენ ნათელი,*
*იქმენ ნათელი!*

– ღმერთმა გისმინოთ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

№ 250. პარასკევი, 21 დეკემბერი, 2007 წელი.

⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება დასაქმებულისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვა?**

**ანა მოწონელია**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, დამსაქმებელი და დასაქმებული შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდნენ მხარის უფლებათა შეზღუდვაზე. ასეთი შეზღუდვა პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს მხარის ინტერესებიდან, უნდა იყოს გონივრული და ამ ინტერესების პროპორციული.



* * *

**კითხვა: გარდამეცვალა მამა, რომელიც ჩემი მარჩენალი იყო. გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მან მთელი თავისი ქონება ძმისშვილებს დაუტოვა, მე კი ულუკმაპუროდ დამტოვა. შემიძლია მოვითხოვო წილი სამკვიდროდან?**

**მერაბ ქარდავა**

**პასუხი:** თქვენ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, გეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც იქნება იმ წილის ნახევარი, რომელიც უნდა მიგეღოთ. მამათქვენს ანდერძი ძმისშვილების სახელზე რომ არ დაეწერა.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, კანონის თანახმად, რომელი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვლილის ბიძები?**

**ლილი ოთხმეზური**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შესაბამისად ბიძები არიან მეოთხე რიგის მემკვიდრეები.

* * *

**კითხვა: იქნებ ამიხსნათ, როდესაც დასაქმებულს ეზღუდება გარკვეული უფლებები, აკისრია თუ არა რაიმე ვალდებულება დამსაქმებელს?**

**კონსტანტინე მოსიძე**

**პასუხი:** დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია მას წერილობითი ფორმით განუმარტოს უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ.

* * *

**კითხვა: ვარ 15 წლის, მშობლები დამეღუპა, დავრჩი ინვალიდი ბებიისა და პაპის იმედზე, რომელთაც საკუთარი პენსიით თავის გატანაც კი უჭირთ. გადავწყვიტე სკოლაშიც ვისწავლო და თან ღამის გასართობ დაწესებულებაში ვიმუშაო. ხომ არაფერი წინააღმდეგობა შემხვდება?**

**მაკა ასათიანი**

**პასუხი:** ნამდვილად შეგხვდებათ წინააღმდეგობა, ვინაიდან ღამის გასართობ დაწესებულებაში არასრულწლოვანის მუშაობა კანონით აკრძალულია.

* * *

**კითხვა: ვარ 13 წლის, სხვა გზა არ მაქვს, უნდა ვიმუშაო და უმუშევრად დარჩენილ მშობლებს დავეხმარო. სად შეიძლება ვიმუშაო?**

**ლიკა ოკოშვილი**

**პასუხი:** 2007 წლის 4 ივლისიდან მოქმედი შრომის კოდექსის თანახმად, 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

* * *

**კითხვა: ვინაიდან სადავო გვაქვს სავალდებულო წილის მიღების საკითხი, გთხოვთ, განგვიმარტოთ, ვრცელდება თუ არა 1997 წელს ძალაში შესული სამოქალაქო კოდექსი ადრე წარმოშობილ ურთიერთობაზე?**

**ლევან მესროფაშვილი**

**პასუხი:** მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კოდექსის ამოქმედების დღიდან, ე. ი. 1997 წ. 25 ნოემბრიდან.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

⊙ ინფორმაცია

## ნარკოტიკების დიდი პარტია საქართველოს გავლით პოლონეთში გაჰქონდათ

**საქართველო ნარკოტიკების მორიგი მსხვილი პარტიის სატრანზიტო ტერიტორია აღმოჩნდა.**

**უკრაინაში, პორტ ილიჩევსკიში 162,500 კილოგრამი ტვირთით რეფრიჟერატორი დააკავეს, რომელიც ფოთის პორტიდან იყო გამოსული.**

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, ნარკოტიკები თურქეთიდან მოედინებოდა, რომელიც ირანის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით პოლონეთში უნდა ჩაეტანათ.

ნარკოტიკების პარტია აშშ-ის ანტინარკოტიკულ დეპარტამენტთან და თურქეთის სამართალდამცავ ორგანოებთან ერთობლივი ოპერაციის შედეგად გამოვლინდა, თუმცა სამართალდამცავებმა ვერ გაარკვიეს, როგორ დარჩა ამგვარი სახიფათო ტვირთი სამი ქვეყნის ტეროტორიაზე შეუმჩნეველი.

აზერბაიჯანის გაეროს სამართალდამცავ სტრუქტურების გავითარების პროგრამის ხელმძღვანელის მახაზირ ეფენდიევის განცხადებით, აუცილებელია ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურათა მჭიდრო თანამშრომლობა.

– თანამშრომლობის თვალსაზრისით, ირანი დახურულია. მარშრუტი თურქეთი-ირანი-აზერბაიჯანი-საქართველო-ევროპა მხოლოდ ერთ-ერთია. არსებობს კიდევ 5 ძირითადი მარშრუტი, რომელიც ავღანეთიდან იწყება და ჩვენს საზღვრებზე გადის. ავღანურ ჰეროინს 13,5 მილიონი ადამიანი მოიხმარს, – განაცხადა ეფენდიევმა.

მისივე თქმით, ამგვარი ტვირთის შეუფერხებელი ტრანზიტის მიზეზი სამართალდამცავთა დაბალი კვალიფიკაციაა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

# ბოლო გვერდი

● ვალერია ხომასურიძეს პირველი შვილი ბიჭი გაუჩნდა, 24 წლის ოზურგეთელ დევნილ ანა თოხაძეს ტყუპი ბიჭი შეეძინა, ხოლო თბილისელი მანანა მამაგულაშვილი მე-5 შვილით ხარობს...
საქართველოს მრავალშვილიანობა სჭირდება



◉ იმედი

## ქართული ნიჭის კიდევ ერთი გაელვება



**ნატალი ბერელაშვილი სიცოცხლით სავსე, როგორც იტყვიან, ატმის ყვავილივით ლამაზი, მშვენიერი გოგონაა.**

ამ სურათს ვინც დახედავს, უმალ მიხვდება, რომ ბერელაშვილებს და ქავთარაძეებს (დედის მხრიდანძ, მთელ სანათესაოს და სამეგობროს კიდევ ერთი ჯანსაღი, სულით და ხორცით სრულქმნილი შვილი ეზრდებათ.

ნატალი დღეს ამერიკაში, ქალაქ ფილადელფიაში ცხოვრობს (ვიმედოვნებთ, რომ დროებით!ძ და იქაური სკოლის მეექვსე კლასის ფრიადოსანი მოსწავლეა.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას აქვს ნორჩი თაობის საახალწლოდ გახარების შთამბეჭდავი ტრადიცია — ამ სუპერსახელმწიფოს პირველი პირი სპეციალური სიგელით აჯილდოებს ღვთითბოძებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს და დიდი მეცნიერებისკენ, უბრალოდ, მაღალი პროფესიონალიზმისკენ ულოცავს გზას.

გუშინ ჩვენს რედაქციაში მართლაც მერცხალივით შემოფრინდა სასიხარულო ცნობა ნატალი ბერელაშვილის ასეთი საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ. სიგელს ხელს აწერს აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

საუკეთესო უცხოელი მოწაფეების სია, თურმე, ამერიკაში ცალკე დგება. ნატალი ბერელაშვილი ამ სიაში ერთ-ერთი პირველი იყო.

გვიმრავლოს! წარმატებების და გამარჯვებების გზებით გევლოს, ბერელაშვილების საამაყო ასულო!

გილოცავთ კარსმომდგარ შობა-ახალ წელს!

**საკუთარი ინფორმაცია**


President's Education Awards Program
presented to
Natali Berelashvili
in recognition of
Outstanding Academic Achievement
2007
U.S. Secretary of Education
President of the United States
Principal
School


რედაქცია კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.


◉ ანეკდოტები

პეტკა და ვანია სვამენ.

— ჩემი ცოლი ბოზია, — ამბობს პეტკა.

— რა იცი?

— წარმოგიდგენია? ცოლს დეპეშა გავუგზავნე, მივლინებიდან ჩამოვდივარ-მეთქი. ის კი სახლში მაინც საყვარელთან ერთად დამხვდა.



— ბიჭო, შეიძლება არც არის ბოზი. იქნებ შენი დეპეშა სულაც არ მიუღია.

* * *

— რანაირი ხეპრე და უზრდელი ხარ! რამდენჯერაც არ უნდა გვესტუმროს დედაჩემი, ერთხელ არსად არ წაიყვან ფეხით თუ მანქანით, — ეჩხუბება მარო მიხოს.

— რა აზრი აქვს! იგი მაინც მოაგნებს სახლს.

* * *

— რა იდიოტივით ლაპარაკობ, — საყვედურობს ქმარი ცოლს.

— ისე ვლაპარაკობ, რომ შენ გაიგო...

* * *

— ჩემი ქმარი ახლა ლუდის ქარხანაში მუშაობს.

— მოსწონს იქაურობა?

— რა ვიცი. რაც მუშაობა დაიწყო, მას მერე სახლში არ მოსულა.

* * *

სადილის შემდეგ ცოლმა შემოიტანა ტორტი, რომელშიც 15 ანთებული სანთელი იყო ჩარჭობილი.

— საყვარელო, რა არის ეს, ვისი დაბადების დღეს აღვნიშნავთ? — ეკითხება გაკვირვებული ქმარი.

— დაბადების დღეს კი არა, იუბილეს. დღეს 15 წელიწადი გავიდა მას მერე, რაც შენ ქურქი მიყიდე.

◉ ექსპრეს-ტელეფონები

## კანდიდატი გისმენთ



ლევან გაჩეჩილაძის შტაბი — თოფურიას ქ. №10 (ტელ. 32-05-47 ან 32-05-81ძ.



ბადრი პატარკაციშვილის შტაბი — ბოჭორმის ქ. № 20 (ტელ. 74-65-18, 74-69-68, ცხელი ხაზი 74-69-66ძ.



დავით გამყრელიძის საარჩევნო შტაბი — „მემარჯვენეების“ ოფისი, მის. ორთაჭალა, ჟანი კალანდაძის ქ. №3-ში (ტელ: 72-15-10ძ.



შალვა ნათელაშვილის შტაბი — ჯავახიშვილის ქ. №88 (ტელ: 91-16-17 ან 94-39-22, 91-04-05ძ.



მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბი — ფილარმონია, მეორე სართული (ტელ. 92-05-87 ან 92-05-89ძ.



გია მაისაშვილის შტაბი — ყაზბეგის ქუჩა №44 (ტელ: 39-46-17ძ.



ირინა სარიშვილის შტაბი — ალმაშენებლის პრ. 52 (ტელ: 91-09-17 ან 91-09-16ძ.

◉ გვემრავლოს!

## საახალწლოდ მრავალშვილიანობაა!..

**რეგულარულად გვაწვდიან ცნობებს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლიდან. ამჯერად უფროსმა მედდამ ეთერ ტიტვინიძემ გვაცნობა:**

— გვიხარია ყოველი ჩვილის დაბადება. დეკემბრის სამ კვირაში ჩვენთან 65 ჯანმრთელი ბავშვი დაიბადა. ზოგი უკვე გაეწერა და შინ ჩვილის შეძენით გამოწვეული სიხარული შეიტანა. ვალერია ხომასურიძეს პირველი შვილი ბიჭი გაუჩნდა, 24 წლის ოზურგეთელ დევნილ ანა თოხაძეს ტყუპი ბიჭი შეეძინა, ხოლო თბილისელი მანანა მამაგულაშვილი მე-5 შვილით ხარობს...

საქართველოს მრავალშვილიანობა სჭირდება.

**ნათელა ფაილოძე**

◉ ინფორმაცია

## ტრაგედია ზემო აფხაზეთში

**უბედური შემთხვევა მოხდა გუშინ ზემო აფხაზეთის სოფელ ქვემო ქვაბჩარაში.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მედიაცენტრის ინფორმაციით, „ვილისის“ მარკის ავტომობილი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრები ბესო ჩხეტიანი მართავდა, 50 მეტრის სიმაღლიდან გადაიჩეხა. მანქანაში იმყოფებოდა შსს-ს თანამშრომელი ირაკლი გუგუშვილიც. ორივე მათგანი ავარიის შედეგად დაიღუპა.

მაშველებმა ცხედრების ამოყვანა მხოლოდ მოგვიანებით შეძლეს. ავარიის გამომწვევ მიზეზად უამინდობა და მოყინული გზა სახელდება.

**ინტერპრესნიუსი**

◉ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.